ქართულმა "გაგებამ" უნგრელზე ვერ გაჭრა A3

ხაბურძანიამ ატამანს აწყენინა A3

მონადირე A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 25 ივნისი, 2003 წელი. №172 (384)

ფასი 50 თეთრი

ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგება ბრალდებების ფონზე

24 ივნისს მოსკოვში განახლდა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა, რომელშიც საქართველოს მხრიდან 14-კაციანი დელეგაცია მონაწილეობს, საქართველოს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის, ირაკლი მაჭავარიანის ხელმძღვანელობით. მოსკოვიდან მიღებული ინფორმაციით, დღის წესრიგის ყველაზე მწვავე საკითხს ქართული პოლიციის დამატებითი საგუშაგოების გაუქმება და კონფლიქტის ზონაში სამართალდამცველ ორგანოთა საკოორდინაციო ცენტრის ამოქმედება წარმოადგენს. მაგრამ სხდომის დაწყების წინ, ქართულმა საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს კომისიის ოსი წევრის, ბორის ჩოჩიევის მიმართვა საქართველოს პრეზიდენტის სახელზე, რომელშიც ოსეთის მხარის მიერ, ედუარდ შევარდნაძის პირადი წარმომადგენლის მისამართით საკმაოდ მძიმე ბრალდებებია გამოთქმული.

კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება" სპეციალურად "24 საათისთვის"

გავრცელებული მოსაზრება, რომ მხარეებმა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარებაში გაცილებით წაინდეს წინ, რამდენიმე ასპექტს გულისხმობს: ცხინვალის ზონაში მოქმედი სამშვიდობო ძალები მართლაც შერეულია და ერთმანეთთან მჭიდრო კოორდინაცია აქვთ, კონფლიქტის მოწესრიგების პროცესს კურატორობს ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, რომელიც აფინანსებს ეკონომიკურ პროექტებს როგორც ცხინვალში, ისე მის მიმდებარე ქართულ სოფლებში; დაფიქსირდა ქართველ ბიზნესმენთა მონაწილეობაც ერთობლივი პროექტების შექმნაში; გამჭოლია კომუნიკაციები ცხინვალსა და თბილისს შორის,

გაგრძელება A3 გვერდზე

ვრესა არჩევნებისთვის ემზადება

თეა ხოფერია

რეგიონული ბეჭდვითი მედიის წარმომადგენლებს არჩევნების ობიექტურად გაშუქებისათვის ერთიანი პრინციპების შემუშავება აქვთ დაგეგმილი. ის, თუ კონკრეტულად რას შეიმუშავებს რეგიონული პრესა, კავკასიის ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ ორგანიზებულ ოთხდღიან კონფერენციაზე გაირკვევა. სხვათა შორის, არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნულ სემინარზე პრესის წარმომადგენლებმა კავშირიც კი დააარსონ.

კონფერენციაზე რეგიონული პრესის წარმომადგენლები, ოთხი დღის განმავლობაში, დისკუსიას გამართავენ ცენტრალური გაზეთების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, პოლიტიკოსებთან. სემინარზე განიხილავენ: გასული არჩევნების გაკვეთილებს, ანუ რა უნდა იქნას გათვალისწინებული წინა არჩევნების გაშუქების გამოცდილებიდან; რეგიონული და ცენტრალური მედიის როლს არჩევნების გაშუქებაში; არჩევნების გაყალბების ყველაზე გავრცელებულ ფორმებს და სხვ.

გაგრძელება A2 გვერდზე

ლევან ხერხეულიძის ფოტო

რეგიონული გაზეთების რედაქტორები და გამომცემლები საარჩევნოდ ერთიანი პრინციპების შემუშავებას აპირებენ.

დიდი ბრიტანეთის საზოგადოებრივი აზრი პუტინის წინააღმდეგ

ლევან ღირსიაშვილი

გუშინ დიდ ბრიტანეთში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის, ვლადიმირ პუტინის ოფიციალური ვიზიტი დაიწყო. 1874 წლის შემდეგ პუტინი რუსეთის სახელმწიფოს მეთაურებს შორის პირველია, რომელიც ლონდონში სახელმწიფო ვიზიტით ჩავიდა. ოფიციალური მოსკოვის წარმომადგენლების განცხადებით, დიდი ბრიტანეთის და რუსეთის ლიდერები ძირითად ყურადღებას ორ ქვეყანას შორის ენერგეტიკული თანამშრომლობის საკითხზე გაამახვილებენ. გარდა ამისა, სახელმწიფოთა ლიდერები ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარე პროცესებსაც განიხილავენ. მოსალოდნელია, რომ მოლაპარაკებების დროს, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბირთვულ სფეროში რუსეთ-ირანის თანამშრომლობის საკითხსაც წამოწევს.

გაგრძელება A5 გვერდზე

REUTERS

ვლადიმირ პუტინი დედოფალ ელისაბედ II-სთან შეხვედრისას.

საერთაშორისო სასამართლო ქართველთა გენოციდის საქმის განხილვაზე უარს აცხადებს

ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ საერთაშორისო სასამართლო აფხაზეთის საქმეს დაუბრკოლებლად და უპრობლემოდ განიხილავდა, არ გამართლდა. ჰააგის სასამართლომ ქართველთა წინააღმდეგ განხორციელებული გენოციდის მასალები განსახილველად არ მიიღო. ჰააგაში ვიზიტად მყოფი აფხაზეთის იუსტიციის მინისტრი პაატა დავითაია, რომელმაც საერთაშორისო სასამართლოს ქართველთა გენოციდის დამადასტურებელი დოკუმენტები წარუდგინა, უარით გამოისტუმრეს.

ხათუნა ჯანგირაშვილი

ჰააგის სასამართლო განხილვაზე უარს ერთი მიზეზით ამბობს. საქმე ისაა, რომ საქართველოს პარლამენტს რომის სტატუტთან მიერთება რატიფიცირებული არ აქვს. მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის სამინისტრომ კარგა ხნის წინ მოამზადა კანონპროექტი რატიფიკაციის შესახებ, საქართველოს პარლამენტს ეს საკითხი არ განუხილავს.

გაგრძელება A7 გვერდზე

პრეზიდენტი სპეციალურ მოხსენებას ამზადებს

თათბირი კანცელარიაში

თამარ ხორბალაძე

საქართველოს პრეზიდენტი მთავრობის დღევანდელ სხდომაზე საგანგებო მოხსენებით გამოვა, შექმნილ სიტუაციასთან და ზოგიერთ საკადრო საკითხთან დაკავშირებით.

გუშინ კანცელარიაში საქართველოს პრეზიდენტთან გამართულ შეხვედრას ქალაქების მერები და რეგიონებში პრეზიდენტის რწმუნებულები ესწრებოდნენ.

თათბირის ოფიციალური დღის წესრიგი წინასაარჩევნო საკითხების განხილვას არ ითვალისწინებდა და, პირველ რიგში, ბიუჯეტი და სხვა მიმდინარე საკითხები უნდა განხილულიყო. მაგრამ გუშინდელ შეხვედრაზე საკითხთა ძალიან ფართო სპექტრზე იმსჯელეს – ბიუჯეტიდან დაწყებული, წინასაარჩევნო სიტუაციით დასრულებული.

მსჯელობის საგანი გახლდათ თბილისის ბიუჯეტი და საკრებულო-განათლების სამინისტროს დაპირისპირება, რეგიონებისთვის გადაურიცხავი ტრანსფერების და მიუწოდებელი ელექტროენერგიის საკითხები, ასევე ზოგიერთი მინისტრის "ორ სკამზე ჯდომა", არასწორი რეგიონული საკადრო პოლიტიკა... იყო საუბარი სახელისუფლებო უწყებებს შორის კინკლაობასა და არაკოორდინირებულ პოზიციაზე.

გაგრძელება A2 გვერდზე

"ტიპური ვირუსები" – ბიუჯეტი და ენერგეტიკა

სოფო კვინტრაძე

სავალუტო ფონდის მისიის პირველი დღე არც ისე დაძაბული გამოდგა. ფონდის დელეგაცია გუშინ ჯერ ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ირაკლი მანაგაძეს შეხვდა, ხოლო მოგვიანებით - პრეზიდენტის თანაშემწეს ეკონომიკურ საკითხებში, თემურ ბასილიას. ეროვნულ ბანკში გამართულ შეხვედრაზე ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა განიხილეს. ისაუბრეს, აგრეთვე, სტრუქტურულ რეფორმებზე და, უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ახლახან მიღებულ კანონზე. როგორც სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელმა პაოლო ნეუჰაუსმა აღნიშნა, საჭიროა, ამ კანონთან ერთად პარლამენტმა მისი თანმდევი კანონპროექტებიც დაამტკიცოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიღებული კანონი მხოლოდ ქაღალდზე დარჩება. ჟურნალისტებთან საუბრისას ნეუჰაუსმა აღნიშნა, რომ კონკრეტულ შეფასებებს, მთავრობის საქმიანობისა და რეკომენდაციების შესრულების შესახებ, მხოლოდ ორი კვირის შემდეგ გააკეთებს, როცა ყველაფერს სრულყოფილად გაეცნობა. თუმცა, ნეუჰაუსმა წინასწარ განაცხადა, რომ მთავარი პრობლემები ბიუჯეტის შევსებასა და ენერგეტიკას შეეხება. **"საბიუჯეტო პრობლემები ისევ ტიპურია საქართველოსთვის. რაც შეეხება ელექტროენერგიის ტარიფს, ჩვენ კვლავ ველოდებით კანონიერ გადაწყვეტილებას მისი გაზრდის შესახებ,"** – განაცხადა პაოლო ნეუჰაუსმა ჟურნალისტებისათვის გამართულ საგანგებო ბრიფინგზე. სავალუტო ფონდის მისიას ეროვნული ბანკის მიმართ პრეტენზიები ტრადიციულად არ აქვს. **"ჩვენი მხრიდან არანაირი პრობლემები არ იქნება,"** – აცხადებს ირაკლი მანაგაძე.

გაგრძელება A4 გვერდზე

ეროვნული

ბოლოდროინდელი ინციდენტები ოსურ-ქართული ურთიერთობების ნორმალიზაციას ემუქრება

**ოსეთ-ინგუშეთ-ჩეჩნეთ-ინგუშეთ-

ნინო ბურჯანაძის პირველი ოფიციალური ვიზიტი ისრაელში

ლელა მჭედლიძე

ნინო ბურჯანაძე ისრაელს ოფიციალური ვიზიტით პირველად ეწვია. რამდენიმეჯერ სხვადასხვა მიზეზის გამო გადადებული ვიზიტი ბოლოს და ბოლოს შედგა. პარლამენტის თავმჯდომარეს აეროპორტში ყვავილების ზღვა და ორკესტრი დაახვედრეს და ხალიჩებიც დაუგეს, აეროპორტში საკანონმდებლო ორგანოს და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლობითი შემადგენლობა დახვდა. ვიზიტი პროტოკოლის ყველა ნორმის დაცვით დაიწყო. პირველი დღით ჩვენი სპიკერიც ძალზე კმაყოფილი დარჩა. ამ ვიზიტისას, პარლამენტის თავმჯდომარეს თან ფრაქცია "დემოკრატების" თავმჯდომარე გიორგი ბარამიძე, "ტრადიციონალისტი" მაია ნადირაძე და "მოქალაქე" ჯემალ აჯიაშვილი ახლდნენ. გუშინ საქართველოს დელეგაცია ქნესეთის თავმჯდომარეს რეუვენ რივლინსა და პრეზიდენტ მოშე კაცავს შეხვდა.

ისრაელის უმაღლეს პირებთან შეხვედრისას, ბუნებრივია, საუბრის ძირითადი თემა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები იყო. კონკრეტულად კი ის, რომ საქართველო-ისრაელს შორის მჭიდრო კონტაქტები არ არის. ყველაზე მეტად ეს პრობლემა, ბურჯანაძის ვიზიტის პირველსავე დღეს გულთან ქნესეთის თავმჯდომარემ მიიტანა. ბატონი რივლინი თავის ქართველ სტუმარს დაჰპირდა, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავების თემას მთავრობის წინაშე ერთ-ერთ მთავარ საკითხად დააყენებს. კონკრეტულად კი, ეს უფრო ეკონომიკურ სფეროს ეხება, რადგან პოლიტიკური კუთხით თავად მასპინძელთა შეფასებით ურთიერთობები მაინც არსებობს. დანაპირების სისრულეში მოსაყვანად რივლინს უკვე კონკრეტული ნაბიჯებიც აქვს დასახული. როგორც მან ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრისას განაცხადა, საქართველოში საკმაოდ მალე უნდა ველოდოთ ისრაელის საპარლამენტო დელეგაციას, რომელიც ადგილზე შეისწავლის, თუ რისი გაკეთება შეიძლება ეკონომიკური თავალსაზრისით ურთიერთობის გასაღრმავებლად, და შემდეგ უკვე, თავისი ვიზიტის საფუძველზე რეკომენდაციებსაც გაამზადებს. რადგან კონფლიქტების საკითხი უცხო არც ისრაელისთვისაა, სპიკერების შეხვედრისას აფხაზეთის საკითხებზეც იყო საუბარი. დღეს ჩვენს დელეგაციას ძირითადი შეხვედრები პარლამენტში აქვს - საქართველო-ისრაელის მეგობრობის ჯგუფთან, ქალ დეპუტატებთან და სხვებთან. დღესვე დელეგაციის წევრები შიმონ პერესს უნდა შეხვდნენ. ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი და ექს-პრემიერ-მინისტრი ამჟამად ფინანსთა მინისტრის პოსტზეა.

ხვალ დილით ბურჯანაძე პრემიერ-მინისტრ არიელ შარონს უნდა შეხვდეს და, ალბათ, ეს ჩაითვლება ყველაზე მნიშვნელოვნად ჩვენი დელეგაციისათვის, რადგან, როგორც ცნობილია, აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური სწორედ პრემიერ-მინისტრი შარონია და არა პრეზიდენტი მოშე კაცავი. სწორედ ამ დროს უნდა ველოდოთ ბურჯანაძის მხრიდან კონკრეტული წინადადებების წამოყენებას და პოლიტიკურ განცხადებებს. გუშინ კი, შეიძლება ითქვას, მოთელვამ კარგად ჩაიარა.

მაილსის ორი ვიზიტი კანცელარიაში

აშშ-ს ელჩი რიჩარდ მაილსი ბოლო პერიოდში ხშირად სტუმრობს სახელმწიფო კანცელარიაში. გუშინ რიჩარდ მაილსი კანცელარიაში ორჯერ მივიდა:

დილით იგი დახურულ კარს მიღმა სახელმწიფო მინისტრს შეხვდა და შეხვედრის შემდეგ მოკლე კომენტარით შემოიფარგლა. ელჩმა განაცხადა, რომ საუბრის მთავარი თემა ქვეყანაში სტაბილიზაციის შენარჩუნება გახლდათ. მისივე განმარტებით, მხარეებმა განიხილეს რამდენიმე კანონპროექტი, რომელშიც წინასაარჩევნოდ დესტაბილიზაციის თავიდან ასაცილებლად **"გარკვეული ცვლილებები უნდა შევიდეს".**

უკვე საღამოს კი ელჩი, დონორი ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად, პრეზიდენტს ენერგეტიკულ პრობლემებზე სასაუბროდ შეხვდა.

24 საათი

საკონსტიტუციო ცვლილებებს ცუდი პირი უჩანს

თამარ ხორბალაძე

სანამ საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის საგანგებო სხდომას დანიშნავს და საკონსტიტუციო ცვლილებების ბედს კენჭისყრა გაარკვევს, პოლიტიკური კონსულტაციების ცენტრმა სახელმწიფო კანცელარიაში გადაინაცვლა, სადაც გუშინ სახელისუფლებო ბლოკის ლიდერი ავთანდილ ჯორბენაძე თანაბლოკელ პარლამენტარ ვიტალი ხაზარაძესა და მაჟორიტარ დეპუტატებს შეხვდა.

ცხადია, რომ მაჟორიტარებს პარლამენტში საკუთარი უფლებამოსილების ვადის გაგრძელება სურთ, რაც პირდაპირაა მიბმული საკონსტიტუციო ცვლილებებზე, თუმცა შეხვედრის მონაწილეებმა გუშინ უშუალოდ ამ საკითხის განხილვის ფაქტი უარყვეს. მეტიც – მაჟორიტართა ასეთი სურვილის შესახებ პრესით გაკეთებული განცხადებები ვიტალი ხაზარაძემ "შავ პიარადაც" მონათლა; თუმცა, უფლებამოსილებების გაგრძელების სურვილს მაჟორიტართა უმრავლესობა პირად და ღია საუბრებში არაერთხელ აფიქსირებს.

სახელმწიფო მინისტრთან შეხვედრაზე მაჟორიტარებმა სასურველი პასუხი ვერ მიიღეს. ვიტალი ხაზარაძის ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ **"ისინი ჯორბენაძის განცხადებას გაგებით მოეკიდნენ",** თავად განცხადების შინაარსი ცხადყოფს, რომ მაჟორიტართა და სახელისუფლებო ბლოკს შორის გარიგების პროცესი ჩიხში შევიდა, რადგან გუშინ ავთანდილ ჯორბენაძემ შეხვედრაზე მკვეთრად დააფიქსირა: **"მოქმედი პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფის მიერ მომზადებული საკონსტიტუციო ცვლილებების კანონპროექტის მიღება პრობლემატურია."**

ავთანდილ ჯორბენაძემ მხარი დაუჭირა ორპალატიანი პარლამენტის იდეას, მინისტრთა კაბინეტის შემოღებას და ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის მნიშვნელობაზეც ისაუბრა, მაგრამ ისიც თქვა, რომ აღნიშნული საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების სირთულე დაკავშირებულია უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს საგაზაფხულო სესიის დამთავრებასა და მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებთან.

ცხადია, ასეთი პოზიცია სახელმწიფო მინისტრმა მას შემდეგ დააფიქსირა, რაც საქართველოს პრეზიდენტმა ნათლად და არაერთხელ განმარტა, რომ დღევანდელ სიტუაციაში საკონსტიტუციო ცვლილებების გატარება მიზანშეუწონლად მიიჩნია.

მიუხედავად სახელმწიფო კანცელარიში გაჟღერებული პოზიციებისა, ვიტალი ხაზარაძემ გუშინ განმარტა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით საბოლოო პოზიცია ბლოკში გარკვეული არ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ცვლილებებისთვის საჭირო ხმები მაჟორიტარებმა და "ტრადიციონალისტებმა", რომლებიც კანონპროექტის მთავარი ლობისტები არიან, შესაძლოა, მოაგროვონ კიდეც.

ვიტალი ხაზარაძე: სახელისუფლებო ბლოკი ღატაკია

სახელისუფლებო ბლოკი "ახალი საქართველოსთვის" აცხადებს, რომ პოლიტიკურ პარტიებს შორის ყველაზე "მწირი შემოსავლების მქონე და ღატაკია". "მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარის, სახელისუფლებო ბლოკის ერთ-ერთი ლიდერის ვიტალი ხაზარაძის თქმით, პარტიიდან გასულმა ყველა ჯგუფმა "შემოსავლის წყაროები თან გაიყოლა". "ბლოკი მხოლოდ და მხოლოდ შემოწირულობებით ფინანსდება", - დასძენს ხაზარაძე. ვიტალი ხაზარაძე იმედოვნებს, რომ გამოჩნდებიან ბიზნესმენები, რომლებიც სახელისუფლებო ბლოკის პროგრამას ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობის და სიღარიბის დაძლევის გარანტად მიიჩნევენ და მას საარჩევნოდ დააფინანსებენ. **პრაიმ-ნიუსი**

დაზვერვის დეპარტამენტი უცხოელ კოლეგებს პანკისში იწვევს

საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტი უცხოელ კოლეგებს პანკისის ხეობაში იწვევს, რათა ისინი ამ რეგიონში არსებული სიტუაციის სტაბილურობაში დაარწმუნოს. დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარე ავთანდილ იოსელიანი აცხადებს, რომ "ნებისმიერ დროს მზად არის, რუსეთის საგარეო დაზვერვისა და სხვა ქვეყნების სამსახურებს პანკისის ხეობაში ჩასვლა შესთავაზოს". მისი თქმით, ამ დღეებში იგი პანკისის ხეობას "ერთ-ერთი სახელმწიფოს სპეცსამსახურის წარმომადგენლებთან ერთად" ეწვია. **პრაიმ-ნიუსი**

აფხაზეთში მცხოვრებმა 40 ათასმა ადამიანმა რუსეთის მოქალაქეობა მიიღო

აფხაზეთში მცხოვრებმა 40 ათასმა ადამიანმა რუსეთის მოქალაქეობა მიიღო, 75 ათასი რიგში დგას. ამის შესახებ სააგენტო "РИА Новости"-ს დსთ-ის ინსტიტუტის დირექტორი კონსტანტინე ზატულინი იუწყება. "სამწუხაროდ, ამ პროცესს საქართველოს ხელისუფლების სუსტი და არაჰუმანური პოლიტიკა უშლის ხელს," - წუხს ზატულინი.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი დარწმუნებულია, რომ სულ მალე რუსეთი თავისას გაიტანს და უახლოეს მომავალში აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობა რუსეთის მოქალაქეობას მიიღებს. "რუსეთის მოქალაქეობა ელით იმ ქართველ დევნილებს, რომლებიც აფხაზეთში უკვე დაბრუნდნენ და იმათაც, რომლებიც ახლო მომავალში დაბრუნდებიან", – აცხადებს ნადარეიშვილი. მისი აზრით, სანამ აფხაზეთს სეპარატისტები აკონტროლებენ, ქართველ დევნილთა იქ დაბრუნება დაუშვებელია. **ინტერ-პრესი**

მოკლედ

თბილისი. საპარლამენტო ფრაქცია "მრეწველების" წევრს ვახტანგ ხმალაძეს "ნაკლებად რეალურად" მიაჩნია, რომ ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ მხარი დაუჭიროს საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომელიც მინისტრთა კაბინეტის, ორპალატიანი პარლამენტის და ქვეყნის ახალ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობას გულისხმობს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ქუთაისში დისლოცირებულმა, საქართველოს შეიარაღებული ძალების 21-ე მსუბუქ ქვეითთა ბრიგადამ გუშინ დაარსებიდან 11 წლის იუბილე აღნიშნა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" თბილისის ორგანიზაციის წამომადგენელი რუსუდან ხიდაშელი NDI-ის (ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის) დირექტორს ლინკოლნ მიტჩელს შეხვდა. შეხვედრის თემა საპარლამენტო არჩევნები და აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხები იყო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ბათუმიდან დაბრუნებული პოლიტიკური გაერთიანება "ერთობის" თანათავმჯდომარე ალექსანდრე ჭაჭია აცხადებს, რომ პარტიის თანამშრომლობა ყველაზე მეტად "დემოკრატიული აღორძინების კავშირთანაა" შესაძლებელი. **პრაიმ-ნიუსი**

გურამ აბსანძე მკვლელობის ობიექტურად გამოძიებას ითხოვს

ბელა მახარაძე

გუშინ აბსანძემ პოლიტიკური პარტიები საკუთარ ოფისში მიიწვია და ხელმოსაწერად შესთავაზა განცხადება, სადაც მისი პარტიის წევრების მკვლელობის ობიექტურად გამოძიებას ითხოვს.

ბელი ბალიაშვილის ფოტო

გურამ აბსანძე ოპოზიციას პოლიტიკური ტერორის დაწყებაზე მიანიშნებს.

აბსანძის მიწვევით, როგორც გაირკვა, პოლიტიკოსებზე მეტად ჟურნალისტები დაინტერესდნენ, რადგან დათქმულ დროს მხოლოდ მასმედიის წარმომადგენლები და ნოდარ ნათაძე გამოცხადდნენ. მოწვეული სტუმრების დაგვიანების გამო, ჟურნალისტებთან შეხვედრა გურამ აბსანძემ პარტიების მიმართ უკმაყოფილების გამოხატვით დაიწყო, **"როცა სხვა პარტიების მიმართ ხდება ხოლმე მსგავსი ზეწოლები, ჩვენ ყველანაირად მხარში ვუდგავართ მათ, დღეს კი მე არ ვიცი, რას ნიშნავს მათი მოუსვლელობა,"** - თქვა აბსანძემ. სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ სახალხო პარტიის ლიდერი მამუკა გიორგაძე გამოცხადდა. ამ ფაქტმა აბსანძის გული მოიგო და სხვა პოლიტიკურ პატიებზეც (მართალია, მას გუშინ არც ერთი პარტია არ დაუსახელებია) ნაკლები აგრესიით გააგრძელა საუბარი. საუბრის ძირითადი თემა იყო მკვლელობა, რომელიც რამდენიმე დღის წინ მოხდა. დაღუპულები აბსანძის პარტიის წევრები იყვნენ, მათ შორის ერთი - დეპუტატობის მაჟორიტარი კანდიდატი. **"დღევანდელმა ხელისუფლებამ ტერორი პოლიტიკის დონეზე აიყვანა. განსაკუთრებით, ჩვენი პარტიის წინააღმდეგ ამოქმედდა ხელისუფლება,"** - აცხადებს აბსანძე.

ათი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლიდან, რომლებიც შეხვედრაზე იყვნენ მოწვეულნი, დაგვიანებით, მაგრამ გამოცხადდნენ "გაერთიანებული დემოკრატების" წევრი დათო ტყეშელაშვილი, "მრეწველების" და "ერთობის" წარმომადგენლები და, როგორც ითქვა, სახალხო ფრონტიდან თავად ნოდარ ნათაძე.

"**ტერორისტული აქტის ორგანიზატორებს შორსმავალი მიზნები აქვთ, დესტაბილიზაციის ამ გეგმის მიღმა დგას ზოგადპოლიტიკური განზრახვა: ზუგდიდის ზონაში დესტაბილიზაციით აფხაზეთის გზის გადაკეტვა, რათა საქართველოს სახელმწიფო ინტერესთა დამცველი მხარის პარალიზება მოხდეს"**, - ასეთი ვარაუდი აქვთ "ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის კავშირის" წევრებს.

კავშირი მკვლელობაზე პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებს და აცხადებს, რომ ეს პოლიტიკური რეპრესიების დასაწყისია. **"თუ ჩვენ ერთად არ დავდგებით და ერთად არ ვიბძოლებთ, ხელისუფლებას ხელ-ფეხი გახსნილი ექნება, რათა კიდევ ერთხელ ჩაატაროს არჩევნები ისე, როგორც თვითონ აწყობს,"** - ერთიანობისკენ მოუწოდებს ოპოზიციას ნემო ბურჭულაძე, თუმცა იქვე ამატებს, რომ ეს ოფიციალურად გაერთიანებას არ გულისხმობს და მხოლოდ სიტყვიერად ერთად დგომაზე აქვს საუბარი.

გურამ აბსანძემ განცხადების ტექსტი პარტიების წარმომადგენლებს გააცნო და მათ თანხმობა ხელის მოწერით დაადასტურეს. **"ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერი პარტიები, მომხდარში ბრალს ვდებთ ხელისუფლებას და დაბეჯითებით ვთხოვთ საერთაშორისო საზოგადოებასა და დემოკრატიულ ორგანიზაციებს, შეძლებისადგვარად მოახდინონ ზემოქმედება საქართველოს ხელისუფლებაზე, რათა დანაშაული გამოძიებულ იქნას ობიექტურად და დროულად,"** - ნათქვამია განცხადებაში.

პანკისისხეობელი კრიმინალი მოსკოვში დააკავეს

ინგა ალავიძე

ბოლოს და ბოლოს, სამართალდამცველებმა შეძლეს დიდი გავლენის მქონე კრიმინალური ავტორიტეტის, პანკისისხეობელი მევლუდ ჭიჭიაშვილის დაკავება. იგი 1997 წლიდან იძებნება და სწორედ მან შექმნა ერთ-ერთი პირველი სერიოზული ბანდიტური დაჯგუფება, რომელიც პანკისის ხეობის უკონტროლობას დანაშაულებრივი საქმიანობისთვის იყენებდა. გენერალურ პროკურატურაში ჭიჭიაშვილის ბანდის მიერ ჩადენილი დანაშაულების გამო შექმნილი 15-ტომიანი საქმე კარგა ხანს გაუხსნელი იდო და სულ ცოტა ხნის წინ, მას შემდეგ, რაც ინგლისელი ბანკირის პიტერ შოუს გათავისუფლება მოხდა, უშიშროების სამინისტროს გადაეცა.

რამდენიმე დღის წინ უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა დააკავეს ესპანელ ბიზნესმენთა გამტაცებელი, შოთა ჭიჭიაშვილის ჯგუფის წევრი, 25 წლის ალენ ბორჩაშვილი. უშიშროების სამინისტრომ ალენ ბორჩაშვილის დაპატიმრების შემდეგ, ადამიანის გამტაცებელთა ჯგუფის წევრებზე - შოთა ჭიჭიაშვილსა და მისი ბანდის 7 წევრზე ძებნა გამოაცხადა.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ალენ ბორჩაშვილმა, შოთა ჭიჭიაშვილთან ერთად, პანკისის ხეობა დატოვა. ისინი ჯერ ბაქოში იმყოფებოდნენ, ხოლო შემდეგ მოსკოვს შეაფარეს თავი, საიდანაც ბორჩაშვილი პანკისში დაბრუნდა. ქართველმა ძალოვანებმა შოთა ჭიჭიაშვილის ადგილსამყოფელის შესახებ სწორედ ბორჩაშვილისგან შეიტყვეს. შეტყობინება ოპერატიულად "დაამუშავა" საქართველოს შსს-ს წარმომადგენელმა რუსეთში, გენერალ-მაიორმა თემურ კვერნაძემ. ანუ, ჭიჭიაშვილის დაპატიმრების ოპერაცია სწორედ მან ჩაატარა.

სააგენტო "ექსპრესის" მიერ ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაციით, პანკისისხეობელი ქისტი კრიმინალი, 10 დღეა, რაც მოსკოვში იმყოფებოდა და კლიაზნიანის ქუჩაზე მდებარე მისი ცოლის დის სახლში ცხოვრობდა. შოთა ჭიჭიაშვილი გუშინ, მოსკოვის დროით ოთხ საათზე, სიძის ივანე ილიაევის სახლში დააკავეს. მას სამართალდამცველებისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. სააგენტო "ექსპრესის" ინფორმაციით, ჭიჭიაშვილი მოსკოვში თემურ ბეგჩიტაევის სახელზე გაკეთებული ყალბი პასპორტით ცხოვრობდა.

ქართველი სამართალდამცველების მიერ 1997 წლიდან ძებნილი შოთა ჭიჭიაშვილი ამჟამად მოსკოვის წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება და უახლოეს დღეებში მისი თბილისში ექსტრადიცია განხორციელდება.

ქისტი ვაჰაბიტის შოთა ჭიჭიაშვილის კრიმინალური "არქივი" სოლიდურად გამოიყურება. ცნობილ ჩეჩენ ადამიანით მოვაჭრეებთან ერთად, სწორედ ჭიჭიაშვილის ჯგუფის მიერ იყო ორგანიზებული ესპანელი ბიზნესმენებისა და ინგლისელი პიტერ შოუს გატაცება. მან დაატყვევა წითელი ჯვრის წარმომადგენლები, რომელთა გათავისუფლების სანაცვლოდაც პრეზიდენტის მიერ გაცემული ხელშეუხებლობის გარანტია მიიღო. ჭიჭიაშვილის მძევლობაში იმყოფებოდა პარლამენტარი პეტრე ცისკარიშვილი.

მან გაიტაცა ცნობილი კასპელი ბიზნესმენის, რუსეთში ნავთობბიზნესში აქტიურად მომუშავე ნუგზარ წიკლაურის მამა ფირუზ ხოშაბაევი. გატაცებული პანკისში "ბაწარას ნაკრძალში" – ტყეში, სპეციალურად გატაცებულ მძევალთათვის აშენებულ ქოხში ჰყავდათ დამალული და მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც სოლიდური გამოსასყიდი მიიღეს - 200 ათასი. ჭიჭიაშვილის ჯგუფის სახელთანაა დაკავშირებული ებრაელთა რაბინის არიელ ლევინის გატაცება. ერთი სიტყვით, შოთა ჭიჭიაშვილის ბიოგრაფია კრიმინალური შტრიხებით გადატვირთულია. "24 საათი" ჭიჭიაშვილის საქმის შესახებ უკვე წერდა. მალე შოთა ჭიჭიაშვილის საქმეს ახალი დეტალი დაემატება – მამა ბასილ მაჩიტაძის გატაცება. არსებული ინფორმაციით, ეს გატაცებაც მისი დაგეგმილია.

პრეზიდენტი სპეციალურ მოხსენებას ამზადებს

მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებების შინაარსი გუბერნატორებსა და მერებს არ დაუკონკრეტებიათ, გუშინ კანცელარიაში რამდენიმე საგულისხმო განცხადება გაკეთდა:

ზოდელავა ირწმუნება, რომ ჯორბენაძის გუნდის წევრია

თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ კიდევ ერთხელ უარყო სახელმწიფო მინისტრთან - ავთანდილ ჯორბენაძესთან დაპირისპირება და ამას "აგორებული თემა" უწოდა. **"მე და სახელმწიფო მინისტრი ერთი გუნდის წევრები ვართ და ყველა საკითხს ერთად გადავწყვეტთ,"** - აღნიშნა მან.

კვიციანი გადადგომას არ აპირებს

"გადადგომის გადაწყვეტილება არ მიმიღია და ამ ნაბიჯის გადადგმას არც ვაპირებ," - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა კოდორის ხეობაში ემზარ კვიციანმა გუშინდელი შეხვედრის შემდეგ.

რწმუნებულმა კატეგორიულად უარყო აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის ყველა ბრალდება და განცხადებას კოდორის ხეობაში რუსული ჯარის შეყვანის დაგეგმვის თაობაზე "აბსურდული" უწოდა. კვიციანის მტკიცებით, იგი კოდორის ხეობაში დარჩება და იქ მტერს შესვლის უფლებას არ მისცემს.

"დღეს ხეობაში მასმედიის წარმომადგენლები მოვიწვიეთ, რათა თავად დარწმუნდნენ, რომ ხეობაში სიმშვიდეა და არანაირ ყაჩაღობას ადგილი არ აქვს," - განაცხადა რწმუნებულმა ვაჟა ავალიანის ოჯახზე თავდასხმის კომენტირებისას. კვიციანმა ნადარეიშვილთან შერიგების შესაძლებლობა არ გამორიცხა, თუმცა ამისათვის ნადარეიშვილის მიერ წაყენებული ბრალდებების გამო ბოდიშის მოხდა მოითხოვა. რაც შეეხება პრეზიდენტთან შეხვედრას, რწმუნებულის თქმით, საუბარი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს, კერძოდ, ბიუჯეტის შესრულების საკითხებს შეეხო.

შაშიაშვილი "ზედმეტების" მოცილებას ითხოვს

გუშინ, როგორც ყოველთვის, განსაკუთრებულად სიტყვაუხვი გახლდათ იმერეთის გუბერნატორი თემურ შაშიაშვილი. მან განცხადა, რომ 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში იგი მხარს არ დაუჭერს სახელისუფლებო ბლოკ "ახალი საქართველოსთვის", თუ ეს გაერთიანება არ გათავისუფლდა ზოგიერთი ადამიანისგან.

ამასთან, მან არ დააკონკრეტა ამ პირების ვინაობა, თუმცა აღნიშნა, რომ **"არ შეიძლება პოლიტიკური გაერთიანებები დარგების და სხვა ნიშნის მიხედვით ყალიბდებოდეს".** მან მაგალითისათვის რკინიგზელთა გაერთიანება, მოძრაობა "აბრეშუმის გზა ახალი საქართველოსთვის" და "სვანები ახალი საქართველოსთვის" დაასახელა.

შაშიაშვილმა გუშინ ისიც განაცხადა, რომ შეხვედრაზე პრეზიდენტი დაეთანხმა გუბერნატორის პოზიციას იმის შესახებ, რომ არ შეიძლება სახელისუფლებო ბლოკმა **"ყველას გაუღოს კარი"**, მათ შორის - სუსტ პარტიებს. მათ ხელისუფლების მხარდაჭერით გარკვეული შანსები მიეცათ თავისი წარმომადგენლების პარლამენტში გასაყვანად.

თავად პრეზიდენტთან გამართული შეხვედრის კომენტირებისას შაშიაშვილმა ასევე განაცხადა, რომ **"პოლიტიკურ სპექტრზე ბინძური დღეს ქვეყანაში არაფერია. როცა მინისტრები რეგიონებში საკადრო ცვლილებებს ადგილობრივი ხელისუფლების დაუკითხავად ახორციელებენ, ეს სხვა არაფერია, თუ არა თავხედობა"**.

მისი კრიტიკის ობიექტი დღეს კიდევ ერთხელ გახდა სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა. **"ის, რაც დღეს ენერგეტიკის სფეროში ხდება, ყოვლად გაუმართლებელია. ჩვენ რომ კორუფციასთან ბრძოლაში დავმარცხდით, სწორედ იმის ბრალია, რომ ზოგიერთები სავარძლებს დღემდე იკავებენ და აქეთ გვიქნევენ თითს,"** - აღნიშნა მან.

მანვე განაცხადა, რომ პრეზიდენტი დღევანდელი მთავრობის სხდომისთვის სერიოზული განცხადებების გაკეთებას გეგმავს, რაც პრეზიდენტის რწმუნებულმა კახეთის რეგიონში ბიძინა სონღულაშვილმაც დაადასტურა.

მამალაძე შიშობს, რომ ხელისუფლებაში "გიჟები, გადარეულები და ნარკომანები" მოვლენ

საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა ქვემო ქართლში ლევან მამალაძემ, ტრადიციისამებრ, ხელიდან არ გაუშვა ოპოზიციის ქმედებების ან "შესაძლო ქმედებების" კომენტირების შანსი. მან რადიკალურად განწყობილი პოლიტიკური ძალების მიერ ეთნიკურად ჭრელ რეგიონებში არეულობის პროვოცირების საფრთხეზე ისაუბრა.

"რადიკალებმა დედაქალაქში სახალხო მღელვარების გამოწვევა ვერ შეძლეს და არეულობის პროვოცირებას პერიფერიებში შეეცდებიან, თუმცა ჩვენ ამისათვის მზად ვართ", - განაცხადა მამალაძემ პრეზიდენტ შევარდნაძესთან შეხვედრის დასრულების შემდეგ.

რწმუნებულის თქმით, ეს საკითხები შეხვედრაზე სოციალური პრობლემების ჭრილში იქნა განხილული. **"სოციალური ხასიათის პრობლემები, რომლებიც დღევანდელი შეხვედრის ერთ-ერთი ძირითადი თემა იყო, სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს, რათა რადიკალურმა ძალებმა მათი მოუგვარებლობა პოპულისტური მიზნებისთვის არ გამოიყენონ,"** - განმარტა მან.

რაც შეეხება არჩევნების საკითხს, მამალაძის მტკიცებით, დღევანდელ შეხვედრაზე საარჩევნო პრობლემატიკა არ განხილულა, რადგან სახელისუფლებო ძალა ამ არჩევნებისთვის ისედაც მზადაა. აქვე მამალაძემ განაცხადა, რომ **"არჩევნები აუცილებლად ობიექტურად და სამართლიანად უნდა ჩატარდეს, რათა გიჟებმა, ნარკომანებმა და გადარეულებმა ხელისუფლებაში მოსვლა ვერ შეძლონ".** ცხადია, მამალაძეს ამჯერად სახელისუფლებო ბლოკის **"გიჟები, გადარეულები და ნარკომანები"** არ ჰყავდა მხედველობაში.

პრესა არჩევნებისთვის ემზადება

პირველი გვერდიდან

გუშინ, სემინარ-კონფერენციის პირველივე სამუშაო დღეს, არჩევნების გაშუქების კუთხით, პრესის წარმომადგენლებმა კოკრეტული საკითხები წამოჭრეს. მათ შორის, ერთ-ერთი მთავარი საკითხი რეგიონებში სტამბების უქონლობაა.

ამ პრობლემის გადაჭრას კავკასიის ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრის დირექტორმა მარინა ვაშაყმაძემ მარტივი, მაგრამ საიმედო გზა უპოვა:

"თუ თქვენ, რეგიონული პრესის წარმომადგენლები, შეძლებთ რაიმე ასოციაციის ან თუნდაც სხვა ნიშნის ქვეშ გაერთიანებას, მაშინ შანსი გექნებათ, სერიოზული გრანტი მოიპოვოთ და საქართველოს რამდენიმე რეგიონში სტამბები დააარსოთ. ეს კი მნიშვნელოვნად გაგიადვილებთ არჩევნების პერიოდში მოსახლეობის ობიექტურად ინფორმირებას... ვინც გაერთიანდა, იმან მოიგო, რაც შეეხება სახელს - თქვენვე გადაწყვიტეთ ეს საკითხი". ამასთან მარინა ვაშაყმაძემ, ისიც დასძინა, რომ, სამწუხაროდ, მოახლოებული საპარლამენტო არჩევნებისათვის ამ გეგმის განხორციელება ვერ მოესწრება, მაგრამ წინ საპრეზიდენტო არჩევნებია.

ამ იდეას გამოეხმაურნენ კონფერენციის მონაწილეები.

კონფერენცია-სემინარი 27 ივნისს დასრულდება. სავარაუდოდ, დასკვნითი აქტი იქნება თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელსაც შეხვედრის მონაწილეები გააფორმებენ.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

გასაღები - მოსკოვში, ბოქლომი - ვაშინგტონში, კარი კი - საქართველოში

სოფო ბუკია

აფხაზეთის ტერიტორიაზე დევნილთა დაბრუნების პერსპექტივებს, რუსი სამშვიდობოების მანდატის საკითხსა და, საერთოდ, აფხაზეთის პრობლემის გასაღების ადგილსამყოფელს არკვევდნენ გუშინ რადიო "იმედის" ოფისში გამართული მრგვალი მაგიდის სტუმრები - საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი, გაერო-ს სპეცწარმომადგენელი საქართველოში ჰაიდი ტალიავინი, რუსეთის ელჩი საქართველოში ვლადიმერ ჩხიკვიშვილი, თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი და უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნიკა ვაშაკიძე.

ბაბო ბელაკვილის ფოტო

აფხაზეთის კონფლიქტის ირგვლივ დისკუსიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ერთიანი პოზიციის არქონა.

მრგვალი მაგიდის მონაწილეებს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების გასაღები სხვადასხვა მხარეს ეგულებათ. დიპლომატი მენაღარიშვილი გასაღების კონკრეტულ ადგილსამყოფელს არ ასახელებს, რუსეთის ელჩი ჩხიკვიშვილი და ქალბატონი ტალიავინი მას სოხუმსა და თბილისში ხედავენ. ნადარეიშვილი კი, რომელიც გუშინ მთელი შეხვედრის განმავლობაში თავს ოპოზიციონერად გრძნობდა, გასაღების ადგილსამყოფელის ორიგინალურ ვარიანტს ასახელებს: **"აფხაზეთის პრობლემის მოგვარების გასაღები მოსკოვშია, ბოქლომი – ვაშინგტონში, კარი კი საქართველოში".**

მენაღარიშვილის განცხადებით, აფხაზეთის საკითხისადმი გულგრილობაში საქართველოს ხელისუფლებას ნამდვილად ვერ დაადანაშაულებ. **"აფხაზეთის თემაზე გეგმების და ღონისძიებების ნაკლებობას არ განვიცდით,"** – ამბობს მინისტრი, მაგრამ რა შედეგები მოჰყა ამ "გეგმებსა და ღონისძიებებს", ვერ აკონკრეტებს.

ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებად მინისტრი მოსკოვში ცოტა ხნის წინ აფხაზეთის თემაზე გამართულ ქართულ-რუსულ მოლაპარაკებებს ასახელებს: **"მოლაპარაკებები იმედის მომცემი იყო და შეიძლება დევნილთა დაბრუნების ხელშემწყობიც გახდეს. ხშირად კითხულობენ: სად ვაბრუნებთ დევნილებს? ყველას გასაგონად ვიტყვი: დევნილები ბრუნდებიან საქართველოს ძირძველ მიწაზე. დევნილთა დაბრუნებით კიდევ ერთხელ დადასტურდება ის ფაქტი, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია."**

"საქართველოსთან მიმართებაში აშშ-სა და რუსეთს შორის ინტერესთა სრული თანხვედრაა," – საგარეო საქმეთა მინისტრის ამ განცხადებამ, ნადარეიშვილისგან "დიპლომატიური რევერანსის" იარლიყი დაიმსახურა: **"რა ინტერესთა თანხვედრაზეა საუბარი? სანამ ჩვენ რევერანსებს ვუკეთებთ ხან რუსეთს, ხან ამერიკას, ისინი ამასობაში საქართველოსა და კავკასიას ინაწილებენ. ამერიკასა და რუსეთს შორის ინტერესთა დიდი კონფლიქტია და იგი იარსებებს, სანამ კავკასია საბოლოოდ არ განაწილდება".** შემდეგ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ გვერდზე მჯდომ რუსეთის ელჩს გადახედა და აღნიშნა: **"მე რომ დევნილებთან ერთად აფხაზეთის ტერიტორიას მივადგე, ყველაზე დიდი წინააღმდეგობა რუსეთის სამშვიდობო ძალებისგან მელის."**

"რუსი სამხედროები, კარგა ხანია, მესაზღვრეების ფუნქციას ასრულებენ, ისინი აფხაზეთის სეპარატისტულ ე.წ. მიკრო-სახელმწიფოს საზღვრებს დარაჯობენ," – განავრცო სამშვიდობოების თემა ირაკლი ბათიაშვილმა. ბათიაშვილის ამ მოსაზრებას დაეთანხმა მალხაზ კაკაბაძეც, რომელიც მიიჩნევს, რომ დევნილთა აფხაზეთში დაბრუნებას სწორედ რუსი სამხედროების ფაქტორი აბრკოლებს.

რუსეთის ელჩის, ვლადიმერ ჩხიკვიშვილის თქმით, რუსი სამხედროები პოლიტიკური მოლაპარაკებებისთვის საჭირო ფონს ქმნიან, რუსეთის ბიუჯეტიდან უზარმაზარი თანხებით ფინანსდებიან და თავს საფრთხეში იგდებენ. **"აფხაზეთში 100-მდე რუსი სამხედრო დაიღუპა,"** – აღნიშნა ჩხიკვიშვილმა და ქართული მხარე მშვიდობისმყოფელთა მოღვაწეობის არაობიექტურ შეფასებაში დაადანაშაულა.

"სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: არც ერთი რუსი სამხედრო არც სამშვიდობო მისიის შესრულების დროს და არც ქართველის ხელით არ დაღუპულა. რვა წელიწადში 82 სამხედრო დაიღუპა, ამათგან 13 ჯარისკაცი ერთ-ერთი რუსი სერჟანტის ბრძანებით დაიხვრიტა, 14 ზღვაში დაიხრჩო, 14 აფხაზურ-რუსულ "საქმის გარჩევებს" ემსხვერპლა, ხოლო შვიდი - გავლენის სფეროების განაწილებას, – ზეპირად ჩამოთვალა ნადარეიშვილმა და დააკონკრეტა, რომ "უზარმაზარ თანხებს" რუსეთი მხოლოდ საკუთარ პოლიტიკურ ინტერესებს ახმარს და არა - აფხაზებისა და ქართველების კეთილდღეობას, - **რუსი სამშვიდობოები ის ხალხია, ვინც თავის დროზე ქართველების წინააღმდეგ იბრძოდნენ და აფხაზებს ეხმარებოდნენ. დღეს ისინი იცავენ იმას, რაც დაიპყრეს."**

გაერო-ს გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენელი საქართველოში ჰაიდი ტალიავინი კოდორის ხეობის შემდგომი პატრულირების საკითხს შეეხო და აღნიშნა, რომ გაერო-ს შტაბ-ბინიდან მიღებული მითითების თანახმად, გაერო-ს დამკვირვებლები კოდორის ხეობის პატრულირებას დროებით შეწყვეტენ, ვინაიდან შესამუშავებელია უსაფრთხოების დამატებითი მექანიზმები. **"იმედი მაქვს, კოდორის ხეობაში პატრულირების პროცესი უმოკლეს დროში განახლდება, რადგან ეს ჩვენი მანდატით არის გათვალისწინებული,"** – აღნიშნა ტალიავინმა.

ხაბურძანიამ ატამანს აწყენინა

რუსუდან ნიკურაძე
საკ. კორ. მოსკოვში

24 ივნისს აფხაზეთის კაზაკთა რუსული სათვისტომოს უმაღლესმა ატამანმა ოლეგ პეტროვმა გააკეთა განცხადება, რომელიც მოსკოვის პოლიტიკურმა წრეებმა აფხაზეთის კონფლიქტის არამშვიდობიანი გზით მოგვარების შესაძლებლობაზე საქართველოს უშიშროების მინისტრის ხაბურძანიას განცხადების პასუხად აღიქვეს.

რამ გაანაწყენა პეტროვი და რისკენ მოუწოდებს უმაღლესი ატამანი თანამოაზრეებს?

განცხადებაში ვკითხულობთ:

"უკანასკნელ დროს გახშირდა საქართველოს ძალოვანი მინისტრების განცხადებები აფხაზური კონფლიქტის ძალისმიერი გზით გადაჭრაზე. საბრძოლო შესაძლებლობების ამაღლებისა და აფხაზეთის კაზაკთა რუსული სათვისტომოს ნაწილების მზადყოფნისათვის, ვბრძანებ:

დაზუსტდეს ამ ნაწილების საბრძოლო მზადყოფნისა და რუსეთის კაზაკობასთან ურთიერთმოქმედების გეგმა.

ქალაქებისა და რაიონების ატამანებმა დააზუსტონ პირადი შემადგენლობის ხელთ არსებული შეიარაღება, საბრძოლო მასალები და ტექნიკა.

აფხაზეთის კაზაკთა რუსული სათვისტომოს უმაღლესი ატამანი ოლეგ პეტროვი"

რუსეთის პარლამენტში ფიქრობენ, რომ ქართველი მინისტრის განცხადება სხვა არაფერია, თუ არა აფხაზეთის შეიარაღებული ფორმირებების ერთგვარი მონიტორინგი. **"დამაფიქრებელია, როცა ქართველი მინისტრები საომარ მეთოდებზე სერიოზულ განცხადებებს აკეთებენ, ეს უფრო მკლავის გადაწევის აქციაა, ვიდრე სერიოზული ფაქტი. ამაზე ყურადღების მიქცევა არ ღირს, თუმცა, თუკი ქართულ-აფხაზური პირველი ომის საბოლოო შედეგებს გავიხსენებთ, კაზაკებისა და კონფედერანტების მუქარა სერიოზულია იმდენად, რამდენადაც მოხალისეთა რაზმების შეჩერებას რუსეთის პრეზიდენტი და ხელისუფლება ვერ შესძლებს,"** - ამბობს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე დმიტრი როგოზინი.

რუსეთის სახელმწიფო დუმის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის გეოპოლიტიკის კომისიის კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის სამუშაო ჯგუფის უფროსი, რუსეთის კონტრდაზვერვის მაიორი ალექსეი ვაშჩენკო ადასტურებს, რომ დღეს სრული მობილიზაცია მიმდინარეობს არა მარტო აფხაზეთის და რუსეთის სხვა რეგიონების კაზაკთა რაზმებში, არამედ მთიელ ხალხთა კონფედერაციაშიც. უფრო მეტიც, მაიორი ვაშჩენკო აფხაზეთზე გალაშქრების შემთხვევაში აფხაზეთიდან საქართველოს ტერიტორიების დაბომბვასა და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ომს აპირებს.

საგულისხმოა, რომ 24 ივნისს მოსკოვში ჩამოვიდა და რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან კონსულტაციებს მართავს აფხაზეთის პრემიერი რაულ ხაჟიმბა. ოფიციალურად მისი მოსკოვში ყოფნის მთავარი მიზანია სოჭი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალის ამოქმედება. თავად პრემიერი მოსკოვში ჟურნალისტებს არ ხვდება, ხოლო რუსეთის დედაქალაქში არძინბას წარმომადგენელი იგორ აჰბა "24 საათისათვის" მიცემულ ინტერვიუში ამბობს, რომ რუსეთის ხელისუფლების მინისტრებთან შეხვედრაზე მიდის ნორმალური და კონკრეტული საუბარი სარკინიგზო მიმოსლვის განახლების ეკონომიკურ სარგებლიანობაზე. ნაწილობრივ, რუს მინისტრებთან აფხაზეთის დანგრეული ეკონომიკის რეაბილიტაციაზეც იმართება კონსულტაციები.

რუსეთის პარლამენტის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვიაჩესლავ იგრუნოვი ჩვენი გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებს:

"ასეთი განცხადებების საკეთებლად განსაკუთრებით საშიშია ის პერიოდები, როცა რუსეთის პრეზიდენტი საგარეო ტურნეში იმყოფება. არ გამოვრიცხავ, რომ რუსეთში პოლიტიკური სეზონის პასიურობამ და პირველი პირის კრემლში არყოფნამ დესტრუქციული ძალების გააქტიურება გამოიწვიოს. ღმერთმა ნუ ქნას და ომის შემთხვევაში დასაშვები იქნება ყველაფრის არაოფიციალურ, კომერციულ და ხელისუფლების მიერ გაუკონტროლებელ სტრუქტურებზე გადაბრალება".

ქართულმა "გაგებამ" უნგრელზე ვერ გაჭრა

ევროსაბჭოს უნგრელი დეპუტატი იორში ამტკიცებს, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა უნგრელ კოლეგას დაურეკა და იორშზე ზეწოლა სთხოვა.

გუშინ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტზე საქართველოს საკითხი განიხილეს.

მონიტორინგის კომისიის წევრმა, ბულგარელმა დეპუტატმა ევგენი კირილოვმა სხდომის შემდეგ განაცხადა: **"კომიტეტმა დაკარგა იმედი, რომ კანონში არჩევნებისა და საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების შესახებ შევა ცვლილებები, რომლითაც შესაძლებელი იქნება არჩევნების პატიოსნად ჩატარება."**

კირილოვმა გაიხსენა ისიც, რომ საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანებისას ნდობის დიდი კრედიტი მისცეს და ეს კრედიტი, პრაქტიკულად, ამოწურულია. კირილოვის თქმით, კომიტეტის ყველა წევრი კრიტიკულადაა განწყობილი საქართველოში წინასაარჩევნოდ არსებული ვითარებისადმი; არანაირი წინსვლა არ იგრძნობა - ამომრჩეველთა სიებისა და საარჩევნო კომისების ფორმირება, ახალი კანონის საფუძველზე, ერთდროულად უნდა ხდებოდეს.

კომიტეტზე გადაწყდა, რომ მონიტორინგის ჯგუფი საქართველოში აგვისტოს ბოლოს - სექტემბრის დასაწყისში ჩამოვა. თუ ამ დრომდე ნამდვილად დემოკრატიული კანონი "არჩევნების შესახებ" მიღებული არ იქნება, მაშინ საქტემბერში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე საქართველოს საკითხი დაისმება. თუ ახალი დემოკრატიული კანონი მონიტორინგის ჯგუფის ჩამოსვლამდე იქნება მიღებული, მაშინ საქართველოში ჩატარებული არჩევნების საკითხი მომავალი წლის იანვარში განიხილება.

პარლამენტის წევრმა ელენე თევდორაძემ სხდომის შემდეგ ემოციების შეკავება ვეღარ შესძლო. მისი განცხადებით, მონიტორინგის ჯგუფის უნგრეელმა წევრმა იორშმა განაცხადა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრმა მენაღარიშვილმა დაურეკა უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრს და დეპუტატზე ზეწოლა სთხოვა. ელენე თევდორაძის თხოვნით, კომიტეტმა გადაწყვიტა ედუარდ შევარდნაძისათვის მიმართვის გაგზავნა, რათა მან მოიწვიოს პარლამენტის საგანგებო სესია, რომელზეც ბოლოს და სბოლოს მიიღებენ კანონს არჩევნების შესახებ.

24 საათი

"დაკარგული კონტექსტის ძიებაში"

მაია ურუშაძე

"ამ სამიოდე წლის წინ თსუ-ს ესთეტიკის ფაკულტეტის სტუდენტები სალვადორ დალის ერთი შედევრის გარშემო ბჭობდნენ – სურათს დალისათვის ჩვეული უჩვეულო სათაური ჰქონდა: "გეოპოლიტიკური ბავშვი ახალი ადამიანის გაჩენას ჭვრეტს". შეგახსენებთ: ნახატი გამოსახავს დევგმირ-კოლოსის გამოჩეკვას დაკვერცხილი სფეროდან, ხოლო დედა (სწორედ იმ "გეოპოლიტიკური ჩვილის" მშობელი) ხელგაწვდილი და თითგაშვერილი, მომხდარს დასტურჰყოფს...

ახალგაზრდული მაქსიმალიზმით შეპყრობილი აუდიტორია ამ ტილოს თანდართული გეოპოლიტიკური ხდომილებების კვალად განმარტავდა – კოლოსის თავი ჩრდილო ამერიკიდან ჩნდება, ხელი მისი ბრიტანეთის კუნძულებზე პოულობს საყრდენს და ა.შ. და ა.შ. იქნება და, სწორედ ამგვარი გახლდათ გენიალური სიურეალისტის მიერ მომავლის რეალისტური ხედვა, ოღონდ, სტუდენტებმა ახლა "გეოპოლიტიკური დედის" გაწვდილ ხელსაც მიადევნეს თვალი – იგი კვერცხ-გლობუსის ერთ გარკვეულ წერტილს მიათითებს, თითქოსდა, მისი გამორჩეული მნიშვნელობის აღსანიშნავად; ხოლო ალაგი ესე, მიხვდით ალბათ, – კავკასიაა!" – წერს ჟურნალ "კაუკაზუს კონტექსტი"-ს ქართული ვერსიის პირველივე ნომრის გამხსნელ სტატიაში - "დაკარგული კონტექსტის ძიებაში" - ჟურნალის რედაქტორი ზურაბ ქარუმიძე.

ჟურნალი სენტ-ლუისის ჯორჯ ვაშინგტონის სახელობის უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი ძალისხმევით მომზადდა. მისი საპატიო საბჭოს წევრი სენტ-ლუისელი პროფესორები ჯეიმს უერჩი და უეინ ფილდსი, იმავდროულად, ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიების ავტორებიც არიან. მაღალპოლიგრაფიულ დონეზე მომზადებული გამოცემა, რომელიც სტრატეგიულ და კულტუროლოგიურ კვლევათა აშშ-კავკასიის ინსტიტუტმა გამოსცა, ქართულ-ამერიკული დიალოგის გაღრმავებასა და ინტელექტუალური ღირებულებების გაცვლას ისახავს მიზნად.

"კავკაზუს კონტექსტი"-ს ინგლისურენოვანი ვერსია მარტში გამოვიდა და, როგორც პროექტის ერთ-ერთი ორგანიზატორი, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი გიორგი ჭანტურია აღნიშნავს, ამერიკის სამეცნიერო, საუნივერსიტეტო და პოლიტიკურ წრეებში საკმაოდ მაღალი შეფასება დაიმსახურა. უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისურენოვანი CaucasUS Context ქართულენოვანისაგან შინაარსობრივადაც განსხვავდება, რადგან ერთი გამოცემის მიზანი – ამერიკელი საზოგადოებისთვის ქართული კულტურისა და სამეცნიერო პოტენციალის გაცნობაა, მეორისა კი – ქართველი მკითხველის წინაშე ამერიკული ხედვის წარმოჩენა.

"ამერიკულ-კავკასიური ინსტიტუტის ფუნქციონირება უმნიშვნელოვანესია იმ დინამიკის ფონზე, რომელიც ხდება მსოფლიოში. ეს არის კიდევ ერთი ძალიან დიდი შანსი, რომ საქართველო ახალი კუთხით და ახალი სტატუსით წარდგეს ამერიკის საზოგადოების წინაშე, – მიიჩნევს გიორგი ჭანტურია და იმედოვნებს, რომ ეს ინსტიტუტი ამ ჟურნალის გამოშვებით არ შემოიფარგლება, - **ქართველ და ამერიკელ ინტელექტუალთა დისკუსიები მიმდინარეობს და გაგრძელდება კიდეც. ამ დიალოგის საფუძველზე შესაძლებელი გახდება, გავაცნობიეროთ ჩვენი უმთავრესი ამოცანები და ის ღირებულებები, რომლითაც 21-ე საუკუნეში უნდა ვიაროთ,"** – აცხადებს ჭანტურია.

"ქართულ-ამერიკული დიალოგის" თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სენტ-ლუისის უნივერსიტეტს შორის სტუდენტების გაცვლაც მიმდინარეობს: სენტ-ლუისს ქართველი სტუდენტების ორი ჯგუფი უკვე ესტუმრა. "დიალოგის" პროექტს, ძირითადად, ამერიკული მხარე, აშშ-ს საგანმანათლებლო სისტემის მიერ გამოყოფილი გრანტებით აფინანსებს.

ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგება ბრალდებების ფონზე

პირველი გვერდიდან

ზოგჯერ იმდენად გამჭვირვალეც, რომ საქართველოს ხელისუფლება ვერ (ან არ აუდის) რუსულ კონტრაბანდას, ხოლო ცხინვალის რაიონი თბილისიდან გატაცებული მანქანების დიდ ბაზრობად იქცა.

ამ უკანასკნელმა ბოლო წლებში ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სამხრეთ ოსეთს "კრიმინალთა ბუდე" უწოდა და წლის დასაწყისში, იძულებული გახდა, პოლიციელების რაზმებით გაეძლიერებინა ცხინვალის მოსაზღვრე ქართული სოფლების - თამარაშენისა და კეხვის საგზაო საგუშაგოები.

ეს გაძლიერებული რეჟიმი კონფლიქტის ზონაში დღემდე მოქმედებს, რის გამოც ცხინვალის ხელისუფლება დაბნეულია - იგი აშკარად ვერ ეწინააღმდეგება კრიმინალების წინააღმდეგ დაწყებულ ღონისძიებებს, მაგრამ ვერც იმას ეგუება, რომ ქართველმა პოლიციელებმა ოს სამართალდამცველებს ინიციატივა ხელიდან გამოსტაცეს. ამიტომ, ცხინვალმა არაერთხელ მოუწოდა ქართულ მხარეს, გაუქმებულიყო ბლოკ-საგუშაგოები და მათ ნაცვლად, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სამართალდამცველ ორგანოთა საკოორდინაციო ცენტრი ამოქმედებულიყო. თუმცა, ამაზე ქართულმა მხარემ წამოაყენა შემხვედრი წინადადება, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ ქართულ პოლიციას მისცემოდა საშუალება, ცხინვალშიც შესულიყო და იქაც ეკონტროლებინა ვითარება. ამ წინადადებას კი ოსური მხარე არ დაეთანხმა. საბოლოოდ ამ საკითხის გარკვევა შერეული საკონტროლო კომისიის სხდომისთვის გადაიდო, რომელიც მუშაობას მოსკოვში, ოფიციალურად, 24 ივნისს შეუდგა.

საქართველოს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის ირაკლი მაჭავარიანის განმარტებით, შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა ტრადიციულ ფორმატში - კონფლიქტის მხარეების, რუსეთის, ეუთო-ს, გაერო-სა და ევროკომისიის დელეგაციის წარმომადგენლების მონაწილეობით მიმდინარეობს. **"ეს არის ეკონომიკური ბლოკის საკითხები, კერძოდ, რუსეთ-საქართველოს შეთანხმება ეკონომიკურ რეაბილიტაციაზე და ევროკომისიის პროგრამა ასევე რეაბილიტაციაზე. მესამეა, სამართალდამცველთა ურთიერთქმედების საკითხი, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების პრობლემა, და ბოლოს, შერეული საკონტროლო კომისიის ბიულეტენის გამოსვლა,"** - განაცხადა ჩვენთან სატელეფონო საუბარში საქართველოს პრეზიდენტის პირადმა წარმომადგენელმა ირაკლი მაჭავარიანმა, რომელიც ვარაუდობს, რომ ამ ბიულეტენში აისახება კონფლიქტის მოწესრიგების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები, რაზეც ძალიან ხშირად, თურმე, არაკომპეტენტური და გადაუმოწმებელი ინფორმაციები ვრცელდება.

ეს იდეა, როგორც ჩანს, მეტად დროულია, რადგან, ზოგიერთი ინფორმაციის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ მაჭავარიანს "ენამ უყივლა".

24 ივნისს ქართულმა სააგენტო "კავკას-პრესმა" გაავრცელა ქართულ-ოსური შერეული საკონტროლო კომისიის სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლის, ბორის ჩოჩიევის მიმართვა საქართველოს პრეზიდენტისადმი, რომელშიც ოსი პოლიტიკოსი ირაკლი მაჭავარიანს 2000 წლის 23 დეკემბრის შეთანხმების ჩაგდებაში ადანაშაულებს. ამავე სააგენტოს ცნობით, მიმართვაში ნახსენებია 2,5 მილიონი ევროს ოდენობის თანხა, რომლითაც, თურმე, ამ შეთანხმების თანახმად, კონფლიქტის ზონაში კონკრეტული პროგრამები უნდა განხორციელებულიყო.

ამ ბრალდებებს ირაკლი მაჭავარიანი აბსურდულს უწოდებს და ასეთი კონტრარგუმენტი მოჰყავს:

"ამის მთქმელს ისიც კი არ ესმის, რომ ეს ორი სხვადასხვა საკითხია. 2000 წლის 23 დეკემბერს ხელი მოეწერა სწორედ რუსეთ-საქართველოს სამთავრობათაშორისო შეთანხმებას კონფლიქტის ზონაში აღდგენითი სამუშაოების შესახებ. ხოლო 2,5 მილიონი ევროს პროგრამა, ეს არის ევროკავშირის პროგრამა. საერთოდ, ჩვენ ვცდილობთ, რომ როცა რაღაცას შევიმუშავებთ და ხელს მოვაწერთ, ის შევასრულოთ კიდეც. მაგრამ ყოველთვის ასე არ გამოდის ხოლმე. იმიტომ, რომ მხარეთა ინტერესებს შორის არის სხვაობები. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც კომპრომისის შედეგია, არ სრულდება, რადგან რომელიღაც მხარეს ჰგონია, რომ მან მეტი დათმო."

აღსანიშნავია, რომ თავად ბორის ჩოჩიევი სამხრეთ ოსეთის მხრიდან შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეა და ისიც მოსკოვში იმყოფება. აღნიშნული ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ, როგორც ჩანს, საქმეს ჯერჯერობით ვერ უშველა საქართველოს პრეზიდენტის კიდევ ერთი პირადი წარმომადგენლის, სოციალისტთა ლიდერის ვახტანგ რჩეულიშვილისა და თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის 2003 წლის იანვრის ზეპირმა შეთანხმებამ, რომლის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ 2003 წელი მხარეთა შორის ნდობის აღდგენის წლად ქცეულიყო. ისე, კაცმა რომ თქვას, კონფლიქტის მოგვარებაში მთავარი პრობლემა სწორედ ნდობის აღდგენაა. დანარჩენი კი, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმეა.

მაგრამ, სანამ ქართველი და ოსი პოლიტიკოსები საკუთარ კომპრომისებს ინანიებენ, ოსმა და ქართველმა სტუდენტებმა, ერთი თვის წინ, პოლიტიკოსების გარეშე, მშვენივრად მოახერხეს გორში შეხვედრა და ერთმანეთთან დაახლოება. ეუთო-ს დახმარებით იგეგმება თბილისსა და ცხინვალს შორის ტელეხიდის გამართვაც, თუკი ეჭვიანი პოლიტიკოსების ჩარევამ საქმე კვლავ არ გააფუჭა. მხედველობაში გვაქვს თვითგამოცხადებული პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის ამასწინანდელი განცხადება, რომელშიც ეუთო "სამხრეთ ოსეთის შიდა საქმეებში ჩარევაში" იყო დადანაშაულებული, იმის გამო, რომ ეუთო "სამხრეთ ოსეთს სთავაზობს, დაეთანხმოს ავტონომიის სტატუსს ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში".

"ტიპური ვირუსები" - ბიუჯეტი და ენერგეტიკაა

ლევან სარიანიძის ფოტო

პაოლო ნეუჰაუსი: "ჩვენ კვლავ ველოდებით ენერგოტარიფის კანონიერ გაზრდას".

პირველი გვერდიდან

ეროვნული ბანკიდან მისიამ სახელმწიფო კანცელარიაში გადაინაცვლა, სადაც პაოლო ნეუჰაუსი თემურ ბასილიას შეხვდა. შეხვედრაზე ისაუბრეს სიღარიბის დაძლევის პროგრამაზე, რომელსაც პრეზიდენტმა დღეს, მთავრობის სხდომაზე უნდა მოაწეროს ხელი. პაოლო ნეუჰაუსმა ეს პროგრამა დადებითად შეაფასა. როგორც თემურ ბასილია აცხადებს, ფონდმა პროგრამის მხარდასაჭერად მზადყოფნა გამოთქვა. **"ოქტომბერში სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭო განიხილავს და დაამტკიცებს სიღარიბის დაძლევის პროგრამას,"** – განაცხადა პრეზიდენტის თანაშემწემ ეკონომიკურ საკითხებში. თემურ ბასილიას განცხადებით, სავალუტო ფონდის მისია საკმაოდ დადებითი და სამუშაო განწყობითაა ჩამოსული, ამიტომ ეს ვიზიტი არ უნდა განვიხილოთ, როგორც დამსჯელი ექსპედიცია. **"მათ სურთ, რომ გამოკვეთონ ის პრობლემები, რაც არსებობს ქვეყანაში და მოხდეს ერთობლივი შეთანხმება მათი გადაწყვეტის თაობაზე,"** – აცხადებს ბასილია.

ვნახოთ, სადამდე გასტანს მთავრობის ოპტიმისტური განწყობა. მით უმეტეს, რომ დღეს სავალუტო ფონდს შეხვედრები ფინანსთა სამინისტროსა და სახელმწიფო კანცელარიაში აქვს დაგეგმილი – იმ ორ უწყებაში, რომელთა მიმართაც ფონდს ყველაზე დიდი პრეტენზიები გააჩნია.

აშშ-ს ელჩი ამერიკულ კომპანიას პრეზიდენტთან ლობირებს

სოფო კვინტრაძე

სახელმწიფო კანცელარიაში აშშ-ს ელჩი რიჩარდ მაილსი და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს შეხვდნენ. შეხვედრის მიზანი გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მიერ რეგიონებისთვის ელექტროენერგიის გათიშვებთან დაკავშირებით პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვება გახლდათ.

საბითუმო ბაზრის ბრძანებულების თანახმად, გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას ელექტროენერგიის მიწოდება 9 ივნისს 70 პროცენტით შეუმცირდა. ენერგოკომპანიის მთლიანი დავალიანება ბაზრის მიმართ 204 მილიონ ლარს შეადგენს. წელს, პირველ კვარტალში, კომპანიამ 17 მილიონი ლარის ელექტროენერგია მოიხმარა, აღნიშნული თანხიდან კი, ბაზრის ანგარიშზე მხოლოდ 2 მილიონ-ნახევარი ლარი მოხვდა. საბითუმო ბაზრის შეზღუდვის შესაბამისად, სადისტრიბუციო კომპანია საქართველოს რეგიონებს ელექტროენერგიას აღარ აწვდის, რასაც მოსახლეობაში დიდი უკმაყოფილება და არა ერთი ინციდენტიც მოჰყვა.

აშშ-ს ელჩი და ამერიკელი კონტრაქტორები საქართველოს მთავრობისაგან მხარდაჭერას მოითხოვენ. რიჩარდ მაილსის განცხადებით, **"ჩვენ საქართველოს პრეზიდენტისაგან გვინდოდა იმის დადასტურება მიგვეღო, რომ მთავრობა მზად არის, ხელი შეუწყოს ამერიკელ ინვესტორს ელექტროენერგიის რაციონალურად განაწილების საქმეში და მთლიანად დაგეგმილი პროგრამის განხორციელებაში."** ელჩის თქმით, მას მშვენივრად ესმის, რომ რეგიონებში მოსახლეობა ძალიან ღარიბი და გადახდისუუნაროა, მაგრამ ამასთანავე, არსებობენ მომხმარებლები, რომელთაც სავსებით შეუძლიათ გადაიხადონ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური, მაგრამ ამას არ აკეთებენ. რიჩარდ მაილსი პრეზიდენტთან შეხვედრით კმაყოფილი დარჩა, რადგან მთავრობამ სრული მზადყოფნა გამოთქვა PA Consulting Group-ის მიერ დაწყებული პროგრამის მხარდასაჭერად.

გუშინვე პრეზიდენტი შევარდნაძე რეგიონების რწმუნებულებს შეხვდა, სადაც სხვა საკითხებთან ერთად, ელექტროენერგიის გათიშვების საკითხიც განიხილებოდა. როგორც აშშ-ს ელჩმა აღნიშნა, რეგიონებს ელექტროენერგია კვლავაც შეეზღუდებათ, თუ არ იქნება მიღწეული შეთანხმებები სადისტრიბუციო კომპანიასთან დავალიანებისა და მიმდინარე გადასახადის დაფარვის თაობაზე. ზოგიერთ რეგიონს (შიდა ქართლი, ბორჯომი, ქუთაისი), რომლებმაც დავალიანებების დაფარვა უკვე დაიწყეს, ელექტროენერგიის მიწოდებაც აღუდგათ.

მოკლედ

თბილისი. ენერგეტიკოსები, სახელფასო დავალიანების გაცემის მოთხოვნით, საპროტესტო გამოსვლებს აგრძელებენ. სახელფასო დავალიანება მთლიანად 30 მლნ ლარს შეადგენს, გასაცემია 7-დან 32-მდე თვის ხელფასი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 23 ივნისს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე დავით გალეგაშვილი საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილედ დაინიშნა. იგი 2001 წლის 28 დეკემბრიდან გადასახადებისა და შემოსავლების სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე იყო, ხოლო გადასახადებისა და შემოსავლების სამინისტროს ლიკვიდაციის შემდეგ, ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "ბი-პი" საქართველოში გაზსაცავის მშენებლობის პროექტში მონაწილეობაზე უარს აცხადებს. როგორც კომპანიის საქართველოს წარმომადგენლობაში განაცხადეს, გაზსაცავის მშენებლობაში "ბი-პი"-ს კომერციული ინტერესი არ გააჩნია. პროექტში მონაწილეობაზე უარი განაცხადა "სტატოილმაც". კომპანიაში განმარტავენ, რომ მათთვის უფრო მომგებიანი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აშენებული გაზსაცავის რეაბილიტაციაა. სამაგიეროდ, გაზსაცავის მშენებლობით დაინტერესება თბილისთან ახლოს, ნინოწმინდაში ნავთობმოპოვებით დაკავებულმა კომპანია "კანარგომ" გამოთქვა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "ეროვნულ ძალთა გაერთიანება" "თბილწყალკანალის" შესაძლო გაყიდვას აპროტესტებს და ხელისუფლებას საზოგადოების ყველა ფენის, მათ შორის, საპატრიარქოს აზრის იგნორირებაში ადანაშაულებს. პარტიის მიერ დღეს გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ აღნიშნული სტრატეგიული ობიექტის გაყიდვით საქართველოს პრეზიდენტის ვაჟი პაატა შევარდნაძეა დაინტერესებული. თუ უახლოეს დღეებში საწარმოს პრივატიზაციის პროცესი არ შეჩერდება, "ეროვნულ ძალთა გაერთიანება", საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, ობიექტის პიკეტირებას მოაწყობს და, როგორც "თბილწყალკანალის" ხელმძღვანელობის, ასევე პრეზიდენტის გადადგომის საკითხს დააყენებს. **ინტერ-პრესი**

მონიტორინგი

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

ოპერატიული ინფორმაცია 24 ივნისისათვის

მილიონ ლარებში

დასახელება	ექვსი თვის პროგნოზი	შესრულება	%	23 ივნისი
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	529.80	398.95	75%	2.01
ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები	385.09	285.13	74%	1.33
საგადასახადო შემოსავლები	310.64	245.62	79%	1.31
სოციალური ფონდი	116.81	97.02	83%	0.57
საგზაო ფონდი	24.05	17.01	71%	0.11
დეფიციტის დაფინანსება	118.66	88.77	75%	0.00

„სომხეთის ეკონომიკაც კი ჩვენთვის მისაბაძია"

საქართველოს სწრაფი რეფორმები და ცოდნა სჭირდება

სოფიკო ოხანაშვილი

ბესო ბელაევშილის ფოტო

ალექსანდრე რონდელი: "სომხეთის ეკონომიკურ განვითარებაზე ლაპარაკი ზედმეტია, თუ ის არ შეეშვება კარჩაკეტილ ცხოვრებას"

"სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ეკონომიკური განვითარების პრობლემები" – ამ თემას მიეძღვნა ორდღიანი კონფერენცია, რომელიც თბილისში 20 ივნისს გაიხსნა. კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ იაპონიის არასამთავრობო მშვიდობის ფონდი "სასაკავა" და საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. ორდღიან დისპუტში "სასაკავას" წარმომადგენლების, ტოკიოსა და ჰარვარდის უნივერსიტეტების პროფესორების გარდა, ცენტრალური აზიის, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისა და რუსეთის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. კონფერენციას სულ 10 ქვეყნის (იაპონია, კორეა, აშშ, რუსეთი, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, უზბეკეთი, ყირგიზეთი, ყაზახეთი) წარმომადგენელი ესწრებოდა.

მკვლევარებმა და ექსპერტებმა განიხილეს ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მაკროეკონომიკური სტაბილურობის, ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობის საკითხები და რეგიონულ ინტეგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები. გამოიკვეთა, რომ მაკროეკონომიკური სტაბილურობითა და რეფორმების მიმდინარეობის თვალსაზრისით, რეგიონში წამყვანი ადგილი უკავია სომხეთს. მზარდი ეკონომიკური განვითარებით ხასიათდება ყაზახეთი, უზბეკეთი და აზერბაიჯანი.

ექსპერტები მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლების ქვეყნებს ორ კატეგორიად ყოფენ: ქვეყნები, რომელთა ეკონომიკურ წარმატებებს მდიდარი ბუნებრივი რესურსები (ნავთობი, გაზი) განაპირობებს და მწირი ბუნებრივი რესურსების მქონე ქვეყნები, რომლებმაც ეკონომიკურ აღმავლობას სწორი მენეჯმენტით მიაღწიეს.

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის უფროსი ექსპერტის არჩილ გეგეშიძის შეფასებით, ყაზახეთის და აზერბაიჯანის ეკონომიკური წარმატება და განვითარების ტემპები დაკავშირებულია ბუნებრივი რესურსების ექსპორტზე ორიენტაციასთან. მაგრამ ეკონომიკის მხოლოდ ამ მიმართულებით განვითარებამ შესაძლოა ე.წ. "ჰოლანდიური ავადმყოფობა" გამოიწვიოს, რაც ნიშნავს, რომ ვითარდება მხოლოდ საექსპორტო ინდუსტრია და არ ხდება ეკონომიკის დივერსიფიცირება. ამის გამო, პირველ რიგში, იჩაგრება გადამამუშავებელი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი და სხვა, რადგან ნავთობიდან და გაზიდან ამოღებული თანხები ისევ ენერგეტიკის ინდუსტრიის განვითარებას ხმარდება და არ ხდება ამ თანხის რეინვესტირება ეკონომიკის სხვა დარგებში. არჩილ გეგეშიძის განცხადებით, **"ჰარმონიული ეკონომიკური განვითარებისათვის საჭიროა, რომ ასეთი დიდი რესურსების მქონე ქვეყნებმა ეკონომიკის სხვა დარგების განვითარებაზეც იზრუნონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი "ჰოლანდიური ავადმყოფობისათვის" განწირულები არიან. ეს არც კონკრეტული ქვეყნისთვისაა კარგი და არც რეგიონისთვის".**

სომხეთი მწირი ბუნებრივი რესურსების მქონე ქვეყნებს განეკუთვნება. ასეთი კატეგორიის ქვეყნები ორიენტაციას ისეთი უპირატესობების გამოყენებაზე იღებენ, როგორიცაა, შრომისმოყვარეობა, შრომისუნარიანობა, განათლება. სომხეთს ეკონომიკური მაჩვენებლებით რეგიონში და მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში წამყვანი ადგილი უკავია. სომხეთში არ არის საბიუჯეტო კრიზისი, მეტნაკლებად სტაბილურია ეკონომიკური სიტუაცია, მზარდია რეფორმების მიმდინარეობის ტემპიც. **"სამწუხაროდ, ბევრი ქვეყნისგან განსხვავებით, ჩვენ დღეს სატრაბახო ბევრი არაფერი გვაქვს. მაკრო-ეკონომიკური სტაბილურობა საქართველოში ძალიან მყიფეა, საბიუჯეტო კრიზისი ჯერ კიდევ დაუსრულებელია, რომლის სასიკეთო ბოლოც არ ჩანს. ქართული მხარის მოხსენებები პოზიტიური გამოცდილების გაზიარება კი არ იყო, არამედ უფრო - ნეგატიური გამოცდილების. პირველ რიგში, ქართველებს სომხეთის გამოცდილების შესწავლა გვმართებს, დაწყებული სახელისუფლებო მოდელით, საკადრო პოლიტიკით და შემდეგ - კონკრეტული გადაწყვეტილებებით. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ სომხეთის ეკონომიკაც კი ჩვენთვის, მისაბაძია. უბრალოდ, გული მწყდება, რატომ ვართ ჩვენ უკან. კარგი იქნება, თუ ჩვენი ფინანსთა მინისტრი სომხეთის ფინანსთა მინისტრისგან ისწავლის"**, - ასე შეაფასა საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის უფროსმა ექსპერტმა ვლადიმერ პაპავამ საქართველოში შექმნილი მდგომარეობა.

"სომხეთის მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლები ჩემზე შთაბეჭდილებას არ ახდენს. ეჭვი მეპარება, რომ იმ ეკონომიკური განვითარების სტრატეგიამ, რაც სომხეთს აქვს არჩეული, რამე შედეგი გამოიღოს", - ასეთია საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის პრეზიდენტის ალექსანდრე რონდელის შეფასება. **"სომხეთის ეკონომიკურ განვითარებაზე ლაპარაკი ზედმეტია, თუ ის არ შეეშვება კარჩაკეტილ ცხოვრებას, თუ არ მიიღებს რეგიონის ინტეგრაციაში მონაწილეობას და არ მოაგვარებს მეზობლებთან ურთიერთობას"**, - მხოლოდ რეგიონის სრულყოფილ წევრად გახდომის შემდეგ ხედავს ამ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გრძელვადიან პერსპექტივას რონდელი.

ექსპერტების შეფასებით, იდეალური იქნება რეგიონში რესურსებით მდიდარ და რესურსებით მწირ ქვეყნებს შორის მყარი თანამშრომლობის ჩამოყალიბება. თუმცა, ექსპერტებისვე შეფასებით, ამჯერად ინტეგრაციაზე საუბარი როგორც ცენტრალური აზიის, ასევე სამხრეთ კავკასიის რეგიონში, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ცენტრალურ აზიაში ისტორიულ-ფსიქოლოგიური პრობლემებისა და სამხრეთ-კავკასიაში - მოუწესრიგებელი ეთნოპოლიტიკური პრობლემების გამო. ექსპერტთა დასკვნით, ამ ეტაპზე შეიძლება საუბარი მხოლოდ ცალკეული ქვეყნების, ვთქვათ, საქართველო-აზერბაიჯანის ან საქართველო-სომხეთის თანამშრომლობაზე.

"საქართველომ უნდა მიაღწიოს მაკროეკონომიკურ სტაბილურობას", "საქართველომ ორიენტაცია უნდა აიღოს რეფორმების სწორად და სწრაფად წარმართვაზე, ცოდნაზე დამყარებულ ეკონომიკურ განვითარებაზე", ცენტრალურ აზიასთან თანაბარი სავაჭრო ურთიერთობა უნდა ჩამოაყალიბოს და განავითაროს, მაგრამ ამასთანავე, უნდა შეინარჩუნოს და განავითაროს ევროინტეგრაციისკენ აღებული კურსი", - ეს არის იმ რეკომენდაციების მოკლე ჩამონათვალი, რაც საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივისთვის სჭირდება.

გეგეშიძის განცხადებით, საქართველოს ამის მისაღწევად საჭირო პოტენციალიც გააჩნია. მან ასეთ პოტენციალად ჰიდრორესურსები, ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობები, რეკრეაციული რესურსები და სხვა დაასახელა. **"ამ რესურსებმა 50-60 წლის მერე, შესაძლოა, ძალიან მდიდარ ქვეყნად გვაქციოს"**, - ასეთია გეგეშიძის ოპტიმისტური პროგნოზი.

"თბილუნივერსალბანკი" – გუშინ, დღეს და ხვალ

"სესხმა ფული ასარგებლოს, ფულმა ფული მოიგოს, მხოლოდ ამ მოგებიდან უფრო ბევრი წილი ჩვენი ქვეყნის საერთო საჭიროებას მოხმარდეს, ზოგი კიდევ ღარიბთ გაუნაწილდეს", - ასე წარმოედგინა მე-19 საუკუნის 70-იან წლებში ილია ჭავჭავაძეს ბანკის რეალური დანიშნულება და ფუნქციები. თანამედროვე ბანკი ახლაც აგროვებს, თავს უყრის თავისუფალ ფულად კაპიტალს და შემდეგ გასცემს მას სესხად სხვადასხვა ვადით და დანიშნულებით. საქართველომ, ისევე, როგორც მთელმა სამყარომ, მევახშეობიდან ცივილურ საფინანსო ინსტიტუტამდე – ბანკამდე – დიდი გზა განვლო. საქონლურ-ფულად ურთიერთობათა განვითარების შედეგად წარმოშობილი საბანკო სისტემა დღეს ბიზნესის ელიტარულ სფეროს მიეკუთვნება და ამდენად, გარემოც, შესაბამისად მაღალკონკურენტულია.

ქართული საბანკო სისტემა, ახალი სახით, რამდენიმე წელიწადია, ჩამოყალიბდა. ამჟამად იგი იხვეწება, ვითარდება, აქტიურად ამყარებს კონტაქტს უმსხვილეს საერთაშორისო საბანკო ინსტიტუტებთან.

ბანკები ცდილობენ საკუთარი, ახლებური, მაქსიმალურად მორგებული და კომფორტული მომსახურება შესთავაზონ კლიენტებს. თუ ჩვენი ურთიერთობა აღნიშნულ ინსტიტუტებთან გარდაუალია, არჩევანში შეზღუდულნი ვართ.

ბანკები განსხვავდებიან ფუნქციებითა და ხასიათით, საკუთრების ფორმით, მაგრამ ყოველი მათგანი ფულად კაპიტალს იღებს მეურნეობის იმ სფეროდან, სადაც იგი გროვდება და გადასცემს იმ სფეროებს, სადაც მას იყენებენ. თავის დროზე, სწორედ ბანკების მეშვეობით ჩამოყალიბდა ცივილურ დასავლეთში წარმოების დარგებსა და სფეროებს შორის კაპიტალის გადანაწილების სტიქიური მექანიზმი, რამაც მოგების ნორმის გარკვეული გათანაბრება მოახერხა. ამ ბიზნესის ბილიკებზე უსაფრთხოდ სიარულს საქართველოში ახლა სწავლობენ. ეს საკმაოდ რთული პროცესია.

ჯერ არცერთი ადამიანი არ გამხდარა ლიდერი ისე, რომ არ ჰქონოდა რამდენიმე თუ არა, ერთი უპირატესობა მაინც, სხვებთან შედარებით. ბანკიც ასეთივე ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც ნებისმიერ სიტუაციაში, დროსა და სივრცეში ოპერატიულად უნდა ადაპტირებდეს. ბანკის წარმატებას ვერ განსაზღვრავს მხოლოდ მასშტაბური სარეკლამო კამპანია. ამით მხოლოდ მისი ცნობადობის არეალი შეიძლება გაფართოვდეს. ბანკს, ისე როგორც ნებისმიერ ზუსტ მეცნიერებას, ფაქტები და ციფრები ესაჭიროება, რომლებიც მის მოღვაწეობას შეაფასებენ. ამ მხრივ, "თბილუნივერსალბანკი" რამდენიმე წელია, დამსახურებულად სახელდება და მოიაზრება წარმატებულთა რიცხვში.

იგი 1995 წელს დაარსდა. ერთი თვის შემდეგ წარმატებით გაიარა ეროვნული ბანკის სერთიფიკაცია, რაც ბანკის საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან შემდგომი მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველი გახდა. 1997 წელს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან 1 მლნ. აშშ დოლარის საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. 1998 წელს კი იგივე მოცულობის საკრედიტო ხაზი მსოფლიო ბანკმა გამოუყო. 1999 წელს "თბილუნივერსალბანკი", ევროპისა და დსთ-ს წამყვან ფინანსურ ინსტიტუტებთან ერთად, ევრობანკის საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის პროგრამაში ჩაერთო. 2000 წელს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან მიკროდაფინანსების პროექტის თაობაზე შეთანხმებას მოეწერა ხელი. ამ პროექტის ფარგლებში ბანკმა გრძელვადიანი მიზნობრივი რესურსები მიიღო მცირე კომპანიებისა და ინდივიდუალურ მეწარმეთა დაკრედიტების ბაზაზე შესაღწევად.

"თბილუნივერსალბანკის" ხელშეწყობით დაფუძნდა კომპანია "გალთ ენდ თაგგარტ სიქიურითის", რომლითაც ის ფასიანი ქაღალდების ბაზარზე გავიდა. 2001 წელს ბანკი გაწევრიანდა ფულადი გზავნილების სისტემის ქსელში - Contact. ეს სისტემა მსოფლიოს 70-მდე ქვეყანაში მოქმედებს. ასევე ბანკი თავის მომხმარებელს სთავაზობს "ვესტერნ უნიონ"-ის პროდუქტს, რომელიც ყველაზე სწრაფ ფულად გზავნილებს უზრუნველყოფს. ბანკის ფინანსური მხარდაჭერით ჩამოყალიბდა "საქართველოს საალიზინგო კომპანია", რომელიც პიონერია ქართულ საალიზინგო საქმეში.

2002 წელს ბანკი გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად. განხორციელდა სტრუქტურული რეფორმა, რამაც კიდევ უფრო დახვეწა "თბილუნივერსალბანკის" მიერ მომხმარებლისადმი შეთავაზებული მომსახურების სპექტრი. გასულ წელს, სავაჭრო კომპლექს "პასაჟის" ტერიტორიაზე გაიხსნა №1 სერვის-ცენტრი, რამაც ბანკს მცირე და საშუალო ბიზნესის სეგმენტში უფრო აქტიური მოღვაწეობის საშუალება მისცა.

"თბილუნივერსალბანკი" თავის კლიენტებს მომსახურების სრულ პაკეტს სთავაზობს, რომელიც საოპერაციო მომსახურებას, მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებისა და მიკროკრედიტების პროგრამებს, სალომბარდო მომსახურებას, განვადებას, ფულად გზავნილებს, დეპოზიტს, ინკასაციას, ანგარიშის გახსნას ოფისიდან გაუსვლელად, დოკუმენტურ ოპერაციებს აერთიანებს. "თბილუნივერსალბანკს" საკორესპონდენციო ბანკები აქვს: აშშ-ში, თურქეთში, აზერბაიჯანში, შვეიცარიაში, ბელგიაში, გერმანიასა და რუსეთში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის პროექტის შედეგად, რომელიც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება, "თბილუნივერსალბანკს" უკვე ჰყავს წარმატებული კლიენტები, ესენია: კვების პროდუქტების მწარმოებელი კომპანია "წეროვანი", კარდიოლოგიური კლინიკა - "გული", ავეჯის და ტექსტილის მაღაზიების ქსელი - "დანიური სახლი", რესტორანი "ზღაპარი" და სხვა.

კლიენტების მოზიდვისა და მათი მომსახურების ხარისხის ასამაღლებლად გასულ წელს ბანკში დარგობრივი განვითარებისა და რეალიზაციის სამსახური შეიქმნა, რომლის დანიშნულება არსებული და პოტენციური კლიენტების მოთხოვნათა შესწავლა და ისეთი დარგობრივი პროგრამების შემუშავებაა, რომლებიც ოპტიმალურად დააკმაყოფილებს კლიენტებს და უზრუნველყოფს შერჩეულ დარგში ბანკის პოზიციების გაძლიერებას.

"თბილუნივერსალბანკში" კარგად იციან, რომ ბიზნესი უნდა იყოს აზრიანი. მას უნდა ჰქონდეს განმასხვავებელი ნიშნები. ნებისმიერი კომერცია, რომელიც, ყველა გაგებით, ჩვეულებრივ ზღვარს არ სცილდება, ვერ გაუძლებს კონკურენციის დარტყმებს. ის მხოლოდ გადარჩენისთვის ბრძოლას თუ მოახერხებს.

ჰერბერტ ნიუტონ კესონის აზრით, ბიზნესის სახიფათო ბილიკებზე სიარული აფრიკის ჯუნგლებში გადაადგილებაზე ბევრად უფრო რთული და საძნელოა. ამის შესახებ "თბილუნივერსალბანკშიც" იციან. რვაწლიანი გამოცდილება საბანკო სფეროში, საქმისადმი პროფესიული მიდგომა, კომპეტენტური გადაწყვეტილებების მიღება უმოკლეს ვადაში, წარმატებული პროექტები და კმაყოფილი კლიენტები, სოლიდურობა და ოპერატიული ორიენტირება - ყოველივე ეს არის წინაპირობა "თბილუნივერსალბანკის" მუდმივი წინსვლისა და განვითარებისათვის. ბანკს აქვს სოლიდური ინტელექტუალური და ფინანსური რესურსი იმისათვის, რათა იდეა გადაიზარდოს მატერიაში, თუმცა ბიზნესში ძალიან ბევრია დამოკიდებული გარშემმყოფთა დამოკიდებულებასა და მხარდაჭერაზე.

დიდი ბრიტანეთის საზოგადოებრივი აზრი პუტინის წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

REUTERS

დიდი ბრიტანეთის საზოგადოებრივი აზრი ვლადიმირ პუტინის მიმართ აშკარად უარყოფითად არის განწყობილი.

რაც შეეხება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას, როგორც ზემოთ აღინიშნა, ძირითადი ყურადღება ენერგეტიკულ საკითხებზე გამახვილდება. ბრიტანული "ბრიტიშ პეტროლიუმის" მიერ რუსული ნავთობკომპანიის "ტეენკას" შესყიდვამ და ბრიტანულ-ჰოლანდიური "როიალ დაჩ შელის" მონაწილეობამ სახალინის ნავთობის ათვისებაში, შესაძლოა, დიდ ბრიტანეთი რუსულ ეკონომიკაში ინვესტიციების დაბანდების მხრივ პირველ ადგილზე გაიყვანოს.

ჯერჯერობით უცნობია, შეასრულებს თუ არა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მოთხოვნას, რომელთაც ვიზიტის მსვლელობისას ჩეჩნეთის საკითხის განხილვა სურთ. ასეთი მოთხოვნით ტონი ბლერს ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაცია "ჰუმან რაითს უოჩმა" მიმართა. წერილში აღწერილია ჩეჩნეთში არსებული ვითარება და ძირითადი ყურადღება ადამიანის უფლებების უხეშად დარღვევაზეა გამახვილებული. **"სამთავრობო სტატისტიკის თანახმად, ჩეჩნეთში ყოველდღე, სულ ცოტა, ორი ადამიანი "უჩინარდება,"** - ნათქვამია მიმართვაში. ბლერისადმი მიწერილ წერილში ჩამოთვლილია ადამიანის უფლებათა დარღვევის 26 დადასტურებული ფაქტი, რომელიც ნოემბრის ბოლოდან დეკემბრის ბოლომდე მოხდა. სულ ცოტა ხნის წინ კი, ჩეჩნეთის ტერიოტორიაზე ოფიციალურად აღიარეს 49 მასობრივი საფლავის არსებობა, სადაც სამი ათასზე მეტი ადამიანის გვამი აღმოჩნდა. **"პრეზიდენტ პუტინთან თქვენი დიდი ხნის მეგობრობის წყალობით, დიდი ბრიტანეთი რუსეთის უმთავრეს პარტნიორთა რიცხვში შედის. ამ პრობლემაზე თქვენ მიერ გამოთქმული აზრი ათასობით ჩეჩენის ცხოვრებას არსებითად შეცვლის,"** - აღნიშნულია "ჰუმან რაითს უოჩის" წერილში.

დიდი ბრიტანეთის ლიდერის პასიურ და გულგრილ დამოკიდებულებას ჩეჩნეთის საკითხისადმი მკვეთრად აკრიტიკებს გაზეთი "ტაიმსი." კერძოდ, გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიაში გაკრიტიკებულია ტონი ბლერის მისალმება ჩეჩნეთში წელს ჩატარებულ რეფერენდუმთან დაკავშირებით. "ტაიმსის" აზრით, კენჭისყრის შედეგები გაყალბებული იყო. ამასთანავე, "ტაიმსი" მწვავედ ილაშქრებს პუტინის მიერ დამოუკიდებელ მასმედიაზე მკაცრი კონტროლის დაწესების წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, გასულ შაბათ-კვირას მოსკოვში ბოლო დამოუკიდებელი ტელეარხი "ტევეესი" დაიხურა. **"ტევეესი" რუსეთის იმ დამოუკიდებელი ჟურნალისტების უკანასკნელი თავშესაფარი იყო, რომლებიც იძულებულნი გახდნენ, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების წინ კრემლის ზეწოლის გამო სხვადასხვა ტელეარხებიდან გამოქცეულიყვნენ. სამი უმთავრესი ტელეარხი – "ენტევე", პირველი არხი და "როსია,"** მთავრობის კონტროლის ქვეშაა," - აღნიშნულია "ტაიმსში."

გამოცემის თქმით, **"თავისუფალი პრესისადმი პუტინის მტრული დამოკიდებულება ჯერ კიდევ მისი წარსულიდან იღებს სათავეს, რომელიც უშიშროების კომიტეტთანაა დაკავშირებული. 1980-იან წლებში ის გერმანიაში აგენტად მუშაობდა და მიხეილ გორბაჩოვის მიერ "გლასნოსტის" პროექტის განხორციელება მას, ალბათ, გამოეპარა."**

ერთი სიტყვით, დიდი ბრიტანეთის საზოგადოებრივი აზრი ვლადიმირ პუტინის მიმართ აშკარად უარყოფითად არის განწყობილი. თუმცა, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა საერთაშორისო ორგანიზაციების და პრესის მოთხოვნა გაითვალისწინოს და პუტინს ჩეჩნეთში - ადამიანის უფლებების, ხოლო რუსეთში სიტყვის თავისუფლების დაცვა მოთხოვოს.

ოლიგარქთა "თამაშები" თუ პოლიტიკური შანტაჟი?

რუსუდან ნიკურაძე
საკ. კორ. მოსკოვში

რუსეთში დიდი სამამულო ომის დაწყების მორიგი თარიღი სიტყვის თავისუფლების დასამარებითაც აღინიშნა. სალუტები არავის უსვრია, რადგანაც გამარჯვებულები მორცხვობით გამოირჩევიან, და საერთოდ, მათ, როგორც წესი, არ სჯიან. რუსი ჟურნალისტები კი უმოწყალოდ დასაჯეს.

კრემლმა უკანასკნელი დამოუკიდებელი ტელეკომპანია "ტევეეს"-იც დახურა, ანუ გააუქმა მეექვსე ღილაკი, ძველი "ენტევე", ხალხში ევგენი კისილიოვის არხად ცნობილი. არხის გაუქმებით რუსეთში სატელევიზიო რომანტიზმის ლამაზი ეპოქა დასრულდა.

ყველაზე მწარე არის ის, რომ რუსეთის ჟურნალისტთა კავშირი, დიდი ჟურნალისტური ორგანიზაციები და სოლიდური კოლექტივები ამ ფაქტის მერე სამარცხვინო დუმილს არჩევენ - კრემლის ასეთი საინფორმაციო პოლიტიკის კრიტიკას, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ხმამაღლა ვეღარავინ ბედავს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს პოლიტიკა ხელისუფლების მიერ მთლიანადაა უზურპირებული. რუსეთში სიტყვის თავისუფლება აღარ არსებობს.

თავისი უკანასკნელი მიტინგი, ისიც - ჩეჩნეთში ომის წინააღმდეგ მიმართული, ერთი კვირის წინ ვიქტორ შენდეროვიჩმა პუშკინის მოედანზე გამართა, ხალხის გამოსაფხიზლებლად. ვერ მოახერხა.

სამწუხაროდ, რუსეთის მედიასაძმოში აქტუალური რჩება კრემლის მიერ საღეჭად გადაგდებული ვერსია, რომ ტელეარხი წამგებიანი, ანუ არარენტაბელური იყო, რომ თურმე, მესაკუთრემ სამი თვეა, ხელფასები ვერ დაურიგა საბრალო ჟურნალისტებს, რომ ბიზნესმენებმა და ოლიგარქებმა, თურმე, ერთმანეთში ვერ მოილაპარაკეს.

თვითმხილველთა მონაყოლით, ერთი კვირის წინ რესტორანში მჯდომ ანატოლი ჩუბაისს ვიღაცამ მობილურზე დაურეკა და "ტევეეს"-ის აქციების მისი წილის გაყიდვა "ურჩია". იმ ქალაქში, სადაც გუბერნატორებს არბატზე დილაობით კლავენ, არც ცნობილი რუსი ოლიგარქები, ტელეარხის აქციების მფლობელები ოლეგ დერიპასკა, კახა ბენდუქიძე, ანატოლი ჩუბაისი არ არიან "ის ხალხი", რომელთა დაშინებაც ძნელი საქმეა. ფაქტი სახეზეა: ხელისუფლებამ ამ ხალხთან მოლაპარაკება შეძლო, "ამ ხალხმა" კი ტელეარხი კრემლს ჩააბარა. ეს არის და ეს. მნიშვნელობა არ აქვს, რა მეთოდებით. ქუჩაში დარჩენილი პროფესიონალი ჟურნალისტებისათვის ამას უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს, ისევე, როგორც მნიშნვნელობა აღარ აქვს, რუსეთის ტელევიზიის პირველ თუ მეორე არხზე იმუშავებს ლიზა ლისტევა, თუ ისევ "ენტევე"-ზე დაბრუნდება მიხეილ ოსოკინი, ტატიანა მიტკოვას დიქტატის ქვეშ. სევდიანი რეალობაა: ოფიციოზის არხზე მკაცრ, მაგრამ მოდურ კოსტუმში გამოწყობილი ლიზა ლისტევას თავისუფალ სიტყვას ჩვენ ვეღარ გავიგონებთ.

ოლიგარქებს სიტყვის თავისუფლება ნაკლებად აინტერესებთ. რუსეთი, სამწუხაროდ, არ არის გერმანია, სადაც ცნობილი საავტომობილო ფირმის მეპატრონე მედიამაგნატი ამბობს: "სიტყვის თავისუფლება ჩემს სამშობლოში უფრო ძვირფასია, ვიდრე ჩემი ბიზნესი". სიტყვის თავისუფლება რუსეთში მხოლოდ ბიზნესია და არა რაღაც, სამშობლოსავით ძვირფასი.

ერთი საგულისხმო ფრაზა უთხრა "24 საათს" ცნობილმა რუსმა ჟურნალისტმა ჰენრიხ ბოროვიკმა: "რუსეთმა მხარი დაუჭირა ომს ერაყში, წინ ირანია, ამიტომ საპასუხოდ, ჩამოგვაწერეს ომი ჩეჩნეთში, ხოლო რუსეთში – სიტყვის თავისუფლება".

ცნობილი ფაქტია, რომ არჩევნების პერიოდში ტელეარხებსა და გაზეთებზე ფასები მატულობს. ბაზრისათვის მომგებიანი პერიოდია. ამიტომ, სარფიანია "შვილების" გაყიდვა არჩევნების წინ.

ჟურნალისტებს აუხსნეს, რომ ტერორიზმის გლობალური საფრთხე და ნავთობის ბაზარზე რუსეთის ინტერესების გადარჩენა ზოგჯერ მსხვერპლს მოითხოვს. ქვეყანას რკინის ხელი სჭირდება და რკინის წესრიგი. და საერთოდ, მოსკოვს, დიდი ხანია, ცრემლების არ სჯერა. ამიტომ იყო რაღაც მისტიკური, ომის დაწყების დღეს, 22 ივნისს რუსეთში თავისუფალი სიტყვის დასამარებაში.

ტელეარხთა თუ გაზეთების მესაკუთრე, ანუ ამ რისკიანი და ტრაგიკული ბრენდის მფლობელ ოლიგარქებს კი, როგორც ყოველთვის, ავიწყდებათ, რომ არის საგნები, რაც სამი თვის გაუცემელ ხელფასებზე მაღლა დგას.

მუშარაფის ვიზიტი ამერიკაში

ლევან ღირსიაშვილი

REUTERS

მუშარაფი აშშ-სგან სამხედრო დახმარებას ელის.

გუშინ პაკისტანის პრემიერ-მინისტრი ფერვეზ მუშარაფი კემპ-დევიდში აშშ-ს პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს შეხვდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ლიდერებმა საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის საკითხები განიხილეს. გარდა ამისა, დღის წესრიგში იყო პაკისტან-ინდოეთის სამხედრო–პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების დარეგულირებაც.

დამკვირვებლები ვიზიტის შეფასებისას ძირითად აქცენტს აკეთებენ იმაზე, რომ პრეზიდენტი ბუში თავის ქალაქგარეთ რეზიდენციაში მხოლოდ ძალზე პატივსაცემ და მნიშვნელოვან სტუმრებს მასპინძლობს. ბევრი დამკვირვებლის თქმით, პაკისტანის პოლიტიკურმა ელიტამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რათა თავიანთი სახელმწიფოს ხელმძღვანელი ამერიკაში დიდი პატივით მიეღოთ. მათ ჯერ კიდევ ახსოვთ პრეზიდენტ ბილ კლინტონისგან მიყენებული წყენა, როდესაც კლინტონმა პაკისტანის ლიდერს, რომელიც ხელისუფლებაში სამხედრო გადატრიალების შედეგად მოვიდა, ხელის ჩამორთმევაზეც კი უარი განუცხადა. ამდენად, საკმაოდ არგუმენტირებულია მოსაზრება, რომ კემპ-დევიდში მიწვევით, ფერვეზ მუშარაფი ტერორიზმთან ბრძოლისათვის დააჯილდოვეს. როგორც ცნობილია, პაკისტანის ხელისუფლების ძალისხმევის შედეგად, პაკისტანში "ალ-ქაიდასთან" და "თალიბანთან" ურთიერთობაში ეჭვმიტანილი ასობით პირი დააპატიმრეს.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ სასიამოვნო ფონზეც კი, ფერვეზ მუშარაფს ბუშთან შეხვედრის დროს ბევრ რთულ საკითხზეც მოუწია მსჯელობა.

პაკისტანის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, მხარეების ყურადღების ცენტრში ამ ბოლო დროს პაკისტანსა და ინდოეთს შორის ურთიერთობების დათბობაა. პაკისტანელი დიპლომატების თქმით, ამ პროცესში აშშ-ს უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება. მიუხედავად იმისა, რომ პაკისტან-ინდოეთს შორის კონფლიქტი ჯერ კიდევ არ არის დარეგულირებული, გაჩნდა იმედი, რომ ბოლოს და ბოლოს, ამ ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის ქაშმირის პრობლემა მოგვარდება და მშვიდობა დამყარდება.

და ბოლოს, პრეზიდენტ მუშარაფის აშშ-ში ვიზიტის უმთავრეს მიზანს ვაშინგტონისგან სერიოზული ეკონომიკური და სამხედრო დახმარების მიღება წარმოადგენს. პაკისტანის პრეზიდენტს დიდი იმედი აქვს, რომ ჯორჯ ბუში ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლას დაუფასებს და პაკისტანის დასახმარებლად სოლიდურ თანხას გაიღებს. ფინანსების გარდა, მუშარაფს ამერიკული იარაღის მიღების იმედიც აქვს. კერძოდ, საუბარია "ფ-16" ტიპის ამერიკული ავიაგამანადგურებლების პაკისტანისათვის მიწოდების აღდგენაზე. ამის თაობაზე შეთანხმებას ჯერ კიდევ ათი წლის წინ მოეწერა ხელი, მაგრამ მისი რეალიზება ჯერაც არ არის დაწყებული.

ამდენად, მუშარაფი კემპ-დევიდში დიდი იმედებით ჩავიდა. სავარაუდოდ, პრეზიდენტი ბუში მის იმედებს არ გააცრუებს.

ამერიკელთა უმრავლესობა ირანის მიმართ აგრესიულ პოლიტიკას მხარს უჭერს

"ვაშინგტონ პოსტისა" და "ეი-ბი-სი ნიუზის" მიერ ჩატარებული ერთობლივი გამოკითხვა ცხადყოფს, რომ ამერიკელთა უმრავლესობა მხარს დაუჭერს შეერთებული შტატების მთავრობას, თუ ის ირანის წინააღმდეგ სამხედრო ძალას გამოიყენებს. გამოკითხვამ აჩვენა, როგორ სერიოზულად ეკიდება ამერიკის მოსახლეობა "ბოროტების ღერძის" ქვეყნებისგან მომდინარე ბირთვული იარაღის საფრთხეს.

გასულ კვირას პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა, რომ მთელი მსოფლიო უნდა დადგეს ამერიკის შეერთებული შტატების გვერდით, რომელიც ირანში ბირთვული იარაღის არსებობას არ ურიგდება. გამოკითხულთა, დაახლოებით, 56 პროცენტმა მხარი დაუჭირა ძალის გამოყენებას, რათა ირანმა ბირთვული იარაღი ვერ დაამზადოს.

ირანში სამხედრო აქციის დაწყებას ამერიკელები მხარს უჭერენ იმის მიუხედავად, რომ მეზობელ ერაყში აშშ-ს არმიის დანაკარგები იზრდება. გამოკითხულთა ნახევარმა განაცხადა, რომ ამერიკელთა ამჟამინდელი დანაკარგები "მისაღებია".

გამოკითხვამ აჩვენა, რომ ერაყში ომი და რეგიონში პრეზიდენტი ბუშის პოლიტიკა საზოგადოებაში დიდი მხარდაჭერით სარგებლობს. ყოველი სამი გამოკითხულიდან ორმა, ანუ 67 პროცენტმა ბუშის ერაყულ პოლიტიკას ნდობა გამოუცხადა. ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, მაგრამ აპრილში ანალოგიურ შეკითხვაზე დადებითი პასუხი გამოკითხულთა 75 პროცენტმა გასცა. დაახლოებით, 64 პროცენტმა აღნიშნა, რომ ომით მიღებული სარგებელი დანახარჯებს აღემატება, მაშინ როდესაც აპრილში ეს მაჩვენებელი 70 პროცენტი იყო.

ათიდან შვიდმა განაცხადა, რომ ერაყის სამშვიდობო ოპერაციაში ამერიკის ხანგრძლივად ჩაბმით შეშფოთებულია. ეს მაჩვენებელი უკანასკნელი თვეების განმავლობაში არ შეცვლილა.

აღსანიშნავია, რომ ოთხიდან ერთ ამერიკელს ჰგონია, თითქოს ერაყმა ამერიკული ჯარების წინააღმდეგ ქიმიური ან ბიოლოგიური იარაღი გამოიყენა.

ათიდან ექვსი მიიჩნევს, რომ ერაყში ამერიკის ომი გამართლებულია იმის მიუხედავად, იპოვიან მასობრივი განადგურების იარაღს, თუ - არა. ომის დაწყებამდე, ერაყის წინააღმდეგ ომის დაწყების უმთავრესი მიზეზი სწორედ სადამის მასობრივი განადგურების იარაღი იყო.

დღემდე მოკავშირეებს ერაყში მასობრივი განადგურების იარაღი არ აღმოუჩენიათ. ამიტომ ზოგიერთმა დემოკრატმა საჯაროდ გამოთქვა ეჭვი, რომ ბუშმა და მისი ადმინისტრაციის წევრებმა ომის დაწყების გასამართლებლად ერაყიდან მომდინარე საფრთხე განზრახ გააზვიადეს. "ვაშინგტონ პოსტისა" და "ეი-ბი-სი ნიუზის" გამოკითხვა ცხადყოფს, რომ ეს ფაქტი პრეზიდენტის პოპულარობაზე უარყოფითად არ ასახულა.

რუმინეთი ევროკავშირისაკენ კუს ნაბიჯებით მიდის

მარიან ჩირიაკი
ბუქარესტი, IWPR

რამდენიმე დღის წინ, რუმინეთის პრემიერ-მინისტრმა ადრიან ნასტასემ განაცხადა, რომ მისი მთავრობა სამინისტროების რიცხვის 23-დან 14-მდე შემცირებას გეგმავს. ეს ნაბიჯი მთავრობას უფრო ეფექტურს გახდის და ევროკავშირის მოთხოვნას დააკმაყოფილებს.

"რეორგანიზაციის ჩატარება აუცილებელია მანამ, სანამ ევროკავშირი გააკეთებს დასკვნას რუმინეთში რეფორმების მიმდინარეობის შესახებ, - განაცხადა ნასტასემ, – აუცილებელია, რომ მთავრობა უფრო პატარა, მოქნილი და ეფექტური იყოს".

ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ მართალია, სამინისტროების გაუქმება, ან მათი გაერთიანება მთავრობის მუშაობაზე დადებით გავლენას მოახდენს, მაგრამ "საბოლოო ჯამში" ამ ნაბიჯს მხოლოდ ზედაპირული ეფექტი ექნება.

"ეს გადაწყვეტილება აშკარად დაგვიანებული და არასაკმარისია. ქვეყანას ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მრავალწევრიანი მთავრობა ჰყავს. ჩემი აზრით, ახლანდელი რეორგანიზაცია მხოლოდ ბიუროკრატიის გადანაწილებაა და მეტი არაფერი," – აცხადებს ერთ-ერთი რუმინელი პოლიტოლოგი.

ბუნებრივია, პრემიერი უფრო ოპტიმისტურადაა განწყობილი. "ახალი კაბინეტი უფრო მეტად შეძლებს, მომზადებული შეხვდეს 2007 წელს". 2007 წელი რუმინეთის ევროკავშირში გაწევრიანების სავარაუდო თარიღია. უფრო ადრე ნატო-ში გაწევრიანების პროცესი უნდა დასრულდეს.

მიუხედავად ამბიციური მიზნებისა და მიღწეული წარმატებებისა, რუმინეთი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ყველაზე ნელა ახორციელებს რეფორმებს. ევროკავშირის მიერ დასახული 30 კრიტერიუმიდან მას მხოლოდ 19 აქვს შესრულებული. იგი ერთადერთი კანდიდატი სახელმწიფოა, რომელსაც ჯერ არა აქვს "ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკის სტატუსი".

ახლახან ბუქარესტი ევროპულ-ამერიკული დაპირისპირების შუაგულში მოჰყვა. ევროკავშირის ქვეყნებმა აშკარად პროამერიკული პოზიციისათვის იგი მკაცრად გააკრიტიკეს: რუმინეთი იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც მის ტერიტორიაზე დისლოცირებულ ამერიკელ ჯარისკაცებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსაგან იმუნიტეტი მიანიჭა.

ევროკავშირმა ბუქარესტი გააფრთხილა, რომ თუ ქვეყანა გადამწყვეტ ნაბიჯებს არ გადადგამს, მისი გაწევრიანება ევროკავშირში, შეიძლება, დაყოვნდეს.

ბრიუსელი განსაკუთრებული დაჟინებით მოითხოვს მთავრობის რეორგანიზაციას და სასამართლო სისტემის რეფორმას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს კორუფციასთან ბრძოლას და გზა გაუხსნას ეკონომიკურ ზრდას. რეფორმები ევროკავშირის, სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ ხორციელდება.

"კორუფცია სისტემის გაუმართავობის შედეგია, – აცხადებს რუმინეთში ევროკავშირის ელჩი ჯონათან შეელე, – რაც უფრო სუსტია სასამართლო სისტემა და ადმინისტრაცია, მით უფრო დიდია კორუფცია".

ამ სენისაგან გასაწმენდად ქვეყანას ჯერ კიდევ გრძელი გზა აქვს გასავლელი. გასულ წელს, "ტრანსპარენსი ინტერნეშენალის" მიერ შედგენილ კორუფციის ინდექსში, სადაც 102 ქვეყანა იყო წარმოდგენილი, რუმინეთი 77-ე ადგილზე გავიდა. ევროკავშირის წევრობის კანდიდატებს შორის იგი ყველაზე კორუმპირებულ ქვეყნად აღიარეს.

ბოლო 14 წლის მანძილზე რეფორმების ნელ ტემპს ხელისუფლება ჩაუშესკუს მძიმე მემკვიდრეობით ხსნის. დიქტატორი მილიონობით ადამიანს აშიმშილებდა, რათა თავისი აკვიატებული მიზნისათვის – თვითკმარი ეკონომიკისათვის მიეღწია. როდესაც ხალხი შიმშილობდა, იგი სურსათს საზღვარგარეთ ყიდდა, რათა საგარეო ვალები დაეფარა და ეკონომიკის მთელ დარგებს ქმნიდა, რომელთაც ქვეყნისათვის ზარალის მეტი არაფერი მოჰქონდათ.

ჩამორჩენის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად აგრეთვე ჩინოვნიკთა არმიის სრული არაკომპეტენტურობა სახელდება.

"მთავრობას, რომელსაც სხვადასხვა დროს განსხვავებული პარტიები თუ ყოვლისშემძლე კლანები აკონტროლებდნენ, რეფორმების გატარების დრო და სურვილი არასოდეს ჰქონდა," – ამბობს ქვეყნის ყველაზე პოპულარული გაზეთის რედაქტორი კორნელ ნისტორესკუ.

მისი თქმით, მთავრობის რეორგანიზაციაც ევროკავშირისათვის თავის მოწონების სურვილი და მომავალი არჩევნების წინ კეკლუცობა უფროა, ვიდრე რეალური რეფორმა.

ეს კი საბოლოო ჯამში, მოსახლეობის იმედგაცრუებას იწვევს. რეფორმების წარუმატებლობას მოსახლეობის ნაწილი ევროკავშირს აბრალებს.

„თამილის ვეფხვები„ მოლაპარაკებების დაწყებას უცდიან

სამშაბათს შრი-ლანკაში მოქმედმა "თამილის ვეფხვებმა" (შეიარაღებული დაჯგუფება) განაცხადეს, რომ ოცი წლის განმავლობაში მიმდინარე ეთნიკური ომი დასრულდება, როგორც კი ცენტრალური მთავრობა კუნძულის ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთში დროებითი ხელისუფლების შექმნას დათანხმდება.

"თამილის ვეფხვებმა" ნორვეგიის მთავრობის მიერ წარგზავნილ შუამავლებს განუცხადეს, რომ მოლაპარაკებების დღის წესრიგი თავიდან უნდა შედგეს.

"თუ კონფლიქტის მოგვარების კონკრეტული წინადადება იქნება წარმოდგენილი, "თამილის ვეფხვები" მას ყურადღებით შეისწავლიან და თავიანთ მოსაზრებებს გამოთქვამენ", - განუცხადა ლონდონში მყოფ ნორვეგიელ ელჩს ერიკ სოლჰაიმს "ვეფხვების" წარმომადგენელმა ანტონ ბალასინგემმა.

"თამილის ვეფხვებმა" სამშვიდობო მოლაპარაკებები ორი თვის წინ შეწყვიტეს. მათი თქმით, თამილების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურის აღსადგენად შესაბამისი სამუშაოები არ ტარდება. მოგვიანებით, მათ შრი-ლანკის ცენტრალურ ხელისუფლებას მოუწოდეს, რომ მხარეებმა ქვეყნის ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთში დროებითი ადმინისტრაცია ჩამოაყალიბონ".

"რაღაც აბსტრაქტული გეგმების შექმნის ნაცვლად, მოლაპარაკებების დროს სასიცოცხლო საკითხები უნდა მოვაგვაროთ", - განაცხადა ბალასინგემმა.

შრი-ლანკის პრემიერ-მინისტრის თქმით, მას დროებითი ადმინისტრაციის იდეის განხილვა სურს, მაგრამ ჯერ ამ საკითხის ქვეყნის კონსტიტუციასთან შესაბამისობა უნდა დადგინდეს. "ჩვენ "თამილის ვეფხვებს" დროებითი ადმინისტრაციის სტრუქტურას მალე შევთავაზებთ", - აღნიშნა მან.

დროებითი ადმინისტრაციის შექმნა მშვიდობის გამყარების აუცილებელ კომპონენტად განიხილება. ნორვეგიის შუამავლობით მხარეებმა ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე შეთანხმებას 16 თვის წინ მიაღწიეს. შრი-ლანკის კონფლიქტს 64 000 ადამიანი შეეწირა.

ამ თვეში გამართულ დონორთა კონფერენციაზე შრი-ლანკის აღსადგენად 4.5 მილიარდი დოლარი გამოიყო. შეუთანხმებლობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს ის წარმოადგენს, თუ ვინ უნდა განკარგოს აღნიშნული თანხები – შრი-ლანკის ცენტრალურმა ხელისუფლებამ, თუ დაპირისპირებული მხარეების მიერ შექმნილმა გარდამავალმა ადმინისტრაციამ.

როიტერი

ნარკომანიასთან ბრძოლა საკუთარი თავიდან იწყება

26 ივნისი ნარკომანიასთან ბრძოლის დღეა. ამგვარი თარიღების აღნიშვნას ერთადერთი მიზანი აქვს - მწვავე პრობლემისადმი საზოგადოებრივი ყურადღების მიპყრობა. მთლიანად ამ მიზანს ემსახურებოდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გუშინ გამართული ბრიფინგი, რომელზეც მიწვეული იყვნენ ნარკოლოგიის ს/კ ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი გელა ლეჟავა და დარგის სხვა სპეციალისტები.

ცივილიზებულ ქვეყნებში ნარკომანიასთან საბრძოლველად მილიარდები იხარჯება, მაგრამ პრობლემა მაინც მწვავედ დგას, მით უმეტეს, ჩვენს განვითარებად ქვეყანაში, სადაც ნარკოტიკების შემოტანა, შეძენა და მოხმარება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, ნარკომანიის მკურნალობას კი სახელმწიფო ვერ აფინანსებს.

პროფესორ ლეჟავას ინფორმაციით, საქართველოში ოფიციალურად რეგისტრირებულია ნარკოტიკის 18 ათასი მომხმარებელი. საერთაშორისო გამოცდილებით, ეს იმას ნიშნავს, რომ ნარკოტიკების მომხმარებელთა სავარაუდო რიცხვი, შეიძლება, 200 ათასს აჭარბებდეს. ყველაზე შემაშფოთებელია ნარკოტიკების პოპულარობის ზრდა ახალგაზრდებში. სტუდენტების გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ ანაშას გამოკითხულთა ნახევარი ეწევა და მათ ეს საქმიანობა, საშუალოდ, 11 წლიდან დაიწყეს.

18-19 პროცენტი ნარკოტიკებს ინტრავენურად იღებს (დაწყების საშუალო ასაკი 15 წელი). ამ მონაცემების გამოქვეყნების შემდეგ გელა ლეჟავამ აღნიშნა, რომ მდგომარეობა სავალალოა და თუ საზოგადოებამ არ გამოიღვიძა, კატასტროფა გველის.

სახელმწიფომ კი, ნარკომანიის შესახებ კანონის მიღების გარდა, ვერაფერი შეძლო, რომლის თანახმად, საქართველოში მცხოვრებ ყველა ნარკომანს სიცოცხლეში ერთხელ შეუძლია უფასოდ იმკურნალოს (ეს პროგრამა მომავალი წლიდან უნდა დაიწყოს). თუმცა, ეს პანაცეა არა არის. მკურნალობა წამალზე დამოკიდებულებისგან გათავისუფლებას ნიშნავს, რაც რეციდივს სულაც არ გამორიცხავს; ამიტომ, მთავარია პროფილაქტიკა. ამ საქმეში კი ყველამ თავისი როლი უნდა შეასრულოს. სახელმწიფომ - ფართო, პროპაგანდისტული სამუშაო, მოქალაქემ კი საკუთარ თავს უშველოს და შემდეგ სხვებს მიხედოს.

24 საათი

Mercy Corps

ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია "მერსი ქორი" აცხადებს
გრანტების პროგრამას თემაზე:

რეგიონებში სათემო სამედიცინო განათლების ინიციატივის მხარდაჭერა

მიმდინარე კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს თემის სამედიცინო განათლების ინიციატივებს რეგიონებში, რათა 1. აამაღლოს ცხოვრების ჯანსაღი წესისა და არსებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების პროგრამების შესახებ თემის ინფორმირებულობა; 2. ხელი შეუწყოს თბილისში და რეგიონებში არსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის კავშირების დამყარებას, რათა მოხდეს რეგიონებში სამედიცინო განათლების სფეროში გამოცდილების გაზიარება და კვალიფიკაციის გაზრდა; 3. შეიმუშაოს მდგრადი მექანიზმები ადგილობრივ დონეზე პროექტის შედეგების უწყვეტი ფუნქციონირების მიზნით.

კონკურსი გაითვალისწინებს ინფექციური და არაინფექციური დაავადებების ფართო სპექტრს, თუმცა პრიორიტეტი მიენიჭება შემდეგს:

- დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა;
- რეპროდუქტიული ჯანმრთელობა და ოჯახის დაგეგმვა;
- ინფექციური დაავადებები;
- იდს/შიდსის პრევენცია;
- სხვადასხვა ნივთიერებების (ნარკოტიკის/ალკოჰოლის/სიგარეტის) მოხმარება/მათზე დამოკიდებულება;
- ტუბერკულოზი;
- იოდის დეფიციტი;
- გულსისხძარღვთა დაავადებების პრევენცია;
- დიაბეტი

კონკურსი მოიცავს შემდეგ რაიონებს:

- ბოლნისის და მარნეულის რაიონები ქვემო ქართლში;
- თელავის, ახმეტის, ყვარელის, საგარეჯოს, სიღნაღის, და დედოფლისწყაროს რაიონები კახეთის რეგიონში;
- ახალციხის, ახალქალაქის, ასპინძის, ნინოწმინდისა და ადიგენის რაიონები სამცხე-ჯავახეთის რეგიონში;
- გორის, კასპის და ქარელის რაიონები შიდა ქართლის რეგიონში;
- მცხეთის და ახალგორის რაიონები მცხეთა-მთიანეთის რეგიონში;

პროექტის წარმდგენ არასამთავრობო ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს გამოცდილება და კომპეტენცია შესაბამის სამედიცინო სექტორში.

კონკურსის გამოცხადების თარიღი - 23 ივნისი, 2003 წ. . პროექტების წარდგენის ბოლო ვადა -23 ივლისი, 2003 წ. დღის 12 სთ.

კონსულტაციები გაიმართება მერსი ქორის თბილისის ოფისში 26 ივნისს დილის 11 საათზე; 29 ივნისს მერსი ქორის გორის ოფისში 12 სთ-ზე; და 11 ივლისს მერსი ქორის თელავის ოფისში დილის 12 საათზე.

ინფორმაციისთვის მიმართეთ მერსი ქორის ოფისებს შემდეგ მისამართებზე:

გორი: ჯუღაშვილის ქ. №4 ტელ: (270) 5-01-10

თელავი: წინანდლის ნიხი №5 ტელ: (99532) 001235 (7002)

ახალციხე: მესხეთის ქ. №68 ტელ: (265) 50055

ისან-სამგორი: სამგორის I ნიხი №3 ტელ: (32) 78-16-88/71-77-36

ბოლნისი: ჭავჭავაძის ქ. № 140 ტელ: 94-33-47
თბილისი (ცენტრალური) ოფისი: გოგებაშვილის ქ. №9 ტელ: (32) 25-24-71/2/3

კრწანისის „ომი" გრძელდება!

შპს "ცენტრმა" სასამართლოში იჩივლა

ზაზა ფაჩუაშვილი

300 არაგველის ბაღში დაწყებული და შეჩერებული მშენებლობის გარშემო სიტუაცია სულ უფრო იძაბება. მშენებლობის მწარმოებელ ფირმას – შპს "ცენტრს", რომელსაც ილია მოსიაშვილი ხელმძღვანელობს, სასტუმრო და გასართობი კომპლექსის აშენება სურს, რასაც თავიდანვე კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ იქვე მდებარე წმინდა ნიკოლოზის ტაძრის მოძღვარი, მრევლი და უბნის მოსახლეობა.

მამა ბესარიონი: "აქედან გაიტანეს ძვლები!"

ადგილობრივთა წინააღმდეგობამ შედეგი მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ გამოიღო, როცა 300 არაგველის ბაღში მიწის სამუშაოების შედეგად ადამიანთა ძვლები ამოიყარა. როგორც მუშებმა თქვეს, ძვლები მიწასთან ერთად მანქანებით გაჰქონდათ და ყრიდნენ. საერთო ჯამში, 3000 კვ/მეტრზე მეტი ფართობის მიწა გაუტანიათ, რამაც უშველებელი ქვაბული წარმოშვა. ერთადერთი, რაც ქართველებს დღემდე ხელშეუხებელი გვქონდა, წინაპართა ძვლები იყო და ამ სიმდიდრის შელახვა ხალხმა ვეღარ მოითმინა.

ატყდა ერთი ამბავი, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით და ეროვნული ღირსებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხის გარშემო ყველა შესაშური ერთსულოვნებით გაერთიანდა – სასულიერო პირები, სახელმწიფო მოხელეები, დეპუტატები, მეცნიერები, ხალხი. ამ მშენებლობის გაგრძელება არ შეიძლება, ასეთი იყო საერთო აზრი, რამაც ლოგიკური შედეგიც გამოიღო. თბილისის საკრებულოს 20 ივნისის გადაწყვეტილებით, მშენებლობა საბოლოოდ შეჩერდა და საკითხი განსახილველად გადაეგზავნა პროკურატურას, იუსტიციის სამინისტროს და კონტროლის პალატას. ამის საჭიროება იმან წარმოშვა, რომ მშენებლობის დაწყებისა და მსვლელობის დროს აღმოჩენილია უამრავი კანონდარღვევა. საკრებულო ყველა იმ ჩინოვნიკის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს, ვინც მშენებლობის ნებართვის უკანონოდ გაცემაში მონაწილეობდა. მაგრამ, ეს მედლის ერთი მხარეა.

"ცენტრის" ხელმძღვანელობამ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. ამის შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა "ცენტრის" იურისტმა, თამარ ქიტუაშვილმა, რომელმაც გვითხრა, რომ სარჩელი შეტანილია მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში.

- ქალბატონო თამარ, კონკრეტულად ვის უჩივით?

- ჩვენ ვუჩივით ყველა იმ ორგანიზაციას, ვინც მონაწილეობდა ჩვენი უფლებების შემლახავი ადმინისტრაციული აქტის შედგენაში – მერიას, საკრებულოს და სხვებს.

- რას ითხოვთ?

- ვითხოვთ ჩვენი უფლებების აღდგენას და მშენებლობის ნებართვას.

ამ საკითხთან დაკავშირებით, ერთხელ, წმინდა ნიკოლოზის ტაძრის წინამძღვარმა, მამა ბესარიონმა ბრძანა, - აქ ერთი კრწანისის ბრძოლა კიდევ გველისო, - და მართალიც აღმოჩნდა.

ბიუჯეტის ხარჯების შემცირება ამ 4 მილიონს არ შეეხება

ჰპირდება ფინანსთა სამინისტრო მიწისძვრით დაზარალებულებს

ნანა ქადაგიშვილი

რამდენიმე თვის წინათ საკრებულოში მიღწეულმა შეთანხმებამ მიწისძვრის შედეგად დაზარალებულები ოდნავ დაიმედა. ათასობით დაზარალებულს 4 მილიონი განსაკუთრებულად ვერ დაეხმარება, მაგრამ სულ არაფერს ნამდვილად სჯობს; მაისის ბოლოს შეპირებული თანხის გადარიცხვას ხელისუფლება ისევ აჯანჯლებს.

ათასობით მოქალაქე კვლავ ავარიულ და სიცოცხლისთვის საშიშ ბინებში ცხოვრობს, ხელისუფლება კი შეპირებული 4 მილიონის გადარიცხვას თვიდან თვემდე აჭიანურებს. ასე იყო გასულ წელსაც. ქალაქის ბიუჯეტიდან და პრეზიდენტის ფონდიდან შარშან სექტემბერში მისაღები თანხა მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა დახმარების ფონდს წლევანდელი წლის დასაწყისამდე არ მიუღია. წელს დაზარალებულთა დახმარებაზე პასუხისმგებლობა ცენტრალურმა ხელისუფლებამ იკისრა, თუმცა არც ამჯერად შეცვლილა რამე. ცენტრალური ხელისუფლების მიერ შეპირებული თანხის გადარიცხვას დაზარალებულები ორი თვეა ამაოდ ელიან.

რამდენიმე თვის წინათ, როცა საკრებულო მოსახლეობას ბანკიდან 4-მილიონიანი კრედიტის აღებასა და დაზარალებულთა ფონდში გადარიცხვას შეჰპირდა, ხელისუფლებამ თავი გამოიდო, - როგორმე მოვახერხებთ, რომ მესამე კვარტალს აღარ დაველოდოთ და თანხა ფონდში ეტაპობრივად გადავრიცხოთო. ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, ლევან ჩრდილელმა გადარიცხვის პროცესის დაწყების უკანასკნელ ვადად მაისის თვის ბოლო რიცხვები დაასახელა. ცოტა ხანში ფინანსთა სამინისტრომ დანაპირების შესრულება ერთი თვით გადაავადა. "დაზარალებულთა დასახმარებლად გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა ივნისის ბოლოდან დაიწყება. პირველ ეტაპზე 300 ათასის გადარიცხვაა დაგეგმილი. დანარჩენსაც ნელ-ნელა გადავრიცხავთ. ბიუჯეტის ხარჯების შემცირება ამ 4 მილიონს არ შეეხება", - ჰპირდება მოსახლეობას ფინანსთა მინისტრის მოადგილე ვასილ გიგოლაშვილი. როგორც ჩანს, ხელისუფლებას არ გაუჭირდება, პირობის შესრულება მესამე კვარტლამდეც გადადოს. მერიაში აცხადებენ, რომ ზოდელავა დაზარალებულთათვის დროებითი თავშესაფრების დაკანონებას, მართლაც, აპირებს. საამისოდ მან იურიუდიული მხარე, თითქმის, მოაგვარა და ცოტა ხანში დაზარალებულებთან გრანდიოზულ შეხვედრას გეგმავს. ქალაქის მერი დროებით ბინებს იმ დაზარალებულებსაც ჰპირდება, ვისაც ცენტრალური ბიუჯეტიდან გადარიცხული 4 მილიონით თავშესაფრებით დააკმაყოფილებენ.

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

ვისაც გაუმართლა, კორპუსის ბიჭგებს ასე უმაგრებენ

„ექიმებმა უკეთ იციან, რა უფრო სასარგებლოა მათთვის"

"ლეიბორისტული" პარტიის ლიდერები გუშინ ძმები ზუბალაშვილების ქუჩაზე მდებარე N1 ბავშვთა ინფექციურ საავადმყოფოს ესტუმრნენ და მედპერსონალს ნახევარი წლის ანგარიში ჩააბარეს.

თამარ დვალი

მედპერსონალთან შეხვედრისას "ლეიბორისტებმა", თავდაპირველად, უფლება ითხოვეს, - ცოტა რომ ვიტრაბახოთ, ხომ შეიძლებაო? პარტიის ლიდერი გიორგი გუგავა პარტიის მიერ ჩადენილი საგმირო საქმეების დაწვრილებით მოყოლას შეუდგა. "ეი-ი-ეს თელასთან" მიღწეული წარმატების შემდეგ მან ოფთალმოლოგიის ს/კ ინსტიტუტის 6 ექიმის აღდგენა გაიხსენა და "მტარვალ ხელისუფლებას" ხალხის საკეთილდღეოდ მუშაობა მოსთხოვა. **"ამ ხელისუფლებას ყველაზე ცუდ დღეში ჩვენი საზოგადოების საუკეთესო ნაწილი ჰყავს. ესენი არიან: ექიმები და ჩვენი შვილების სულის მეჩუქურთმე – პედაგოგები. ახლო მომავალში თქვენს გაყინულ ხელფასებს სასამართლოს გზით მოვთხოვთ ხელისუფლებას. იქნებ იმდენი მაინც შევძლოთ, რომ 7 თვის დავალიანება გაგისტუმრონ**, - განაცხადა გუგავამ.

№1 ბავშვთა საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა დავით მაგრაქველიძემ სტუმრებს მადლობა გადაუხადა გაწეული დახმარებისთვის და აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ 1906 წელს, ძმებმა ზუბალაშვილებმა ეს შენობა ააშენეს, მუნიციპალიტეტს გადააბარეს და მას შემდეგ იგი ქალაქის დაქვემდებარებაშია. ექიმები საავადმყოფოს გაყიდვას ეწინააღმდეგებიან და აცხადებენ, რომ ეს ერთადერთი ბავშვთა საავადმყოფოა თბილისში, სადაც გაჭირვებულ მშობელს ბავშვის მიყვანა შეუძლია.

საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარის, ლეიბორისტული პარტიის წევრის, კახა ძაგანიას თქმით, ექიმები იმას ითხოვენ, რაც მათმა პარტიამ საკრებულოში მოსვლისთანავე თავის პრიორიტეტად მიიჩნია. **"ექიმებმა კარგად იციან, რომ ჩვენ მათი უფლებების დასაცავად დაუღალავად დავდიოდით სასამართლოებში. სხვადასხვა სამართლებრივი გზით ვცდილობთ, გავაუქმოთ პრეზიდენტის ბრძანებულება, რომელიც კლინიკების ოპტიმიზაციას შეეხება. დღეს თავად ექიმებმა დასვეს საკითხი ამ ბრძანებულების გაუქმების შესახებ. ისინი თავიანთი საქმის პროფესიონალები არიან და უკეთ იციან, თუ რა უფრო სასარგებლოა მათი საქმიანობისთვის"**, - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ძაგანიამ.

მოკლედ

თბილისი. "ქართული მედია და სოციალური სფერო" - ასე ჰქვია ამ პროექტს, რომელსაც, ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" დაფინანსებით, უკვე მეორე წელია ახორციელებს სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი. პროექტის მთავარი მიზანია ჟურნალისტებისა და სოციალური სფეროს წარმომადგენლების გაცნობადაახლოება.

ამავე პროექტის ფარგლებში ცენტრმა ამ ცოტა ხნის წინათ რამდენიმედღიანი ტრეინინგ-სემინარები ჩაატარა სოციალურ სფეროში მომუშავე ჟურნალისტებისთვის.

პარალელურად, სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი სერიოზულად იკვლევს, თუ როგორ შუქდება სოციალური საკითხები ქართული მედიაში. კვლევის შედეგები, სავარაუდოდ, სექტემბერში გახდება ცნობილი. ცენტრმა გუშინ სოციალურ სფეროში მომუშავე ჟურნალისტები დაჯილდოვა. გამარჯვებულთა შორისაა "24 საათის" ჟურნალისტიც. ***24 საათი***

■ ■ ■

თბილისი. "ნაციონალებმა" საოლქო სასამართლოში გაასაჩივრეს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება საავადმყოფოთა ოპტიმიზაციისა და რესტრუქტურიზაციის შესახებ. ვინაიდან საქმე ადმინისტრაციულ აქტს ეხება, სასამართლოს გადაწყვეტილებამდე იგი ავტომატურად შეჩერდა. საკითხის მთავარი განხილვა ჯერ არ დანიშნულა. შეგახსენებთ, რომ საავადმყოფოთა ქსელის ოპტიმიზაცია პირველად მაშინ შეჩერდა, როცა "ლეიბორისტებმა" საქართველოს პრეზიდენტის შესაბამის ბრძანებულებას უჩივლეს, მაგრამ საოლქო სასამართლოში "ლეიბორისტები" დამარცხდნენ და პრეზიდენტის ბრძანება კვლავ ძალაშია. **24 საათი**

■ ■ ■

თბილისი. განათლების სამინისტროს გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის სპეციალისტები და ექსპერტები საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-9 კლასებში ჩატარებული სახელმწიფო გამოცდების შედეგების შესწავლას შეუდგნენ. აღსანიშნავია, რომ წელს პილოტირებულ გამოცდებში (სამივე საგანში) 2.500 მოსწავლიდან მაღალი ქულა მიიღო 20-მა, ხოლო ცუდი შეფასება 46-მა მოსწავლემ. მაღალქულიან 20 მოსწავლეს (მათგან 17 თბილისელია), განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, სტიპენდია დაენიშნება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სასწრაფო სამედიცინო დახმარების მუნიციპალური პროგრამა, რომელიც 03-ის სამჯერად უფასო გამოძახებას ითვალისწინებს, ივნისის დასაწყისისთვის უნდა ამოქმედებულიყო. ამ პროგრამისთვის ბიუჯეტში 2,5 მლნ. ლარია გათვალისწინებული, მაგრამ, დაუფინანსებლობის გამო, პროგრამა ჯერ კიდევ არ ამოქმედებულა და არც არავინ იცის, როდის ამოქმედდება. ქალაქის სოციალური პროგრამების დაუფინანსებლობას თბილისის მთავრობა ფინანსთა სამინისტროს აბრალებს, ეს უკანასკნელი კი აცხადებს, რომ ეროვნულ ბანკში შემოსავლები არ შედის და ფინანსთა სამინისტრო არაფერ შუაშია. თუმცა, როგოც ირკვევა, პრობლემას ვერც დაფინანსება მოხსნიდა. საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის ხელმძღვანელი, სოსო შატბერაშვილი, 03-ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით, ტენდერის ჩატარებასაც ეჭვქვეშ აყენებს, - ქალაქის ჯანდაცვის სამსახური ტენდერის შესახებ მასალებს კატეგორიულად არ გვაწვდისო. თუმცა, ქალაქის ჯანდაცვის სამსახურის უფროსის მოადგილე ვატო სურგულაძე ირწმუნება, რომ ტენდერი, რომელიც 03-ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით ჩატარდა, 23 მაისს დასრულდა. **ინტერ-პრესი**

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის განცხადება

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარმა, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის არასრულად გადახდის გამო, მიმდინარე წლის 9 ივნისის 12 საათიდან, "გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" ელექტროენერგიის მიწოდება 70%-ით შეუზღუდა.

"გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" მთლიანი დავალიანება ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრისადმი 204 მილიონ ლარს აღწევს. სესბის მონაცემებით, 2003 წლის პირველ კვარტალში "გაერთიანებულმა ენერგოკომპანიამ" 17 126 909 ლარის ელექტროენერგია მოიხმარა, აღნიშნული თანხიდან კი ენერგოსაბითუმო ბაზრის სატრანსფერტო ანგარიშზე მხოლოდ 2 409 488 მილიონი ლარი გადმორიცხა. 2003 წლის 1 მაისის მდგომარეობით ენერგოკომპანიას სესბისთვის 14 707 401 ლარი აქვს გადასახდელი. "სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" გადახდები ამ მაჩვენებლებზე დაყრდნობით მხოლოდ 30% შეადგენს.

მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის არასრულად გადახდას ქვეყნის ელექტროენერგეტიკული სექტორი განადგურებამდე მიჰყავს. საქართველოს "ენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" კანონის თანახმად, ასევე, საბაზრო წესებისა და დონორი ორგანიზაციების მოთხოვნით, ენერგოსაბითუმო ბაზარმა "გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" ელექტროენერგიის მიწოდება გადახდის ადეკვატურად, 70%-ით შეუზღუდა. ეს ღონისძიება ენერგეტიკული პრობლემებიდან გამომდინარეობს, ემსახურება სისტემაში ზამთრისთვის თანხების მობილიზებას და მის ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებთან კავშირი არ აქვს.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის განკარგულება "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" 70% შეზღუდვის შესახებ არ სრულდება. მიუხედავად "Pa consulting"-ისა და "საქართველოს ელექტროსისტემის" მმართველი კომპანიის "ESBI"-ის მცდელობებისა, შეზღუდვის პროგრამის შედეგები, სესბის მიერ დაწესებული ლიმიტებისგან საგრძნობლად განსხვავდება. საბითუმო ბაზარი აღიარებს, რომ გაცემული ინსტრუქციის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა გარკვეულ პერიოდს საჭიროებს. სესბი ამ პრობლემების მოგვარებაში "Pa consulting"-სა და "საქართველოს ელექტროსისტემას" სრულ მხარდაჭერას უცხადებს. ვიდრე მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა არ გაუმჯობესდება, არ მოხდება მომხმარებლის მხრიდან სესბის მიერ დაწესებული ლიმიტების დაცვა და გადახდები არ შეთანხმდება მომსახურებისა და გენერაციის ობიექტებთან, ასევე გადაცემა-დისპეტჩერიზაციის კომპანიებთან, ენერგოსისტემას დამდეგი შემოდგომა-ზამთრის პერიოდისთვის მომზადება გაუჭირდება.

სესბი გთავაზობთ "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" მიერ 1-23 ივნისის მდგომარეობით ელექტროენერგიის მოხმარების ანალიზს:

1-6 ივნისამდე "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" დატვირთვა დილის პიკზე (8-10 სთ-ზე) შეადგენდა 260-303 მვტ-ს; საღამოს პიკზე კი (20-24 სთ) 273-312 მვტ-ს.

საბითუმო ბაზრის მიერ დადგენილი შეზღუდვის გრაფიკით 10-23 ივნისამდე "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" დატვირთვა დილის პიკზე (8-9 სთ-ზე), ნაცვლად დადგენილი 603 მვტ-ისა, შეადგენდა 176-211 მვტ-ს, ლიმიტის გადამეტება შეადგენს 107-142 მვტ-ს;

საღამოს პიკზე (20-24 სთ) ნაცვლად დადგენილი 83,4 მვტ-ს, მოხმარება შეადგენდა 208-282 მვტ-ს, ლიმიტის გადამეტება 125-199 მვტ-ია. ენერგოკომპანია ასევე გადამეტებით მოიხმარს ელექტროენერგიას ღამის მინიმუმის (0-7 სთ-ის) პერიოდში; ნაცვლად დადგენილი 28,5 მვტ-ს მოხმარება შეადგენს 182-85 მვტ-ს. დღის მინიმუმის (11-19 სთ) პერიოდში ნაცვლად დადგენილი 32,1 მვტ-ს მოხმარება 160-147 მვტ-ია.

საერთაშორისო სასამართლო ქართველთა გენოციდის საქმის განხილვაზე უარს აცხადებს

პირველი გვერდიდან

გიორგი ბახტაძის ფოტო

"პარლამენტი საკანონმდებლო პაკეტის განხილვას აჭიანურებს."

როგორც ჰააგადან დაბრუნებული აფხაზეთის იუსტიციის მინისტრი პაატა დავითაია ამბობს, მას ოთხსაათიანი შეხვედრა ჰქონდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მთავარ პროკურორთან ოკამპთან, პროკურორის სპეციალურ მრჩეველთან მორტენ ბერგსმოსთან და პროკურორის აპარატის უფროსთან სილვია ფერნანდეს დე გურმენდისთან. **"შეხვედრაზე მიმოვიხილეთ ის მიზეზები, რომელთა გამოც საქართველოს პარლამენტი რომის სტატუტის რატიფიცირებას აჭიანურებს. კონფერენციაზე, რომელიც გენოციდსა და სამხედრო დანაშაულებს ეხებოდა, მოხსენებები გააკეთეს ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პრეზიდენტმა და ნიურბერგის პროცესის პროკურორმა. მათ დაზუსტებით გაგვაცნეს ჰააგის სასამართლოს კომპეტენცია და სტატუტის რატიფიკაციის პროცედურა. მომხსენებლებმა საქართველოზეც ისაუბრეს. ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მართალია, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა საკანონმდებლო ცვლილებები ჰააგის სასამართლოს კონვენციის რატიფიცირებისთვის, მაგრამ საქართველოს პარლამენტი საკანონმდებლო პაკეტის განხილვას აჭიანურებს. სწორედ ეს გარემოება უშლის ხელს ჰააგის სასამართლოს აფხაზეთში მომხდარი ქართველთა გენოციდის ფაქტების გამოძიების დაწყებაში".**

მინისტრი ქართველი პარლამენტარების მხრიდან რომის კონვენციის რატიფიცირების გაჭიანურებას ასე ხსნის: **"დეპუტატთა ნაწილი დარწმუნებულია, რომ რომის სტატუტის რატიფიცირების შემთხვევაში ხელისუფლება აფხაზეთის ძალისმიერი მეთოდით დაბრუნებას ვეღარ შეძლებს. არადა, პარლამენტართა ეს არგუმენტი საფუძველს მოკლებულია. სასამართლო არ უშლის ხელს აფხაზეთში კონსტიტუციური წესრიგის დამყარებას ძალისმიერი გზით",** - ასეთია დავითაიას პოზიცია.

მინისტრის თქმით, ჰააგის სასამართლოს წარმომადგენლებს მისთვის განუცხადებიათ, რომ საქართველოს უფლება აქვს, თავის ტერიტორიაზე სამხედრო ძალები გადააადგილოს იმ პირობით, თუ არ დაარღვევს ადამიანის უფლებების შესახებ ჟენევის კონვენციას.

„ძალისმიერი მეთოდის გამოყენება აუცილებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ჰააგის სასამართლომ არძინბას დაპატიმრების სანქცია გასცა. ამ შემთხვევაში მისი დაპატიმრება სპეცდანიშნულების რაზმმა უნდა განახორციელოს, რაც, თავისთავად, ძალის გამოყენებაა“, – აცხადებს აფხაზეთის იუსტიციის მინისტრი.

სამართალდამცავთა ბადეში მხოლოდ წვრილფეხები ხვდებიან

ბექა სისაური
ქუთაისი

ყველასათვის ცნობილია, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში მოქალაქეებს თითქმის ყოველ ნაბიჯზე ქრთამის მიცემა უწევთ. ამის ერთ-ერთ მიზეზად ჩინოვნიკთა დაბალი ანაზღაურება სახელდება. სამართალდამცველები მექრთამეობის გამოვლენაში საეჭვო ინერტულობას იჩენენ. იმერეთის პოლიციის შესაბამის სამსახურს გასულ წელს მხოლოდ 11 მექრთამე ჰყავს გამოვლენილი; თანაც, ქრთამის რაოდენობა არც ერთხელ 200 დოლარს არ აღემატებოდა. ხოლო მექრთამეები არიან დაბალი რანგის მოხელეები: არქიტექტურის სამსახურის თანამშრომლები, სოციალური სფეროს მუშაკები და ასე შემდეგ... ამ მხრივ საინტერესოა სხვა რეგიონების სტატისტიკაც. თბილისში, გასულ წელს, 4 მექრთამეობის ფაქტია დაფიქსირებული; სამეგრელოში, ქვემო ქართლში, კახეთსა და სამცხე-ჯავახეთში - ორ-ორი; შიდა ქართლში – ერთი; ხოლო აჭარაში, მცხეთა-მთიანეთში, გურიაში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში მექრთამე თანამდებობის პირები, თურმე, თვალითაც არ უნახავთ.

2003 წლის 8 მაისს იმერეთის მხარის პოლიციის მთავარ სამმართველოს განცხადებით მიმართა მოქალაქე დალი კიბორძალიძემ, მას ქუთაისის N2 პოლიკლინიკის ექიმი, ტრავმატოლოგი იური ფრუიძე ავადმყოფობის პენსიის დანიშვნის სანაცვლოდ ქრთამს - 250 ლარს სძალავდა. ფრუიძემ ავადმყოფს განუცხადა, რომ თანხიდან 100 ლარს თავად დაიტოვებდა, ხოლო 150 ლარს მოზარდთა N5 პოლიკლინიკის სამედიცინო-სოციალური ბიუროს უფროსს გიგა ღონღაძეს გადასცემდა. ავადმყოფის თანხმობის შემდეგ ფრუიძემ შეადგინა კიდეც ყალბი ცნობა. თუმცა, ამ დროს დალი კიბორძალიძემ შეიტყო, რომ ავადმყოფობის პენსიის დანიშვნისთვის თანხის გადახდა საჭირო არ იყო და პოლიციას მიმართა, სადაც მექრთამეების დაკავების ოპერაცია დაიგეგმა. დათქმულ დროს კიბორძალიძე ფრუიძესთან პოლიკლინიკაში მივიდა და თანხა გადაიხადა, იური ფრუიძემ კი მას პენსიის დასანიშნად საჭირო დოკუმენტები გადასცა, რის შემდეგაც იგი იმერეთის კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების მუშაკებმა დააკავეს; მასთან ერთად დააკავეს გიგა ღონღაძეც. ისინი იმავე დღეს ეჭვმიტანილებად გამოცხადდნენ - ქრთამის აღებასა და ყალბი დოკუმენტების დამზადებაში დაადანაშაულეს.

რაც შეეხება ბიუჯეტისთვის ზარალის მიყენებას და დიდი ოდენობით თანხების მითვისებას, ასეთ დანაშაულზე მხოლოდ ორი ადამიანია დაპატიმრებული. ვანის საგადასახო ინსპექციის უფროსის მოადგილემ ლევან ჯოგლიძემ 2000 წლის აგვისტოდან 2001 წლის მარტამდე (7 თვეში) 27 ათას 185 ლარის გადასახადი დაუმალა ბიუჯეტს. იმერეთის ოლქის პროკურატურის მიერ გამოძიებული მასალების მიხედვით, ჯოგლიძემ საქმიანობა 1996 წელს ფირმა "კოლხას" დაარსებით დაიწყო. მაშინ იგი ვანის საფინანსო განყოფილების უფროსად მუშაობდა და, კანონით, კომერციული საქმიანობა ეკრძალებოდა. აღნიშნული ფირმა მან თავისი მეგობრების - დემურ ენუქიძის, შოთა აბრამალაძის და რამაზ ზარნაძის სახელზე გააფორმა. "კოლხას" არაოფიციალური ხელმძღვანელი ჯოგლიძე გახლდათ, ფირმის დირექტორის რწმუნებები კი დემურ ენუქიძეს ჰქონდა მინიჭებული. 1999 წელს ჯოგლიძე ვანის საგადასახდო ინსპექციის უფროსის მოადგილედ დაინიშნა. 2000 წლის ივლისში ჯოგლიძე, თბილისში შპს "გიორგის და ანუკის" დირექტორს ვაჟა ჩახუნაშვილს დაუკავშირდა, რომლის საქმიანობასაც საქართველოში ნავთობ-დისტილატების იმპორტირება და ბითუმად რეალიზაცია წარმოადგენდა. ჯოგლიძემ ჩახუნაშვილს "კოლხას" დირექტორი ენუქიძე გააცნო და შეთანხმდენენ, რომ ვაჟა ჩახუნაშვილი მათ პროდუქციის შეძენასა და რეალიზაციაში დაეხმარებოდა, ხოლო ჯოგლიძე კი ფინანსურ საკითხებს მოაგვარებდა.

2000 წლის აგვისტოდან 2001 წლის მარტამდე ჯოგლიძემ აზერბაიჯანიდან შემოიტანა 370 ათას 776 კგ მოტორული საწვავის მინარევი, 104 ათას 601 კგ ბენზინი, 119 ათას 633 კგ დიზელის საწვავი; საგადასახადო ორგანოებს კი 27 ათას 185 ლარის გადასახადი დაუმალა. "კოლხას" დირექტორის დემურ ენუქიძისა და ვანის საგადასახო ინსპექციის უფროსის მოადგილის ლევან ჯოგლიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე რამდენიმე მუხლით აღიძრა და სამართალდამცველებმა ისინი განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისთვის თავის არიდებაში, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში, სხვისი ქონების მითვისებასა და სამსახურებრივ სიყალბეში დაადანაშაულეს. საქმე საგანგებო ლეგიონის იმერეთის განყოფილებაში აღიძრა, რასაც საფუძვლად დაედო სამტრედიის საგადასახადოს მიერ "კოლხას" ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შემოწმების მასალები. ჯოგლიძის საქმე განსახილველად სასამართლოს ამ კვირაში გადაეგზავნება. ბრალდებულები პატიმრობიდან თავდებით გაათავისუფლეს იმ პირობით, რომ ისინი დამალულ თანხებს ხაზინას უკან დაუბრუნებენ. თუმცა, ჯოგლიძემ დამალული გადასახადიდან, ჯერჯერობით, მხოლოდ მიზერული თანხა – 2 ათასი ლარი დააბრუნა.

ამოიღეს ფალსიფიცირებული ყავის დიდი პარტია

შსს-ს ფალსიფიკაციის განყოფილების თანამშრომლებმა სამგორის ჩიხში მდებარე საამქროდან ყავის სოლიდური პარტია ამოიღეს. პოპულარული ყავის სახეობები "რიო", "არაბიკა", "პრემიერი", "ორიგინალი" ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ ფალსიფიცირებული აღმოჩნდა. სამართალდამცველებმა საამქროში აღმოაჩინეს მოხალული და მოუხალავი მუხუდოს დიდი პარტიაც. სწორედ დაფქულ მუხუდოსთან შერევით ხდებოდა ყავის ფალსიფიკაცია.

საამქროს ტექნოლოგის განცხადებით, დაფქულ ყავასა და ეტიკეტებს ისინი სომხეთში ყიდულობდენ.

შსს-ს ფალსიფიკაციის განყოფილების უფროსის დავით მამალაძის თქმით:

"საერთოდ ბაზარი ფალსიფიცირებული პროდუქციით გაივსო. ხუთი თვის განმავლობაში ფალსიფიცირების 93 ფაქტი აღირიცხა. ხუთი თვის განმავლობაში ამოვიღეთ 27 ტონა ფალსიფიცირებული ცემენტი; 13 ათასი ბოთლი ფალსიფიცირებული "კოკა კოლა" და "ბორჯომი; 7 ათასი ბოთლი ღვინო; 500 კგ რძის პროდუქტები` ხორცისა და თევზის ნაწარმის დიდი პარტიები. სტატისტიკის ჩამოთვლა ძალზე შორს წაგვიყვანს. არადა, ფალსიფიცირებული პროდუქტები ადამიანის ჯანმრთელობისთვის ძალიან საშიშია," – ამბობს დავით მამალაძე და მაკონტროლებელი სტრუქტურებისადმი სერიოზულ პრეტენზიებს გამოთქვამს. იმ დროს, როცა ფალსიფიცირებულმა პროდუქციამ წალეკა ბაზარი, მაკონტროლებელ ორგანოებს სამართალდამცველებისთვის ერთი მასალაც არ გადაუციათ. **" უამრავი მაკონტროლებელი სტრუქტურაა, რომელთა პირდაპირი მოვალეობაცაა ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ რას საქმიანობენ - ვერ გეტყვით. ერთადერთი უწყება, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს ჩვენთან, ჯანდაცვის სამინისტროა, ის დაინტერესებულია ფალსიფიცირებული მედიკამენტების ამოღებით,"** – განაცხადა დავით მამალაძემ.

აღმოაჩინეს იარაღის ახალი არსენალი

ქართულმა სპეცსამსახურებმა პანკისის ხეობასა და ფშავის დამაკავშირებელ გზაზე, საქისტოს მთის მახლობლად, იარაღის კიდევ ერთი სამალავი აღმოაჩინეს. მიწაში გათხრილი იარაღის საცავიდან უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული დეპარტამენტის თანამშრომლებმა დიდი რაოდენობით ასაფეთქებელი მოწყობილობა და საბრძოლო მასალები ამოიღეს: 20 ელექტროკაფსულა-დეტონატორი, რომელიც, ძირითადად, ტერორისტული და დივერსიული აქტების მოსაწყობად გამოიყენება; სამხედრო წარმოების მხუთავი გაზის მაშხალები, რომლებიც, როგორც გაირკვა, რუსეთის ფედერაციაშია დამზადებული; ყუმბარმტყორცნის ჭურვები; 16 ცალი ავტომატის მჭიდი 480 ვაზნით და სხვადასხვა სახის საბრძოლო აღჭურვილობა

"უშიშროების სამინისტროს მიერ ხორციელდება ინტენსიური ოპერატიული მოქმედებები იარაღის სხვა სამალავების გამოსავლენად", - აცხადებს უშიშროების სამინისტროს პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის ბიუროს დირექტორი ნიკა ლალიაშვილი.

შეგახსენებთ, რომ მსგავსი სამალავები ქართულმა სპეცსამსახურებმა ცოტა ხნის წინ საქართველო-რუსეთის საზღვრის ინგუშეთის მონაკვეთზე, ხევსურეთში, სოფელ ბარისახოში, მანამდე კი ბარისახოდან დაახლოებით 20 კილომეტრის მოშორებით, სოფელ ბლოს ტერიტორიაზე აღმოაჩინეს. ისევე, როგორც წინა შემთხვევებში, აღმოჩენილი არსენალის წარმომავლობასთან დაკავშირებით უშიშროების სამინისტროს ერთი და იგივე ვერსია აქვს: **"იარაღი, სავარაუდოდ, იმ პირების მიერ არის ჩაფლული მიწაში, რომლებიც ქართველი სამართალდამცველების მიერ პანკისის ხეობაში განხორციელებულ ანტიტერორისტულ აქციას გაერიდნენ. ჩვენი აზრით, ბარისახოს ტერიტორიაზე იარაღი იმ დროს გადამალეს, როცა პანკისში ანტიტერორისტული ოპერაცია მიმდინარეობდა და იქიდან ცალკეული უკანონო ფორმირებები პანკისის ხეობიდან გადიოდნენ. აღმოჩენილი შეიარაღება იმ ჩეჩენ მებრძოლებს ეკუთვნის, რომლებმაც საქართველოს ტერიტორია კარგა ხნის წინ დატოვეს",** - აცხადებენ უშიშროების სამინისტროში.

სენაკის აეროპორტში მომწამვლელი ნივთიერება აღმოაჩინეს

გუშინ, შუადღისას, სენაკის აეროპორტის თანამშრომლებმა აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, ერთ-ერთ შენობაში აღმოაჩინეს კასრები, რომელიც არასასიამოვნო, მძაფრ სუნს გამოსცემდა.

აეროპორტის ხელმძღვანელობამ გუშინვე მიმართა პოლიციას, თავდაცვის, უშიშროების, განსაკუთრებულ საქმეთა და გარემოს დაცვის სამინისტროებს. ადგილობრივი სამსახურების ვარაუდით, კასრებში დაუდგენელი წარმომავლობის აირია ჩატუმბული. ეს სამსახურები არ გამორიცხავენ მოსახლეობის მოწამვლის საშიშროებას.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სავარაუდოდ, სენაკის აეროპორტში აღმოჩენილ კასრებში ქიმიური ნივთიერება ქლორპიკრინია ჩატუმბული- ნივთიერება, რომელიც მომწამვლელი გაზის სახით ქვეითი ჯარის საწინააღმდეგოდ გამოიყენება.

გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, აეროდრომზე აღმოჩენილი კასრების დაჭრის შემთხვევაში შესაძლებელი იყო, რომ ამ ნივთიერებით გარშემო მყოფი ადამიანები მოწამლულიყვნენ.

წლების წინ სენაკის აეროპორტი სამხედრო დანიშნულებისა იყო, ამიტომაც გაჩნდა ვერსია, რომ აღმოჩენილი კასრები სენაკის აეროდრომში რუსმა სამხედროებმა რამდენიმე წლის წინ დატოვეს. როგორც გარემოს დაცვის სამინისტროში აცხადებენ, სენაკში სპეციალისტები თავდაცვის სამინისტრომ უნდა გაგზავნოს და კასრებში არსებული ქიმიური ნივთიერებები სპეციალური სინჯის მეშვეობით გამოიკვლიონ.

24 საათი

თავს დაესხნენ პარლამენტარს

გუშინწინ, გვიან ღამით, ნიკოლაძის ქუჩაზე მიმავალ პარლამენტარს გია შაიშმელაშვილს რამდენიმე უცნობი დაესხა თავს. თავდამსხმელებმა შაიშმელაშვილს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და ფული წაართვეს, შემდეგ კი ძალის გამოყენებით ცდილობდნენ მანქანაში დეპუტატის იძულებით ჩასმას, თუმცა შაიშმელაშვილმა მათ წინააღმდეგობა გაუწია, რის შემდეგაც უცნობები გაიქცნენ. დეპუტატმა ინციდენტის შედეგად ტვინის შერყევა მიიღო.

ესპანელი ბიზნესმენის გამტაცებელს სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა

ვაკე-საბურთალოს სასამართლომ ესპანელი ბიზნესმენების გატაცებაში ერთ-ერთ ეჭვმიტანილს - ალენ ბორჩაშვილს გუშინ სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

ბორჩაშვილის ადვოკატი კახა არაბიძე სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს.

ადვოკატის განმარტებით, აღძრულ საქმეს კრიმინალურზე მეტად პოლიტიკური დატვირთვა აქვს, ამიტომაც პატიმრობის ღონისძიების გაუქმების მოთხოვნას აზრი ეკარგება, თუმცა ღონისძიების შემსუბუქების საკითხი აუცილებლად დადგება.

ალენ ბორჩაშვილი უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის იზოლატორში იმყოფება. მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე ადამიანისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის მუხლით აღიძრა.

24 საათი

მოკლედ

თბილისი. დღეს არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულებს სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდებათ იუსტიციის სამინისტროს და ჯანდაცვის სამინისტროებს შორის ხელმოწერილი მემორანდუმის ფარგლებში. იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის არჩილ ბორჯაძის ცნობით, დაწესებულებაში შეიტანენ ექოსკოპს, ელექტროკარდიოგრამის აპარატს და ხელსაწყოებს ლაბორატორიული კვლევისათვის. მსჯავრდებულებს სხვადასხვა სპეციალობის ექიმები გამოიკვლევენ. ანალოგიური ღონისძიება ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 26-27 ივნისს ჩატარდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სახალხო დამცველის აპარატი პროკურატურისაგან ყაჩაღობის ბრალდებით დაკავებული ზურაბ სადაღაშვილის ცემის ფაქტზე აღძრული საქმის გამოძიების დაჩქარებასა და დამნაშავე პოლიციელების დასჯას მოითხოვს. სადაღაშვილის ცემის ფაქტზე სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით სისხლის სამართლის საქმე თბილისის ვაკე-საბურთალოს პროკურატურაში არის აღძრული, თუმცა საქმეში ეჭვმიტანილი ჯერჯერობით არ არსებობს. ზურაბ სადაღაშვილი 27 იანვარს, ოთხ პირთან ერთად, ავტომანქანის გატაცების ბრალდებით დააკავეს. სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლის რამაზ ნინუას თქმით, მას მიმართეს სადაღაშვილის მშობლებმა და მათი შვილის წამების დამადასტურებელი ფოტომასალა და ექსპერტიზის დასკვნა წარუდგინეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. უკანონო მშენებლობების აღსაკვეთად დამატებითი სამართლებრივი მექანიზმების შემოღების მიზნით იუსტიციის სამინისტრომ ახალი საკანონმდებლო პაკეტი მოამზადა. იუსტიციის სამინისტროს პარლამენტთან ურთიერთობისა და სამართალშემოქმედების დეპარტამენტის უფროსის გიორგი გოგიბერიძის განცხადებით, საკანონმდებლო პაკეტი ითვალისწინებს ცვლილებებს შემდეგ კანონებში: „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ და „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს წყალტუბოში მცხოვრები, ორჯერ ნასამართლევი, 32 წლის დავით გვარამია, რომელმაც სხვა პირებთან ერთად გაქურდა ცისანა მამუკაშვილის კუთვნილი მაღაზია. გატაცებული ნივთების ნაწილი ამოღებულია. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. უგზო-უკვლოდ დაკარგულ პაკისტანელ სტუდენტს საფარ გულის საქართველოს საგანგებო სიტუაციათა დეპარტამენტი მესამე დღეა უშედეგოდ ეძებს. უბედური შემთხვევის შესახებ ინფორმაცია შტაბში 21 ივნისს, ღამით შევიდა და შტაბის თანამშრომლები შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ გავიდნენ. უბედური შემთხვევის დღეს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები რუსთავის მახლობლად, გაჩიანის ხიდთან უმაღლესი სასწავლებლის დასრულებას აღნიშნავდნენ. საფარ გული, რომელიც მტკვარში საბანაოდ შევიდა, მეგობრებმა რამდენიმე წუთში თვალთახედვიდან დაკარგეს. ცოტა ხანში მათ მომხდარის შესახებ საგანგებო სიტუაციათა დეპარტამენტს შეატყობინეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. დუშეთის რაიონის პოლიციამ განსაკუთრებით დიდი რაოდენობის ნარკოტიკული ნივთიერების შენახვაში ეჭვმიტანილი 38 წლის ანზორ ოდიშელიძე დააკავა. შს სამინისტროს განცხადებით, ოდიშელიძის სახლიდან პოლიციამ 58 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება ოპიუმი ამოიღო. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში დაკავებულს 10 წელზე მეტი ხნით თავისუფლების აღკვეთა ელის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

სოხუმი. აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ გალის რაიონში აფხაზთა მილიციის დამატებითი ქვედანაყოფებია შეყვანილი. ამის მიზეზი გახდა ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს ზუგდიდის რაიონიდან გალის რაიონის სოფელ ლეკუხონაში ქართველების 11-კაციანი შეიარაღებული ჯგუფი შევიდა. გალის რაიონში სეპარატისტთა დამატებითი ქვედანაყოფების შეყვანის ფაქტი არ დაადასტურეს კონფლიქტის ზონაში ოთხმხრივი კომისიის წევრმა მურთაზ ჭკადუამ და ქართული სამშვიდობო ბატალიონის სარდალმა ვალერი ჯაფარიძემ, ისინი არც ზუგდიდიდან გალის რაიონში 11-კაციანი ქართული შეიარაღებული ჯგუფის გადასვლას ადასტურებენ. **მედია-ნიუსი**

დამუშავება

მეძებრის სპეციფიკურ მოძრაობას სუნის წყაროს, ანუ ნაყნოსი ფრინველის მიმართულებით - **ლტოლვა-მიახლოება** ეწოდება. ძაღლი ამ დროს ცდილობს უკეთ გაერკვეს ემანაციაში და ზუსტად დაადგინოს ფრინველის ადგილმდებარეობა. **ლტოლვა-მიახლოება** სუნის აღებისთანავე იწყება - მეძებარი პარალელიდან ნიავისკენ ტრიალდება და ჰაერის ნაკადის საწინააღმდეგოდ ფრთხილად იწყებს გადაადგილებას. რაც უფრო უახლოვდება სუნის წყაროს, მისი მოძრაობა თანდათან უფრო ფრთხილი და შენელებული ხდება - ეს ყოველივე შეიძლება დაბოლოვდეს ნაბულით ან ისევ ძებნის გაგრძელებით, თუ სავარაუდო ადგილზე ფრინველი არ აღმოჩნდა. **ლტოლვა-მიახლოება** დამხმარე, მაგრამ არა აუცილებელი ელემენტია. ბევრ მეძებარს ეს თვისება საერთოდ არ ახასიათებს და მის გარეშეც წარმატებით ასრულებს თავის ფუნქციას. უმაღლესი ხუთი ქულით ფასდება გარკვევით გამოხატული, დაჯერებული ლტოლვა. თუ ფრინველი არ მოძრაობს და შესაბამისად, სუნი ერთი კონკრეტული ადგილიდან მოდის, ლტოლვა სწორხაზოვანია. თუ მეძებარი გაქცეულ ფრინველს ან მის კვალს ამუშავებს, მაშინ ძაღლის ტრაექტორია ზიგზაგისებურია, ტეხილია. მეძებრებს, რომელთაც ეს თვისება არ გააჩნიათ, საველე გამოცდაზე უმიზეზოდ რომ არ დაიჩაგრონ, წესების თანახმად, ამ გრაფაში პირობითი ქულები ეწერებათ. მერყევი, შენელებული, შეყოვნებებით **ლტოლვა-მიახლოების** დემონსტრირების შემთხვევაში მეძებარი შესაბამისად ჯარიმდება, ერთი ან ორი ქულა აკლდება. და ბოლოს, უღიმღამოდ გამოხატული ლტოლვა მინიმალური ქულით ფასდება. ზოგიერთი მეძებარი ძლიერ შენელებულ, უსასრულო და ფუჭ ლტოლვებს საკმაო დროს ანდომებს. ამას საერთო არაფერი აქვს საქმიან შემოწმებებთან. მცირდება ძებნის სისწრაფეც, ირღვევა პარალელების კორექტულობა, რაც შესაბამის გრაფებში და ყნოსვის სიზუსტეში ქულების დაკლებას იწვევს.

ლტოლვა-მიახლოების პროცესში ან მის გარეშე, როგორც კი დარწმუნდება ფრინველის "ნამდვილობაში" და ზუსტად დაადგენს მის ადგილსამყოფელს, მეძებარი თავისებურ, დამახასიათებელ პოზაში ინაბება და ამით ზუსტად დაფიქსირებულ ფრთოსანზე მიანიშნებს. **ნაბულის** უნარი მეძებრების სპეციფიკური და ძირითადი განმასხვავებელი თვისებაა სხვა სანადირო ჯიშებისაგან. ყველა მტაცებელს, მათ შორის ძაღლებსაც, ახასიათებთ მსხვერპლთან მიპარვისას, გადამწყვეტი ნახტომის წინ შეყოვნება, ძალების საბოლოოდ მოკრებისა და მოხერხებული მომენტის შერჩევის მიზნით. ეს ინსტიქტური ჩვევა წარმატებით გამოიყენეს მონადირეებმა და საუკუნეთა მანძილზე მიზანმიმართული სელექციის შედეგად ფრინველზე სანადირო ძაღლს თანდაყოლილი, მყარი **ნაბული** გამოუმუშავეს. მეძებარი უსაფრთხო მანძილზე უნდა დაუდგეს ფრინველს, რათა ნაადრევად არ დააფრთხოს. თუმცა ზოგიერთი მეძებარი კრიტიკულ ზღვრამდე უახლოვდება ხოლმე ნადირობის ობიექტს. ეს, შეიძლება, არასაკმაოდ ზუსტი ყნოსვის ბრალიც იყოს, როცა ინფორმაციის საბოლოოდ დასაზუსტებლად ძაღლი იძულებულია გარისკოს. შესაძლოა, ატივიზმთანაც გვქონდეს საქმე - მტაცებელის სწრაფვასთან, მაქსიმალურად მიუახლოვდეს, მიეპაროს საკბილოს, რაც თანამედროვე მეძებარს ნაკლად ეთვლება. ამის მესამე მიზეზი შეიძლება ისეთ ფრინველზე მუშაობის ჩვევაც იყოს, რომელიც ძალიან ახლოს უშვებს ძაღლს, მაგალითად, მწყერზე ნადირობისას მიღებული გამოცდილება. თუ ფრინველი გარბის, მეძებარი ნაბულიდან უკან უნდა მიჰყვეს და როგორც კი საშუალება მიეცემა, ისევ მყარ ნაბულზე დაუდგეს. განსაკუთრებულად ფასობს ნაბულის სიმყარე - მყარი ნაბულის დროს მეძებარი წამყვანის ბრძანების გარეშე გაუნძრევლად დგას "განუსაზღვრელი ვადით", ნებისმიერი თვითნებური მოქმედების გარეშე. რა თქმა უნდა, 100-დან 5 მაქსიმალური ქულა რეალურად ვერ ასახავს ამ ელემენტის მნიშვნელობას საველე თვისებების მთელ სპექტრში, მაგრამ ნაბული ისე გაუჯდათ სისხლში მეძებრებს, რომ მათთვის უკვე ჩვეულ თვისებას წარმოადგენს, ხოლო ფუნქციური თვალსაზრისით მისი შეფასება ქულათა ამ მცირე დოზითაც სრულადაა შესაძლებელი. ამ თვისების, როგორც ძირითადი და აუცილებელი ელემენტის, მნიშვნელობა ხაზგასმულია იმით, რომ როგორც მესამე ხარისხის, ასევე მაღალი ხარისხის დიპლომის მისაღებად ძაღლმა შესაბამისად აუცილებელი მინიმალური ქულები უნდა დააგროვოს. არასაკმაოდ მყარი ნაბულის დემონსტრირების შემთხვევაში - ფრინველის თვითნებურად ამოყვანისას, ოლონდ წამყვანის სასროლ მანძილზე მოახლოების პირობით, რაც ნანადირევის მოპოვების საშუალებას იძლევა - მეძებარს ქულები აკლდება. ანალოგიურ შემთხვევაში, წამყვანის სასროლ მანძილზე მოახლოებამდე მიტანებისას ძაღლი ვეღარ აგროვებს აღნიშნულ გრაფაში მინიმალურ გამსვლელ ქულას დიპლომის მისაღებად. სამჯერ ზედიზედ უნაბულოდ ფრინველის პოვნა-ამოყვანისას მეძებარი იხსნება გამოცდიდან, როგორც ნაბულის არმქონე და ნადირობისთვის გამოუსადეგარი.

წამყვანის ბრძანებაზე ნაბულიდან ფრინველის ამოყვანის მცდელობას **მიტანება** ეწოდება. **მიტანება** ფრინველის დამუშავების დამაგვირგვინებელი ფაზაა და შედეგიანი სროლისთვის სანადირო ობიექტის მოხერხებულად ამოფრთხობას ემსახურება. ამიტომაც, ეს ელემენტი მაქსიმალური ათი ქულით ფასდება. მიტანების არსი მსხვერპლის დასაჭერად გამიზნული, მტაცებლის საბოლოო ნახტომია. თუმცა თანამედროვე მეძებრის ეს ჟესტი გაცილებით გაკულტურებული და "შერბილებულია". **მიტანება** ყველაზე ფაქიზი ელემენტია საველე თვისებებს შორის, რამეთუ ნერვული მოქმედების გაწონასწორებული, სხარტი ტიპიდან გადახრა და გეშვისას დაშვებული შეცდომები, პირველ რიგში, მიტანების ხარისხზე აისახება. ფასობს წამყვანის პირველსავე ბრძანებაზე, ზედმეტი დაყოვნებების გარეშე განხორციელებული, სწრაფი და სწორხაზოვანი მიტანება. სხვადასხვა სიტუაციაში მეძებარს სხვადასხვანაირად ამოყავს ფრინველი - მორბენალს სწრაფი ნახტომებით ეწევა, ზოგიერთი კი შემოვლითაც უჭრის გზას გაქცეულ ფრთოსანს, რაც ფრიად სასარგებლო ილეთად ითვლება. ნაბულიდან მოშორებით მყოფ, მიწაზე გართხმულ ფრინველს ძაღლი ნარნარად, წამყვანთან ფეხშეწყობით უნდა მიეტანოს და პატრონს ახლოდან სროლის საშუალება მისცეს. რაც მეტ განმეორებით ბრძანებებს საჭიროებს ნაბულზე ძაღლი, მით ნაკლები ქულით ფასდება. იმ შემთხვევაში, თუ ნაბულზე მდგომ მეძებართან წამყვანის ან მსაჯების მიახლოებისას ფრინველი თვითონ ფრინდება და მიტანების შემოწმება ვერ ხერხდება, იგი პირობითად ფასდება საშუალო ქულების რაოდენობით. მძიმე მიტანება, რომელსაც ძაღლი აშკარად დიდ დროს ანდომებს, როცა იგი ხანგრძლივი პაუზებითა და შეჩერებებით მიიწევს წინ, შესაბამისად დაბალ ქულას იმსახურებს. როდესაც მეძებარი ნაბულზე კატალეპტურ მდგომარეობაშია და მისი ადგილიდან დაძვრა შეუძლებელია, ეს მიტანების საერთოდ არარსებობას ნიშნავს, რაც მინიმალური ქულით ფასდება.

ალეკო ნუკრაძე

ძვირფასი სანადირო თოფი

თეიმურაზ ლომინაძე

ერთხელ, მონკავშირში, კუთხეში მიდგმულ ყუთში ჩაყრილ, გამოცვლილ სანადირო ბილეთებს ვათვალიერებდი. მაინტერესებდა, ვინ რა თოფით ნადირობდა. უცხოური თოფების მფლობელთა ბილეთებში, სათანადო გვერდზე, თოფის მარკა ასე იყო მითითებული: "ინამარკა 12 კალ. №..." ან "ინამარკა 20 კალ. №..." და ა.შ. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, არც მონკავშირის თანამშრომელს და, რაც მთავარია, არც თოფის მფლობელს თავისი თოფის წარმოშობისა და მარკის დადგენისათვის თავი არ შეუწუხებიათ.

ჩვენი მონადირეებისაგან ხშირად გამიგონია: "რომელი ლებო ან ზაუერი შეედრება ჩემს იჟ-ს მიტანაში?" "უცხოური თოფი? - ფულის მახეა და მეტი არაფერი". ერთი მათგანი კი ენერგიულად მიმტკიცებდა, "ვერც ერთი "ფირმა" თოფი გამძლეობით რუსულ თოფს ვერ აჯობებსო".

ნიშანდობლივია, რომ ასე ფიქრობს მონადირეთა უმრავლესობა. ჩვენი აზრით, ასეთი შეხედულება საქმეში ჩაუხედაობითაა განპირობებული. ცოდნის დეფიციტი გულგრილობას იწვევს, ეს კი, თავისთავად, ბევრი კარგი ნივთის გაფუჭების მიზეზი ხდება.

ჩვენ, ჩვენი გაზეთის ხელშეწყობით, განზრახული გვაქვს წერილების ციკლი მივუძღვნათ როგორც მაღალი კლასის ძვირფას სანადირო თოფს, ასევე იაფფასიანს, სერიულად დამზადებულსაც. თვალი გვინდა გადავავლოთ მათი შექმნის ისტორიას, შევადაროთ ისინი ერთმანეთს, გავერკვეთ მათ ღირსებებსა და ნაკლში. მიგვაჩნია, რომ სანადირო თოფის ავკარგიანობაში გარკვევა ახალბედა მონადირეს კარგ სამსახურს გაუწევს.

ქართველ მონადირეთა უფროსი თაობა კარგად იცნობდა და სათანადოდ აფასებდა ძვირფას სანადირო თოფს. უცხოური თოფის მფლობელს მოწიწებით უყურებდნენ. მე არაერთ ძველ მონადირეს და იარაღის მცოდნეს ვიცნობდი, რომლებიც დიდი გატაცებითა და საქმის ცოდნით საოცარ ამბებს ყვებოდნენ ცნობილი ფირმების ნახელავის შესახებ. სწორედ ერთ-ერთი მათგანის საუბრებმა შეუწყვეს ხელი ამ საქმით ჩემს გატაცებას. მისი წყალობით შევაღე კარი და შევიხედე იმ საოცარ სამყაროში, რომელშიც აგერ ოთხი ათეული წელია ცნობისმოყვარე ბავშვივით თვალებგაფართოებული "ვმოგზაურობ" და რომელსაც სანადირო იარაღის წარმტაცი სამყარო ჰქვია.

ძვირფას სანადირო თოფზე ლეგენდებია შექმნილი. ზოგი მათგანი რეალურ საფუძველს ეყრდნობა, ზოგიც შეთხზულია, მაგრამ გამოგონილი ისტორიაც ხომ იმას ადასტურებს, თუ რაოდენ პოპულარულია ესა თუ ის თოფი იარაღის მოყვარულთა შორის.

ტერმინი "ძვირფასი თოფი" პირველ რიგში ამ თოფის პრესტიჟულობასა და ექსკლუზიურობას, მისი შესრულების უმაღლეს ხარისხს, მექანიზმის სრულყოფილებას და აბსოლუტურ საიმედოობას გულისხმობს. ასეთი ნივთი კი, ბუნებრივია, ძვირიც უნდა ღირდეს.

ჩვენში ამ ბოლო დროს მომხდარმა ძვრებმა ბევრ სანუკვარ ოჯახურ რელიქვიას უცვალეს ადგილი. მიზეზთა გამო ბევრმა თოფმაც "გამოიცვალა მისამართი", ახალი პატრონი შეიძინა. ზოგიც უკვალოდ გაქრა. იარაღის ახალ პატრონთაგან ბევრს არც კი აქვს გაცნობიერებული, თუ რა განძის მფლობელი გახდა, როგორი გაფრთხილება, მოვლა და შენახვა სჭირდება ამ განძს. გავკადნიერდები და ვიტყვი: ძვირფას თოფს ლამაზი ქალივით ყურადღება და მოფერება სჭირდება. მხოლოდ კარგად მოვლილ თოფს შეუძლია თავისი ფუნქციური და ესთეტიკური თვისებებით ჭეშმარიტი სიამოვნება განაცდევინოს და სიამაყის გრძნობა მოჰგვაროს მონადირეს.

ორლულიანი სანადირო თოფის შექმნაში ევროპის მრავალმა ქვეყანამ შეიტანა თავისი წვლილი, მაგრამ ამ მხრივ ინგლისი მაინც პირველია. არსებობს ინგლისური საიარაღო სკოლა, რომლის სათავეები XVIII საუკუნის ბოლოდან იწყება, ხოლო XIX საუკუნეში მან უკვე განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია.

ნადირობა, ისე როგორც ევროპის ყველა მაღალგანვითარებულ ქვეყანაში, ინგლისშიც არისტოკრატთა საქმიანობა გახლდათ. მეძებარი ძაღლით ნადირობის გარდა, ინგლისშივე შეიქმნა მაღალი საზოგადოების გართობის ისეთი ფორმა, როგორიცაა მორეკვით ნადირობა და ცოცხალ სამიზნეზე (მტრედი, ჭილყვავი და სხვა) სროლა. ცოცხალ სამიზნეზე სროლა მალე სპორტის ცალკე სახეობადაც ჩამოყალიბდა. მას განსაკუთრებული იარაღი სჭირდებოდა და მეიარაღეებიც რუდუნებით შეუდგნენ საქმეს. ეს პროცესი თითქმის ასი წელი გაგრძელდა და XX საუკუნის დასაწყისისთვის უკვე ჩამოყალიბდა სანადირო თოფის დღევანდელი ტიპი.

ამ მარათონულ პროცესში მრავალი ოსტატი და ოსტატთა მთელი დინასტიები მონაწილეობდნენ. იარაღის კეთების ხელოვნება მამიდან შვილზე, შემდეგ კი შვილიშვილზე გადადიოდა. ოსტატები იგონებდნენ ახალ-ახალ დეტალებს, კვანძებსა და მთელ სისტემებს. ეს სისტემები სწორედ ნადირობასა და სპორტულ შეჯიბრებებში იცდებოდა. კარგი რჩებოდა, კიდევ უფრო იხვეწებოდა და სრულყოფილ სახეს იღებდა, სხვები დავიწყებას ეძლეოდნენ და ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ იქმნებოდა ის, რასაც დღეს ჩვეულებრივი (თუ არაჩვეულებრივი) სანადირო თოფი ჰქვია.

ჰოდა, ბევრმა არც კი იცის, რომ თოფის შემადგენელი თითქმის ყველა დეტალი ინგლისელი ოსტატების გამოგონილია. გინდაც დნობის ახალი მეთოდით მიღებული სალულე ფოლადი ავიღოთ, რომელმაც მოკლე დროში შეცვალა მაშინდელი ერთადერთი სალულე მასალა - ფიგურული დამასკი, ან ლულებისა და კალაპოტის შემაერთებელი და ჩამკეტი სისტემები, მათ შორის - ვერტიკალურ სიბრტყეში განლაგებული ლულების კალაპოტთან შეერთების ორიგინალური და ყველაზე სრულყოფილი სისტემა, თოფის გადასახსნელი მოწყობილობის ნაირსახეობანი, ერთსასხლეტიანი დამცემი მექანიზმი და მისი სხვადასხვა ვარიანტი, ექსტრაქტორი, ეჟექტორები, ჩოკების მთელი რიგი, კონდახის ნაირსახეობანი, სხვადასხვა ტიპის ამორტიზატორები, თოფის მხატვრული გაფორმების რამდენიმე სტილი და... დარჩა კიდევ რამე?

მომდევნო პერიოდის მრავალი ცნობილი ოსტატი ცდილობდა და ცდილობს შეცვალოს ან თუნდაც ცოტათი მაინც გააუმჯობესოს ეს მექანიზმები. ცნობილია ენსონისა და დილეის მექანიზმის რამდენიმე მოდერნიზებული ვარიანტი, ჰოლანდ-ჰოლანდის სახეცვლილი მექანიზმი და სხვა. მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ ჯობნის ორიგინალს. განთქმული შოტლანდიური ფირმის "ჯონ დიქსონის" მესვეურებმა 1990 წელს განიზრახეს ამ ოსტატის მიერ 110 წლის წინ შექმნილი უნიკალური მექანიზმის "Round Action"-ის მოდერნიზება, მაგრამ კარგა ხნის ამაო შრომის შემდეგ იძულებულნი შეიქნენ ეღიარებინათ, რომ მასში არაფერი იყო შესაცვლელი.



პრესტიჟული ფირმების მიერ 100 და მეტი წლის წინათ დამზადებული თოფები დღესაც შესანიშნავად მუშაობენ. ძნელი სათქმელია, რამდენი ათასეული გასროლა მომხდარა ამ ლულებიდან. ზოგიერთი მათგანი ყოველგვარი შეკეთების გარეშე არაერთ თაობას ემსახურებოდა. მე მინახავს რამდენიმე ასეთი "ღვაწლმოსილი" თოფი. მათი მუშა დეტალები და ლულები თითქმის ახალივით გამოიყურებოდნენ. ამის მიზეზი ერთი "პატარა საიდუმლოა", ყველა დეტალი, სულ უმნიშვნელო ჭანჭიკიც კი, უმაღლესი ოსტატობით, დიდი გულმოდგინებით და პასუხისმგებლობით მზადდება, ერთმანეთთან მორგება და გაწყობა მხოლოდ ოსტატის ხელით ხდება და თვალით მოწმდება. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია და ამ მექანიზმის მუშაობის ხანგრძლივობისა და საიმედოობის უტყუარი გარანტიაა.

მოგეხსენებათ, სანადირო თოფი ერთგვარი ხელსაწყოა. ხელსაწყომ რომ თავისი დანიშნულება კარგად შეასრულოს, იდეალურად უნდა იყოს გაწყობილი. თოფი მისი დამამზადებელი ფირმისათვის დამახასიათებელ გარეგნულ იერს ატარებს, იერი კი საერთო სტილს განსაზღვრავს.

სანადირო თოფის სტილი, თავის მხრივ, ისეთი ელემენტების ერთობლიობას წარმოადგენს, როგორიცაა თოფის მთლიანი არქიტექტონიკა და დიზაინი, ერგონომიკა ანუ მოხერხებულობა, მისი ფუნქციურობა და მხატვრული გაფორმება. არსებობს სხვადასხვა სტილი - გერმანული, ფრანგული, ამერიკული და ა.შ. მაგრამ, ყველაზე უფრო სრულყოფილი, სადაც ზემოთ აღნიშნული ყველა ელემენტი ერთმანეთს ჰარმონიულად ერწყმის, კვლავ და კვლავ ინგლისური სტილია. იგი ინგლისური თოფის წარმოების გარიჟრაჟზევე ჩაისახა და მთელი XIX საუკუნის მანძილზე ვითარდებოდა და მდიდრდებოდა. ამ სტილისათვის დამახასიათებელია ფორმათა და ხაზთა დახვეწილობა, ელეგანტურობა და არისტოკრატიზმი. ამოსავალი წერტილი აქაც თოფის მაქსიმალური ფუნქციურობა და მოხერხებულობაა. ასეთი თოფი სროლის დროს მონადირის სხეულის ნაწილად აღიქმება.

მოგეხსენებათ, სანადირო იარაღს ევროპის მრავალი ქვეყანა აწარმოებს. გამორჩეული ადგილი უჭირავს ბელგიას, საფრანგეთს, გერმანიას, იტალიას, ესპანეთსა და ავსტრიას. ეს ქვეყნები (ინგლისთან ერთად) ითვლებიან სანადირო იარაღის წარმოების კლასიკურ ქვეყნებად. ყველა მათგანს ინდივიდუალური სახე აქვს, რომლის მიხედვითაც შეიძლება უშეცდომოდ განისაზღვროს თოფის დამამზადებელი ქვეყანა. მაგრამ ისინი, განსაკუთრებით კი პრესტიჟული, უმაღლესი კლასის იარაღით განთქმული ფირმები, ცდილობენ თავიანთი პროდუქცია ინგლისურ სისტემებს და სტილს დაუმორჩილონ, რადგან ეს წარმატების მნიშვნელოვან პირობად ითვლება.

ასეთი თოფი ინდივიდუალური შეკვეთით, მისი მომავალი მფლობელის ანატომიური თავისებურებების გათვალისწინებით მზადდება. შეკვეთის შესარულებას ჩვეულებრივად 2-3 წელს ანდომებენ. თოფს მრავალგზის გამოცდისა და შემოწმების შემდეგ სპეციალურად მისთვის დამზადებულ ჩემოდანში ათავსებენ, სათადარიგო ნაწილებით, საწმენდი მოწყობილობით და დაშლა-აწყობისათვის საჭირო ხელსაწყოებით დააკომპლექტებენ და ასეთი სახით გადასცემენ დამკვეთს. სწორედ ეს გახლავთ უმაღლესი კატეგორიის თოფი, რომელიც ერთი სიტყვით აღინიშნება - "Best".

შეცდომის უფლება მხოლოდ მსროლელს აქვს, თოფი კი ეჭვსგარეშე უნდა იყოსო, - ამბობენ ინგლისელები. დიახაც, ასეთი თოფი, სათანადო მოვლის პირობებში, არაერთ თაობას ემსახურება. ეს დრომ დაამტკიცა.



www.24hours.ge 24 B

თბილისის დროით

ლაშა ბაქრაძე

ქართველისგან განსხვავებით, გერმანულენოვანი მკითხველი ძალიან აქტიური არსებაა. ის აუცილებლად გამოთქვამს თავის აზრს ამა თუ იმ პუბლიკაციის თაობაზე, ხოლო თუ მეტისმეტად აღშფოთდა ან მეტისმეტად აღფრთოვანდა, დაუზარლად გაარკვევს ხოლმე ავტორის ვინაობას, უკავშირდება და თავის მოსაზრებებს უზიარებს.
2000 წლის სექტემბერში, ჟურნალ "შტატბაუველტში" გამოქვეყნებული ლაშა ბაქრაძის სტატიის გამო მრავალ ასეთ მკითხველთან მომიწია საქმის დაჭერა. საქმე ის გახლავთ, რომ "შტატბაუველტთან" მეც ვთანამშრომლობდი და ბერლინელი კოლეგები მათ წერილებს ჩემთან "უშვებდნენ". მას შემდეგ წლები გავიდა, და ჩემდა გასაოცრად ახლახანს, სულ რამდენიმე დღის წინათ, კიდევ ერთი წერილი მივიღე. მისი ავტორი სასტიკად ჩიოდა, საქართველოში ყაჩაღების თარეში ყოფილა, მე კი, უკვე წლებია, თბილისის დროით მინდა ცხოვრებაო. სწორედ ამ უკანასკნელმა წერილმა მაფიქრებინა, რომ ურიგო არ იქნებოდა, ლაშა ბაქრაძის სტატია ქართველებსაც წაეკითხათ – ვფიქრობ, ჩვენთვისაც საინტერესო გასახსენებელია, რა ხდება ხოლმე თბილისის დროით.

პატივისცემით, ა.კ.ს.

საღამოობით, როცა სიცხე ოდნავ იკლებს ხოლმე, სასტუმრო "ივერიის" წინ, რესპუბლიკის მოედანზე, გოგონები დასეირნობენ შორტებსა და საბანაო ფეხსაცმელში. ჯერ კიდევ ათიოდე წლის წინათ თბილისში ასეთი რამ არ ხდებოდა. მართალია, ქალაქი მდინარის პირასაა გაშენებული, მაგრამ სოციალისტურ დროში მისი ცემენტსა და ბეტონში მომწყვდევის შემდეგ ქალაქის კავშირი მდინარესა და წყალთან გაწყდა.

დღეს თამამად შეიძლება წარმოიდგინო, რომ მოაჯირთან, იქ, სადაც მოედანი მთავრდება და ციცაბო დაღმართი მტკვრისკენ ჩადის, საღამოს მზე შესანიშნავ სანაპიროს დაჰნათის, თითქოს ტალღების ხმაც უნდა ისმოდეს. თითქოს იქ მოსეირნე გოგონებმა, აფხაზეთიდან ლტოლვილებმა, თავიანთი სამშობლოდან ზღვა ჩამოიტანეს თან. იმაზე, რომ ზღვამ თბილისთან ახლოს მოიწია, კაფეების და რესტორნების სახელწოდებებიც მიგვანიშნებს: "დელფინი", "ფლამინგო", "პალმა", ან სულ უბრალოდ – "სანაპიროს კაფე", რაც იმაზე მიუთითებს, რომ მათი მფლობელიც ლტოლვილია. ხშირად ტაქსის მძღოლებისთვის გზის ჩვენება გიწევს, ისინიც ლტოლვილები არიან და ახლაღა ეცნობიან ქალაქს. თბილისის ყოველი მეათე მცხოვრები ლტოლვილია. მიუხედავად ამისა, ძირძველ მოსახლეობასთან მათი ურთიერთობა სულ არაა დაძაბული.

საუკუნეების განმავლობაში ქალაქმა უცნაური უნარი გამოიმუშავა – ყველას და ყველაფერს იღებს და მაინც უცვლელი რჩება. ჯერ კიდევ არაბი მოგზაური იბნ ჰაუნაკი, რომელიც ქალაქს 942-943 წლებში ეწვია, წერდა: "თბილისის მოქალაქენი უცხოთა მიმართ გულღიანნი და ხელგაშლილნი არიან და ყველას მიმართ მეგობრულ დამოკიდებულებას ინარჩუნებენ, თუკი ჩასულნი ოდნავ გონებაგახსნილნი და განათლებით დაინტერესებულნი არიან". ამ ხშირად ზღვარსგადაცილებული შემწყნარებლობის მიზეზი, უცხოთა მიმართ ქართულ-კავკასიური მეგობრული დამოკიდებულების გარდა (რომელიც ძალიან სწრაფად გულგრილობაში გადაიზრდება ხოლმე), მე-7 საუკუნიდან არაბთა ბატონობაცაა. თბილისის საემირომ ნელ-ნელა დაკარგა კავშირი მშობლიურ ქვეყანასთან და მე-9 და მე-10 საუკუნეებში ქრისტიანული სამეფოებითა და სამთავროებით გარშემორტყმულ ისლამურ კუნძულად იქცა. თბილისელი ემირები, შემდგომ კი ქალაქის განმგებლები, იძულებულნი იყვნენ სხვადასხვა ეთნოსსა და რელიგიას შეგუებოდნენ, რადგან სხვაგვარად არსებობას ვერ შეძლებდნენ. თბილისში მთელი აღმოსავლეთიდან გამორბოდნენ დევნილნი და თავისუფალი მოაზროვნეები. ეს ტრადიცია ქართველმა მეფეებმაც განაგრძეს და 1122 წელს, როცა თბილისი კვლავ საქართველოს დედაქალაქი გახდა, მას სამართლებრივი საფუძველიც კი მიეცა.

ქალაქის ეთნიკურ-რელიგიური თუ კულტურული ფონი მუდმივად იცვლებოდა. 1891 წელს ვერნერ ფონ სიმენსმა მესამედ იმოგზაურა კავკასიაში და თავის მოგონებებში წერდა: "იმ 23 წელიწადში, რომელიც ჩემი უკანასკნელი სტუმრობის შემდეგ გავიდა, თბილისი გარეგნულად შეცვლილი არ მეჩვენა, მაგრამ უწინდელი პეწი დაჰკარგვოდა და დღეს ვეღარ დაიკვეხნის, რომ აზიის პარიზია. უწინ ქალაქი არამარტო დიდ თავადთა რეზიდენცია, არამედ ადგილობრივ კეთილშობილთა კერაც იყო... ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა. მეოთხედი საუკუნის წინათ ქალაქი ჯერ კიდევ ქართული იყო, საუკეთესო მიწის ნაკვეთები და ქალაქის მმართველობა ქართველთა ხელში იყო. მაგრამ ჯერ კიდევ მაშინ, სომხობამ დაიწყო გაფართოება, და ნელ-ნელა მიწა სომხურ ხელში გადავიდა. ქართველთა ამაყი, იარაღით შემკული ფიგურები თბილისის ქუჩებიდან გაქრა".


თბილისი.

გერმანელი მეცნიერი ლემან-ჰაუპტი მე-20 საუკუნის დასაწყისის ამ დასავლელთა დაკვირვებებს ზუსტსა და სანდოს უწოდებს, მაგრამ აკრიტიკებს კიდეც, გადაჭარბების გამო. ვერნერ ფონ სიმენსის მტკიცება, ქალაქი 23 წლის განმავლობაში გარეგნულად დიდად არ შეცვლილაო, დაზუსტებას მოითხოვს. სწორედ იმხანად უამრავი მშენებლობა მიმდინარეობდა, ქალაქი დიდად გაიზარდა. მაგრამ, როგორც ჩანს, მოგზაურს ცვლილების შემჩნევა გაუჭირდა. მის თვალში აქ დრო გაჩერდა. თავად განსაჯეთ: თბილისი, რუსეთის იმპერიის კვალობაზე, საკმაოდ ადრე (1872 წელს) შეუერთდა სარკინიგზო ხაზს. არც ტელეგრაფს (1860) და ტელეფონს (1893) დაუხანებია. კინოს აღმოჩენიდან ერთი წლის შემდეგ (1896 წელს) თბილისში პირველი კინოჩვენება გაიმართა. რა გავლენა იქონია ყველაფერ ამან თბილისელთა მენტალიტეტზე? თითქმის არანაირი. ტექნიკის მიღწევები თავისთავად იგულისხმებოდა. უბრალოდ, დროგებიდან ჩამოვიდნენ და მანქანაში გადასხდნენ.

სხვადასხვა მოგზაურები თბილისიდან სრულიად განსხვავებული შთაბეჭდილებებით მიდიან. მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი მოგზაური ქალი, იდა ფაიფერი, რომელიც თბილისს 1848 წელს ეწვია, გაოცებული იყო ამ ქალაქის იერით, რომელიც "ევროპულ სტილშია აშენებული, და მე კი ვალპარაისოს შემდეგ ევროპულის მსგავსი ქალაქი არ მინახავს". ანა ფორნერისი, იდა ფაიფერის მსგავსად, კერტნერელი, 1830-1831 წლებში თბილისში იმყოფებოდა. მას სულ სხვა მოგონებები აქვს: "თბილისი მნიშვნელოვანი ქალაქია და შორიდან რომ უყურებ, ურიგოდ არ გამოიყურება; უბრალოდ, როგორც კი გალავანში შეაბიჯებ, მიხვდებით, როგორ ცდებოდით. ქუჩები ვიწროა, დაგრეხილი და თითქმის გაუვალი; ყველგან ჭუჭყი გეცემათ თვალში, რაც ევროპელში ზიზღს იწვევს. ეკლესიებისა და საჯარო დანიშნულების შენობების გარდა, სახლები ღატაკია და ცუდი აშენებული; მათ კეთილმოწყობილობაზე საუბარიც ზედმეტია; ხალხი ბრტყელ სახურავებზე ისაქმებს ხოლმე და ამის ჩარეცხვა წვიმას ევალება, და უსუფთაობები ცუდი გადახურვის გამო ხშირად ოთახებში აღწევს, რასაც, რასაკვირველია, ცუდი სუნი და ათასგვარი უსიამოვნო განცდა ახლავს თან"...

ასე განსხვავებულია მოხსენებები. 1673 წელს ჟან შარდენი თბილისს აღწერს როგორც აყვავებულ ქალაქს მრავალი სასახლითა და მაღალი გალავნით. მეორე ფრანგი, ჟოზეფ ტორნეფო, რომელიც აქ 1700 წელს მოგზაურობდა, შარდენის მოხსენებით მხოლოდ გაოცებულია და აცხადებს, საფრანგეთში ბაღის გარშემო შემოვლებული ღობე უფრო მაღალია, ვიდრე თბილისის გალავანიო.

თბილისის, ისევე, როგორც ქართველი ქალების სილამაზის შესახებ, ცვალებადი და ძირეულად განსხვავებული აზრები არსებობს. გერმანიის საელჩოს თანამშრომელი სანკტ-პეტერბუგრგში, მაქს ფონ თილმანი, ქალაქს 1872 წელს ეწვია და ის "კონტრასტების ქალაქად" აღწერა, რომელშიც ის აღმოსავლური და ევროპული ცხოვრების ყველა უპირატესობასა და ყველა ნაკლოვანებას შეხვდა. ერთ-ერთი ყველაზე ხშირი შეცდომა ისაა, რომ თბილისი ნახევრად ორიენტალურად და ნახევრად ევროპულად მიაჩნიათ, თვლიან, რომ საზღვარი აზიასა და ევროპას შორის აქ შეიგრძნობა. "ქაიროს გარდა აღმოსავლეთის არცერთი ქალაქი არ გვთავაზობს იმდენ საინტერესო, ნირფეროვან სურათს, როგორც თბილისი: აღმოსავლეთი და დასავლეთი, ორი ასეთი განსხვავებული სამყარო, აქ სულ პატარა მონაკვეთში ხვდება ერთმანეთს. აღმოსავლეთის ჩაკეტილ გალავანზე ევროპული კულტურა ყვავის. ქუჩების გასწვრივ მძლავრი შენობებია აღმართული, ამაყი მაღაზიები სარკისებრი ფანჯრებით, დიდი დასავლური ქალაქის ყველა საქონლით სავსე, მეორე მხარეს კი დაბალი ქოხები დგას, პატარა ჯიხურები, ღია სახელოსნოები. იქ – ევროპული ყოფა, ევროპული ტანსაცმელი, აქ კი ამის კვალიც არ იგრძნობა. აქ ყველაფერი აზიურია: ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში უცხო ტომის ხალხი დადის, უცხო სამოსში, უცხო ენაზე მოლაპარაკე, და დიდი ბრბოს ყურისწამღებ ხმაურში სამხრეთის ცხოველების ძახილი ისმის", წერს ბერნჰარდ შტერნი 1893 წელს.

ფრიდრიხ ბოდენშტედტის ბესტსელერებით "ათას ერთი ღამე აღმოსავლეთში" და "მირზა შაფის სიმღერები" მე-19 საუკუნის შუახანებში კავკასიისა და თბილისის საბოლოო მითოლოგიზაცია იწყება. მეზღაპრე ჰანს ქრისტიან ანდერსენმაც კი აფრინა თავისი ფრინველი კავკასიაში: "მე ვთხოვე მას, მოკითხვა შეეთვალა კავკასიის მთებისთვის, მდინარეების ველური შხუილისთვის, სადაც ვეფხვი იკლავს წყურვილს, ქალაქ თბილისისთვის და ულამაზესი ჩერქეზი ქალებისთვის".

აქ კი ადამიანებს არც ზღაპრულ ქვეყანაში და არც თავგადასავლების მხარეში (კნუტ ჰამსუნი) არ უნდოდათ ცხოვრება, მათ ევროპისა და აზიის წარმოსახვითი საზღვარი ნაკლებად ადარდებდათ. ხალხი თბილისში ცხოვრობდა, იმ განსხვავებული ტრადიციებით, რომლებიც თავად მოიტანეს ამ ქალაქში.

საუკუნეების განმავლობაში არამარტო ქართველთათვის, არამედ ყველა კავკასიელისთვის თბილისი ქალაქი იყო. თუ ამბობდნენ, ქალაქში მივდივარო, ცხადი იყო, რომ თბილისში მიდიოდნენ. ზოგ ენაზე თბილისს, უბრალოდ, "ქალაქი" ერქვა. მას, ვინც აქ მოდიოდა, თან მოჰქონდა თავისი კულტურის ნაწილი, რაღაც საკუთარი, როგორც შავი ზღვიდან ლტოლვილებმა ჩამოიტანეს ზღვის მონატრება. მიუხედავად იმისა, რომ აქ ქვეყნის მოსახლეობის 20 პროცენტზე მეტი ცხოვრობს, თბილისი დანარჩენი მრავალფეროვანი საქართველოსგან სრულიად განსხვავდება. დედაქალაქი ქვეყნის სარკე არასოდეს ყოფილა. ქართველები წარმომავლობის შესახებ ხშირად ეკითხებიან ხოლმე: სადაური ხარ? იგულისხმება, რომ თითქმის ყველა, ვინც თბილისში ცხოვრობს, წარმოშობით რომელიმე სოფლიდანაა, თუ ის თვითონ არა, მამამისი ან პაპამისი მაინც ჩამოსულია. თითქმის ყველას სოფელთან კავშირი აქვს შენარჩუნებული. ეკონომიკური გაჭირვების ჟამს ეს ძალიან ხელსაყრელია. მრავალს სარჩო თავად მოჰყავდა, ან სოფელი ნათესავები ეხმარებოდნენ. ნამდვილი თბილისელი იშვიათი მოვლენაა. შეიძლება ითქვას, რომ ჭეშმარიტი თბილისელი თბილისის უკანასკნელი პოეტი იოსებ გრიშაშვილი იყო. იმ ქალაქის შესახებ, რომელიც აღარ არსებობს, მან 20-იან წლებში თავის წიგნში "ძველი თბილისის ლიტერატურულ ბოჰემაში" დაწერა. ქალაქის დაცემას ის ლექსში "გამოთხოვება ძველ თბილისთან, ანუ დუდუკის საარი ქარს მიაქვს" დასტირის: იოსებ გრიშაშვილის კითხვისას ვხვდებით, რომ ქალაქს, რომელშიც ვცხოვრობთ, ძველ ქალაქთან აღარაფერი აქვს საერთო.

გასაბჭოება ქალაქისთვის სასტიკი მოვლენა იყო. კომუნისტებმა მხოლოდ მდინარე და ქალაქი როდი დააშორეს ერთმანეთს. აღარ არსებობს კარნავალი (ყეენობა), აღარც ყოჩების ჩხუბი და აღარც ჭიდაობა, ყარაჩოღლობაც მოისპო. სულ ბოლოს ქურთმა ქალებმა დათმეს თავიანთი ლამაზი, მრავალ ფენად გადაკრული, ჭრელი ატლასის ქვედაბოლოები.

თბილისი შეიცვალა, მაგრამ კვლავაც მრავალფეროვანია. წარმართული სოფლებიდან ჩამოსულმა მთიელებმა თუ საქართველოს შუა საუკუნეებში დარჩენილი პროვინციებიდან გამოსულმა გლეხებმა თავიანთი ადათ-წესები ჩამოიტანეს. ახლა, სოციალიზმის დაცემის შემდეგ, იმ დროს ვუბრუნდებით, რომელიც მივიწყებული გვეგონა. რელიგიურ გოგონებს თავსაფრები უნივერსიტეტშიც მოხვეული აქვთ, ახალგაზრდა მამაკაცები უძველეს წარმართულ რიტუალებს ასრულებენ, რომლებიც ოდნავაა ქრისტიანულად შენიღბული. დიდ დღესასწაულებზე, ქორწილებსა თუ გასვენებებში თანამედროვეობა და წარსული ერთმანეთს ხვდება. ახალგაზრდები, რომელთაც ზუსტად ისე აცვიათ, როგორც მათ თანატოლებს დასავლური სამყაროს მეტროპოლიებში და რომლებიც ასევე ინტერნეტში დაძვრებიან, ოჯახში სულ სხვანაირად იქცევიან – ძველებურად. ამ მოზარდებსაც ის კერპები ჰყავთ, რომლებიც მათ თანამედროვეებს შორეულ დასავლეთში, მაგრამ სულ სხვა ღირსების კოდექსი აქვთ და სულ სხვა წარმოდგენები ოჯახისა და სქესთა ურთიერთობის შესახებ: გარეგნულად თანამედროვე, შინაგანად კი (ზოგჯერ გაუცნობიერებლადაც) ტრადიციული. ისინი ხშირად ორ განსხვავებულ სივრცეში არსებობენ, ამერიკულ-დასავლურ-ევროპულსა და საკუთარ, თბილისურ სივრცეში.

შესაძლოა, იმაზე კი არაა საუბარი, რომელ კონტინენტს მიეკუთვნება თბილისი, არამედ იმაზე, რომელ დროს მიეკუთვნება. შესაძლოა, ამიტომ ადგათ მოგზაურებს ასეთი გასაჭირი. თბილისს საკუთარი დროის შეგრძნება აქვს, საკუთარი დროით ცხოვრობს.

მთაწმინდის მისადგომებთან.

აბანოთუბანი.

მეტეხი.

ამონარიდი „ბუბუნიანის ფიქრებიდან"

ᲖᲐᲐᲚ ᲡᲐᲛᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲕᲔᲢᲘ

ᲛᲔ ᲓᲐᲕᲬᲔᲠ...

მე დავწერ:
დონ-კიხოტობაზე
მე დავწერ:
ტომ სოიერობასა და ჰეკ ფინობაზე
მე დავწერ:
მუშკეტერობასა და განსაკუთრებით ათოსის სევდიანობაზე
მე დავწერ:
ჟან-ვალჟანობასა და გავროშობაზე
მე დავწერ:
დუბლინელობასა და ბიჭუნაზე, ლოთ მამას რომ ეხვეწება, ნუ მცემ და გიხაროდენს წაგიკითხავო
მე დავწერ:
ფიესტაზე, პამპლონაში რომ იმართება და ბრეტ ეშლისნაირ ქალებს მატადორები უყვარდებათ
მე დავწერ:
ჰოლდენ კოლფილდობაზე, ვინც საუბედუროდ მარკ დევიდ ჩემპენმაც შეიყვარა თუ კერპად იქცია
მე დავწერ:
ბაბუაწვერების ღვინოზე, სადაც ახალნაყიდ საჩოგბურთო კედებში ფეხების ჩაყოფა ოდესღაც განცდილ მსგავს სიგრილეს მაგრძნობინებს
მე დავწერ:
ელაიზა განტზე
მე დავწერ:
ანდრეი ბალკონსკობასა და ფედკა დოლოხოვობაზე
მე დავწერ:
ბილ საიქსობასა და ბულზოობაზე
მე დავწერ:
სათაურთა შორის საუკეთესოზე – ყოფიერების აუტანელ სიმსუბუქეზე
მე დავწერ:
დონ ისიდორო პაროდობაზე
მე დავწერ:
ნიკოლსონობასა და ვითომ ყრუ-მუნჯ გიგანტ ინდიელზე
მე დავწერ:
მარიტობასა და ელიოზობაზე
მე დავწერ:
ნეკერჩხლის ფოთლის გაწითლებაზე
მე დავწერ:
“იდიოტობაზე” აკუტაგავას მიხედვით
მე დავწერ:
ოქროსფერ ქვიშაზე დანთხეული სისხლის სიწითლეზე
მე დავწერ:
ჩოჩარას დედობაზე
მე დავწერ:
იდაყვებზე ტყავგამოკერებულ ტვიდის პიჯაკსა და ფარდულიდან გამომავალი კაცის დიდ მწერლობაზე
მე დავწერ:
პილარ ტერნერობასა და ცაში აფრენილ რემედიოსობაზე
მე დავწერ:
მელნით თითებდასვრილ და მერემინგტონე პედრო კამაჩოობაზე

■ ■ ■

თუკი დავწერე ყოველივე, რაც ჩამოვთვალე, იქნება ეს პოსტმოდერნი? თუ უბრალოდ კლასიკოსების მიბაძვაში ჩამითვლის ვინმე თვალ და ხელგაწაფული კრიტიკოსი?

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲝᲑᲐ, ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲨᲔᲥᲡᲞᲘᲠ!

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲕᲐᲓᲐᲭᲙᲝᲠᲘᲐ

ᲤᲝᲢᲝ ᲮᲔᲠᲮᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲤᲘᲠᲛᲘᲗ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲔᲥᲡᲞᲘᲠᲘᲐᲜᲐ

გამოფენა, რომელიც გუშინ სურათების ეროვნულ გალერეაში გაიხსნა, კულტურის სამინისტროს, მხატვართა კავშირის, სამხატვრო აკადემიის და ხელოვნების განვითარების ცენტრის “ART – არსის” (დირექტორი ნინო ზაალიშვილი) მიერაა ორგანიზებული და ორ მნიშვნელოვან თარიღს ეძღვნება: საქართველოში ბრიტანეთის საბჭოს 10 წლის იუბილეს და საქართველოს მხატვართა კავშირის 70 წლისთავს.

გამოფენაზე წარმოდგენილი 200-მდე ნამუშევარი, რომელნიც სხვადასხვა მუზეუმების თუ კერძო კოლექციების საკუთრებაა, შეიძლება ითქვას, ქართულ სახვით ხელოვნებაში შექსპირის ნაწარმოებების რეტროსპექტივას წარმოადგენს, რაზეც თავად გამოფენის სახელწოდებაც მიგვანიშნებს – “ქართული სახვითი შექსპირიანა”. არადა, მართლაც, რამდენი ილუსტრაციაა შექმნილი სონეტებისთვის თუ პიესებისთვის, დეკორაციები და ესკიზები სპექტაკლებისათვის. თურმე, შექსპირის თემატიკა თანამედროვე შემოქმედებსაც ისევე იტაცებს, როგორც - ელენე ახვლედიანსა და მისი ეპოქის მხატვრებს. აქ იყო - “მეფე ლირი”, “აურზაური არაფრის გამო”, “ვენეციელი ვაჭარი”, “ზაფხულის ღამის სიზმარი”, ნინო ზაალიშვილის “რომეო”, მიქელაძის “უილიამ შექსპირის პორტრეტი”, იანქოშვილის “სალომე ყანჩელი ელიზაბეტის როლში” (რიჩარდ III), შენგელია-აბაშიძის “ანტონიუსი და კლეოპატრა”, ელენე ახვლედიანის კოსტუმები სპექტაკლისათვის “აურზაური არაფრის გამო”, ოლეგ ქოჩაკიძის “გამარჯობა, ბატონო შექსპირ!”, თაკო შაშიაშვილის “რომეო და ჯულიეტა” და, თქვენ წარმოიდგინეთ, საკარნავალო ნიღბებიც კი, რომლებითაც განსაკუთრებულად მოვიხიბლეთ. (თაკო შაშიაშვილი მხატვარი-გრაფიკოსია და, როგორც გაირკვა, ნიღბების კეთება მისი ჰობია);

ლალი კერესელიძემ, უნივერსიტეტის დოცენტმა და ცნობილი შექსპიროლოგის ნიკო ყიასაშვილის ასპირანტმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა: “რომ არა, ნიკო ყიასაშვილი, ეს ილუსტრაციებიც არ იქნებოდა. ბატონმა ნიკომ თავის დროზე გრანდიოზული პროექტი - შექსპირის ხუთტომეულის გამოცემა ჩაიფიქრა. სხვადასხვა ავტორთა მიერ თარგმნილ ნაწარმოებებს თან ერთვის ილუსტრაციებიც, რომელთა დიდი ნაწილი ბატონმა ნიკომ დაუკვეთა ქართველ მხატვრებს და წიგნში ყველა პიესას დაურთო. ხუთტომეულიდან ამჟამად მხოლოდ სამი ტომია გამოსული; შემდეგი ორი ტომი ჯერ კიდევ ელის მზის სინათლეს.”

ბრიტანეთის საბჭოს ხელოვნების პროგრამების მენეჯერის, ირაკლი ფიცხელაურის აზრით, ხელოვნების განვითარების ცენტრის ინიციატივით მოწყობილი ეს გამოფენა საქართველოსთვის პირველია; ზოგიერთი მხატვრის ნამუშევარი სპეციალურად ამ დღისთვისაა შექმნილი.

საუბარია იმაზეც, რომ ამ გამოფენის გარკვეული ნაწილი ბრიტანეთში გაიგზავნოს. გამოფენის მესვეურები კატალოგის გამოცემასაც ვარაუდობენ.

დასასრულ იმასღა გეტყვით, რომ ამდენი ქართველი მხატვრის მიერ ინდივიდუალურად დანახული შექსპირი, მართლაც, შთამბეჭდავია და საინტერესო. ვერ წარმოვიდგენდი, თუ ამდენი რამ იყო შექმნილი შექსპირის ნაწარმოებების თემაზე. ეს, ალბათ, იმის შედეგია, რომ მისი პიესები ქართულ სცენაზე ყველა ეპოქაში იდგმებოდა. ასე რომ, გამოფენის დათვალიერებას ნამდვილად გირჩევთ.

ᲒᲖᲐ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲓᲐᲜ ᲐᲜᲣ ᲙᲘᲜᲝᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ 21 ᲬᲣᲗᲘ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲨᲘ

ᲗᲔᲝᲜᲐ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

ᲤᲝᲢᲝ ᲮᲔᲠᲮᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲤᲘᲠᲛᲘᲗ

ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲡ ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲐ

21 წუთი – ეს უკვე მზა, დამონტაჟებული ფილმის ქრონომეტრაჟია, თორემ ახალგაზრდა რეჟისორმა ალექსანდრე ქორიძემ თავისი მორიგი დოკუმენტური ფილმისათვის თითქმის ერთ თვემდე დაჰყო აქვე, თბილისთან ახლოს, შავნაბადას მონასტერში. შედეგი – გუშინდელი წარმატებული პრემიერა “კინოს სახლში” და ჯანსაღი აუდიტორია (ძირითადად ახალი თაობის კინემატოგრაფისტები და კინოს კრიტიკოსები), რომელთა დემაგოგიისაგან დაუნაგვიანებელ ტვინებს სულ მცირე სიყალბესაც ვერ შესთავაზებ.

მაინც რა დააფიქსირა ახალგაზრდა კინემატოგრაფისტის კამერამ მონასტერში? – ის, რაც ამ ჟანრის პირდაპირი დანიშნულებაა – რეალობა: ეკლესიის მრევლი მონასტრის ძველ კედლებს ანგრევს და ახალს აშენებს, იმიტომ რომ “გაფართოვდეს,” მოძღვარი ლოცვაზე მისულთ წირვის ნაცვლად წინასაარჩევნო კამპანიას უჩაღებთ და მკაცრად აფრთხილებთ, რომ მას, ვისაც “ჩვენი მამა და მარჩენალი – ჩვენი პრეზიდენტი არ უყვარს ეშმაკის მოციქულია და ეკლესია სასწრაფოდ უნდა დატოვოს”, ატავისტური რიტუალი, დაკლული ცხვარი, ბევრი სისხლი, მონასტრის მორჩილთა ტრაპეზი ბევრი ხორცით - ყოველივე ამას კამერა მარჯვედ აფიქსირებს და შეგახსენებთ, რომ ეს დადგმული სცენები არ გახლავთ, ეს დოკუმენტური კადრებია რეჟისორის კომენტარის გარეშე.

ფილმში მოულოდნელად, ზემოთ აღწერილ მონასტრულ ცხოვრებას ცდუნებასავით უპირისპირდება ღამის ქალაქის მჩქეფარე ცხოვრების ამსახველი კადრები. მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნული დაპირისპირებაა. “ღამის ქალაქის ცხოვრების კადრები კი არ უპირისპირდება მონასტრულ ცხოვრებას, როგორც ეს საერთოდ მიღებულია, არამედ თავად ეკლესია, ფილმში ასახული ეკლესიური ყოფით უპირისპირდება საკუთარ პრინციპებს და ეს ღამის ქალაქზეც კი უარესია” – კომენტარს აკეთებს ახალგაზრდა რეჟისორის პედაგოგი ბატონო თემურ ფაფერაშვილი.

ცნობისათვის; ის ვინც ახალი ქართული კინოთია დაინტერესებული, მშვენივრად იცნობს საშა ქორიძის წინა ორ ნამუშევარს: ასევე დოკუმენტურ ფილმებს, “ალსტრომის სინდრომსა” და “ბრაზილიას” (ამ უკანასკნელმა წლევანდელ სტუდენტურ კინო-ფესტივალზე გრან-პრი მოიპოვა. სამივე ფილმი თემურ ფაფერაშვილის შემოქმედებით სახელოსნოშია შექმნილი). თუ სამივე ფილმს მთლიანობაში შევხედავთ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ახალგაზრდა კინოდოკუმენტალისტის მზერა, ქართული დოკუმენტური კინოსათვის აუთვისებელი სოციალურ ფენებსა და სქესს (ინტელიგენციას და ქალებს წინა ორ ფილმში) და ბოლო ფილმში კი ისეთ მნიშვნელოვან და დღეს აქტუალურ მოვლენას შეეხო, როგორიცაა საეკლესიო ცხოვრება.

ბოლოს კი ფილმის ფინალის შესახებ, რომელიც რეჟისორის ერთგვარი და ერთადერთი კომენტარიცაა: მონასტერს ერთ-ერთი მორჩილი ტოვებს. მორჩილი მონასტერში გამეფებულ სიყალბეს გაექცა თუ უბრალოდ საერო ცხოვრება მოენატრა - ეს უკვე მაყურებლის გადასაწყვეტია. მორჩილის წასვლაც არ გახლავთ დადგმული სცენა, ისიც რეალურია და მას ერთი მორჩილისა და მისი ნაცნობის დიალოგიდან ვიტყობთ. კადრში კი დადი მწვანე მდელო რჩება, რომელიც მონასტრის ღია კარიდან მოსჩანს. ეს დახურული სივრციდან ღია სივრცეში მოხვედრის სურვილია და არა “ღამის ქალაქი ცდუნება” – ერთადერთ კომენტარს აკეთებს რეჟისორი.

ᲖᲚᲐᲪᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗᲒ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲘᲧᲝ

ᲗᲔᲐ ᲑᲝᲢᲙᲝᲕᲔᲚᲘ ″ᲫᲕᲔᲚ ᲒᲐᲚᲔᲠᲔᲐᲨᲘ″

ᲐᲜᲐ ᲙᲝᲠᲫᲐᲘᲐ-ᲡᲐᲛᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲜᲐᲖᲘᲤᲘ ᲑᲘᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲤᲘᲠᲛᲘᲗ

ᲗᲔᲐ ᲑᲝᲢᲙᲝᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐᲖᲔ

ნაცვლად იმისა, რომ ამ ხელოვანის შესახებ მისი კოლეგებისა და ჩემი აზრი მოგახსენოთ, ორიოდე სიტყვით მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის გადმოცემას ვეცდები, რადგან გარწმუნებთ – თეა ბოტკოველს ქათინაურები და აღფრთოვანებული გამოძახილი აღარ სჭირდება, და თუ “ძველ გალერეას” ეწვევით, ამაში თავადაც დარწმუნდებით.

ის დაიბადა თბილისში, მხატვრების ოჯახში, დაამთავრა სამხატვრო აკადემია და შემდეგ ერთი ხანა საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტში მუშაობდა. თეა მონაწილეობდა უამრავ ჯგუფურ გამოფენაში, ვილნიუსში გამართულ ევროპის ფერმწერთა სიმპოზიუმში (ვილნიუსი, 1997 წელი) და 1995-დან 2002 წლამდე რვა პერსონალური გამოფენა ჰქონდა, არამარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც – სანკტ-პეტერბურგში, ბერლინსა და პარიზში. მისი ნამუშევრები საქართველოს, ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების კერძო კოლექციებშია დაცული, და გუშინდელ გამოფენაზე გამოტანილი რამდენიმე ტილოც უკვე სხვისი საკუთრებაა. ეს ნამუშევრები საგანგებო წითელი ნიშნითაა “აღჭურვილი”, ისევე, როგორც ის ტილოები, რომლებიც თეა ბოტკოველისთვის განსაკუთრებით ძვირფასია და, შესაბამისად, არ იყიდება

გუშინ “ძველ გალერეაში” გახსნილი გამოფენა თეასთვის რიგით მეცხრე პერსონალური გამოფენა გახლავთ. “ძველი გალერეა” ამ მხატვარს უკვე მეორედ მასპინძლობს – პირველად ეს 2000 წლის მაისში მოხდა.

დღემდე მიკვირს ხოლმე, რომ “ძველი გალერეის” თითქოს პატარა სივრცე ასეთი მდიდარი ექსპოზიციის წარმოდგენის საშუალებას იძლევა. დარბაზში ორი, ავტორისათვის ძალიან განსხვავებული ცხოვრების მონაკვეთის განმავლობაში შექმნილი ტილოებია გამოფენილი. ერთი სერია ძალიან ნათელია, ნატიფი, დილის მზის სხივებით გაბრჭყვიალებულს და მათ შემქმნელს, თავად თეა ბოტკოველს ჰგავს: “ტყის ნიმფა”, ზღაპრული ფრინველების ამალით, მოცინარი თვალებით, მშვიდი “მძინარე”, “საწყისი” - ფრთაგაშლილი ფრინველი – ამ ნამუშევარმა ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა. ამ სერიის კომენტირებისასა თეა დამეკითხა, ხომ ეტყობა, რომ ძალიან ბედნიერი ვიყავიო. ნამდვილად ეტყობა.

“მიტევება” ექსპოზიციაში გამორჩეული ნამუშევარია. “შედარებით ძველია, 1997 წლისა, გარდამავალი პერიოდი იყო,” განმარტა მხატვარმა.

ის ტილოები, რომლებიც დარბაზის მარჯვენა კედელზეა განლაგებული, თეას მიერ შექმნილი ბოლო სერიიდანაა, უკანასკნელი რამდენიმე თვის ნამუშევარი ყოფილა. მართალია, ისეთი გაცისკროვნებული აღარაა, როგორებიც “ბედნიერი პერიოდის” ტილოები, მაგრამ არანაკლებ მიმზიდველია, თუნდაც თავისი თითქოს უხილავი, ფარული დრამატიზმით. ამ ნამუშევრებიდან განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო “კომპოზიცია”, რომელიც “მართლა იყო”: უზარმაზარ ჭიშკართან მორჩილად მდგომი, წითელი ბაფთით მორთული თეთრი ბეკეკა, “სააღდგომო ერკემალი” გამახსენდა, მაგრამ, ალბათ, არაფერ შუაშია – ამ ბეკეკას ერკემალი ნამდვილად არ ეთქმის, მეტისმეტად ნაზია და სევდიანი.

ვერნისაჟზე, როგორც წესია, უამრავი ხალხი მობრძანდა, მხატვარს, როგორც წესია, მიულოცეს და მრავალი ყვავილი მიართვეს. მაგრამ გუშინდელი საღამო მაინც განსაკუთრებული იყო, თუნდაც იმის გამო, რომ თეა ბოტკოველი ამ გამოფენის მოწყობას სულ რამდენიმე კვირის წინათ არც აპირებდა და მაინც ზღაპარივით გამოუვიდა. და კიდევ იმიტომ, რომ თავად თეაა არაჩვეულებრივი ქალი – შეფასებისგან თავი მაინც ვერ შევიკავე, მაგრამ რა გაეწყობა.

ᲛᲝᲓᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გუშინ ხელოვნების და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტის კურსდამთავრებულებმა პედაგოგებს, ნაცნობ-მეგობრებს და უბრალოდ ცნობისმოყვარე საზოგადოებას თავინთი ნაშრომები წარუდგინეს. მნიშვნელოვანი დღე იყო, როგორც თავად დიპლომანტებისთვის, ასევე მათი მასწავლებელებისთვისაც. განსაკუთრებულ განსაცდელში ფაკულტეტის ხელმძღვანელი, ბატონი ვლადიმერ ასათიანი იყო – დაუფარავად ღელავდა, მაგრამ სულ ტყუილად – ყველაფერმა ჩინებულად ჩაიარა.

ზეიმის პირველი ნაწილი ძალიან მალე დამთავრდა. ბატიკა, გობელენები და გრაფიკული ნამუშევრები უკვე კედლებზე იყო აყუდებული, და მათი ავტორები დარბაზში ახალგაზრდა მოდელიორების სადიპლომო ჩვენების მოლოდინში ჩამომსხდარიყვნენ.

მოდელიორები თერთმეტნი იყვნენ, თერთმეტივე – ქეთევან გვაზავას დიპლომანტები. ხელმძღვანელი თავის სტუდენტებით ერთობ კმაყოფილი ჩანდა, ისევე, როგორც თამარ ჩარგეიშვილი, საქართველოს სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრის მხატვარ-მოდელიორი. ეს უკანასკნელი სადიპლომო ნამუშევრების რეცენზიების ავტორი გახლდათ, და ჩვენების დაწყებამდე მიამბო, რომ რამდენიმე სტუდენტი მაინც გამორჩეულად ნიჭიერი და შრომისუნარიანი აღმოჩნდა.

ძირითადი თემა თანამედროვე ქალის ტანსაცმელი იყო. მსოფლიოს წამყვან დიზაინერთა ჩინეთით დაინტერესებამ არც ქართველებს აუარა გვერდი – აღმოსავლური გავლენა რამდენიმე კოლექციაში აშკარად იგრძნობოდა.

უნდა ითქვას, რომ ყველაფერი ჩინებულად იყო ორგანიზებული. მე კი განსაკუთრებით ის გოგონები მომეწონენ, რომლებიც სადიპლომო ნამუშევრებს წარმოადგენდნენ: ლაღად დადიოდნენ, ბეჭს არავინ იგდებდა, იღიმებოდნენ – მოკლედ, ნამდვილი გოგოები იყვნენ, და ეს ძალიან კარგი იყო.

ᲡᲐᲛᲘ ᲒᲠᲐᲜᲞᲠᲘ ᲑᲐᲚᲢᲘᲘᲡᲞᲘᲠᲔᲗᲨᲘ

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲜᲘᲭᲐᲠᲐᲫᲔ

გუშინ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში, საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელოვნების კოლეჯის სამუსიკო განყოფილების მოსწავლეთა კონცერტი გაიმართა. ეს აღნიშნული სასწავლო ცენტრის ერთ-ერთი საანგარიშო ჩვენებაა, რომელიც უკვე თვენახევარია, გრძელდება და კოლეჯში არსებულ ყველა სასწავლო დარგს ეხება.

კონცერტი ხელოვნების კოლეჯის გენერალურმა დირექტორმა - ქალბატონმა ციცო ჯაფარიძემ გახსნა და ისაუბრა ამ სასწავლო ცენტრის თეატრალური, ფოლკლორული, საშემსრულებლო თუ სახვითი განყოფილებების მიერ წარმოდგენილი ნამუშევრებისა და კონცერტების შესახებ და საკმაოდ მაღალი შეფასება მისცა მათ. ქალბატონმა ციცომ ხელოვნების კოლეჯის შესაფასებლად საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიტყვები მოიშველია, რომ ეს ხელოვნების კოლეჯი არატიპური და ნოვატორულია, იმდენად, რომ ერთადერთი სასწავლო ცენტრია, რომელიც მოიცავს ბაღს, სამუსიკო და საშუალო სკოლას და სასწავლებელს.

კონცერტში სხვადასხვა პედაგოგთა მიერ მომზადებული მოსწავლეები იღებდნენ მონაწილეობას. ხელოვნების კოლეჯის მე-4 - მე-10 კლასელი მოსწავლეები ევგენი მიქელაძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის თანხლებით, ასრულებდნენ ბახის, ბეთჰოვენის, მენდელსონისა და სხვათა საკონცერტო ნაწარმოებებს. დირიჟორი გახლდათ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ბატონი რევაზ ტაკიძე.

ციცო ჯაფარიძე: “ახლახანს ბალტიისპირეთში იუნესკოს ეგიდით ჩატარდა მსოფლიოს ბავშვთა კონკურს-ფესტივალი. ჟიურის თავმჯდომარე ევროსაბჭოს გენერალური მდივანი ვალტერ შვიმერი გახლდათ, ხოლო მოადგილე – სალონიკის კონსერვატორიის რექტორი. სასიხარულოა, რომ სწორედ ქართველი გოგონა, ჩვენი კოლეჯის მე-8 კლასის მოსწავლე ნათია მიქაძე სამი გრანპრის მფლობელი გახდა – მან მიიღო უმაღლესი ჯილდო მხატვრულ კითხვაში, ვოკალსა და ქორეოგრაფიაში. ეს ჩვენი კოლეჯის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმატებაა”.

მარინა რევიშვილი – ხელოვნების კოლეჯის სასწავლო ნაწილის გამგე ხელოვნების სფეროში: “დღევანდელი კონცერტი ძალიან საპასუხისმგებლო გახლდათ, მით უმეტეს, კოლეჯის სხვა სასწავლო დარგების მიერ წარმატებით წარმოდგენილი ანგარიშების შემდეგ, მაგრამ დღეს ჩვენი სამუსიკო განყოფილების მოსწავლეებმა თავი ნამდვილად შესანიშნავად წარმოაჩინეს, როგორც ერთიანი ხელოვნების კოლეჯის ღირსეულმა წარმომადგენლებმა”.

"ადამიანის სხეულს ყველაფერი შეუძლია"

ამ დევიზის ჭეშმარიტებაში ქართველი მსმენელის დარწმუნებას Take 6 დღეს შეეცდება

ვერა ნეფარიძე

წუხელ ღამის ორ საათზე თბილისში წლევანდელი ჯაზ-ფესტივალის უკანასკნელი სტუმრები ჩამოფრინდნენ. მსოფლიოს ჯაზის საუკეთესო ვოკალურ ჯგუფად აღიარებული Take 6-ის წევრები საქართველოში "აირზენას" ფრანკფურტი-თბილისის ავიარეისს ჩამოყვნენ. ხანგრძლივი მგზავრობისგან დაღლილ ამერიკელ მუსიკოსებს დასვენებისთვის საკმაოდ ცოტა დრო რჩებათ. დღის სამ საათზე ისინი "შერატონ-მეტეხი პალასში" ტრადიციულ პრესკონფერენციას გამართავენ; საღამოს ცხრა საათზე კი Take 6-ს ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი უმასპინძლებს.

თუკი მიღებული ჯილდოების, ტიტულებისა და პრემიების მიხედვით ვიმსჯელებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ Take 6-ის რანგის კოლექტივი საქართველოში აქამდე არ ჩამოსულა. საუბარია მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ მუსიკალურ ჯილდოებზე უამრავჯერ ნომინირებულ და "გრემის" შვიდგზის მფლობელ Take 6-ზე; სექსტეტზე, რომლის წევრებისთვისაც "თეთრი სახლის" კარი დღემდე ყოველთვის ღიაა; შესაძლებელია, რომ ნამდვილი მუსიკის მოყვარულებისთვის ასეთი განსაღვრება მხოლოდ ჯგუფის კონიუნქტურულობაზე მეტყველებს და მეტი არაფერზე, მაგრამ ფაქტი ერთია: მუსიკალურ სამყაროში რაც კი აღიარება არსებობს, Take 6-ს თითქმის ყველა მათგანი დაუმსახურებია. მათი დისკოგრაფია, რომელიც დღემდე გამოშვებულ თორმეტ ალბომს აერთიანებს, რამდენიმე ოქროსა და პლატინის სტატუსის დისკს ითვლის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ Take 6-ს ოკეანის ორივე მხარეს დიდი მონდომებით უსმენენ.

ამ კოლექტივის ისტორია სათავეს იღებს თვრამეტი წლის წინათ, როდესაც ექვსმა სტუდენტმა საერთო საცხოვრებლის სააბაზანოში დაიწყო რეპეტიციები. დღეს ეს მოზრდილი ამერიკელი მამაკაცები რიტმ-ენდ-ბლუზის მოყვარულებს ჭკუიდან შლიან. სექსტეტის წევრები მსმენელს, ძირითადად, ადამიანის შესაძლებლობების უსაზღვრობაში არწმუნებენ. წარმოიდგინეთ, სცენაზე დგას მხოლოდ ექვსი ვოკალისტი და როდესაც უსმენთ, ეჭვი არ გეპარებათ, რომ მათ ფონს მთელი ჯაზ-ბენდი უქმნის. ჩანაწერების მოსმენა რასაკვირველია, ვერ შექმნის იმ ეფექტს, რასაც დღევანდელ კონცერტზე უნდა ველოდოთ. ეფექტს, რითაც ამ შავკანიანმა მუსიკოსებმა მსოფლიო დაიპყრეს. ანსამბლის წევრები თავად ახდენენ სხვადასხვა ინსტრუმენტების: საყვირების, ტრომბონის, დასარტყამი ინტრუმენტის, ელექტროგიტარებისა თუ კონტრაბასის იმიტაციას. ალბათ, ძალიან ძნელია ეს ყველაფერი გონებაში წარმოიდგინო. "ყველანაირ ხმას, რასაც კონცერტზე მოისმენთ, მხოლოდდამხოლოდ ჩვენია, იმის მიუხედავად, რაც არ უნდა მოგესმათ. ადამიანის სხეულს ყველაფერი შეუძლია", - ასე აფრთხილებენ Take 6-ის წევრები ყოველი კონცერტის წინ აუდიტორიას. და მართლაც, მუსიკა, რომელიც მათ კონცერტებზე ჟღერს, აერთიანებს იმდენ მიმდინარეობას, მათ შორის: სვინგს, რეპს, გოსპელს, ფანკს, რიტმ-ენდ-ბლუზს, სოულს...და ეს ყველაფერი ყოველგვარი ინსტრუმენტის გარეშე...

"Take 6" თბილისის ჯაზ-ფესტივალს დახურავს

Take 6-ის შემადგენლობა დაარსებიდან დღემდე არ შეცვლილა. ჯგუფში უცვლელია: ბანი ელვინ ჩი, ბარიტონი სედრიკ დენტი, პირველი ტენორები: მარკ ქიბლი და კლოდ ვი მაკნაიტ III; მეორე ტენორები: ჯოი ქიბლი და დევიდ ტომასი. სწორედ ეს ადამიანები წლების განმავლობაში ვოკალური ჯაზის საშემსრულებლო ტექნიკის კანონმდებლები არიან. ძალიან ძნელია გაიხსენო მამამკაცთა ცნობილი ვოკალური სოულ-ჯგუფები, რომლებიც არ განიცდიდნენ Take 6-ის ზეგავლენას; თუმცა, 90-იანებში, როდესაც სოულის განსაკუთრებული ბუმი მოედო მუსიკალურ სამყაროს, თავად Take 6 ძლივს გადაურჩა მოდას. 1996 წელს ჩაწერილმა ალბომმა Brothers ჯგუფს საკუთარი უნიკალური სტილის დაკარგვის საშიშროება შეუქმნა, რადგან ამ ალბომმა ნათლად წარმოაჩინა, რომ გაჩნდა კომერციული, სოულის სტილის მუსიკის დაბრუნების დიდი შანსი. თუმცა, ამ საშიშროების არასერიოზულობაში თავისი მორიგი ჩანაწერების დახმარებით, ჯგუფმა მსმენელი მალევე დაარწმუნა.

Take 6 დამოუკიდებლად მოღვაწეობის გარდა ცნობილია თავისი თანამშრომლობით ისეთ ცნობილ მუსიკოსებთან, როგორებიც არიან: ელ ჯერო, მარკუს მილერი, სტივი ვანდერი, რეი ჩარლზი, ქუინსი ჯონსი და ერიკა ბადუ. იმედია, დღევანდელი კონცერტი კიდევ ერთხელ გაამართლებს ამერიკული სექსტეტის ვირტუოზულობას და ის გაამართლებს ქართველი მსმენელის მოლოდინს.

ვია-გრა - მხოლოდ მამაკაცებისათვის

მადი სერებრიაკოვა

რა თქმა უნდა, ყველასთვის ცნობილია, რომ მასობრივი პოპულარობა მაღალი მუსიკალური მიღწევების ადექვეტური სულაც არ არის. ზოგჯერ პირიქითაც, რაც უფრო პრიმიტიულია მუსიკა, ვულგარული – შემსრულებელი, მით უფრო უკეთ იმახსოვრებს მსმენელი და მაყურებული. ჰეროსტრატეს კომპლექსის ეს ახლებური ვარიანტი პოსტ-საბჭოთა შოუ-ბიზნესში მეტად აქტუალური გახდა. სკანდალურობა მუსიკალური ბეკგრაუნდის სრული უქონლობის ფონზე – თითქმის წარმატების საიდუმლოა. ასე შეიქმნა არა ერთი პოსტ-საბჭოთა შოუ-მითი და ჰიტი. ამ ტრადიციის შესანიშნავი წარმომადგენლები არიან ჯგუფ "ვია-გრას" წევრებიც. საყოველთაოდ აღიარებული თეზისი, რომ კონცერტზე მათ საყურებლად მოდიან და არა მოსასმენად – თავად ჯგუფსაც არ აწუხებს. "ვია-გრა" ხომ პირველი უცხოური ჯგუფია (ისინი უკრაინელები არიან), რომელსაც Sony Music-მა უსიტყვოდ და ულაპარაკოდ გაუფორმა კონტრაქტი ხუთი წლის ვადით.

"Мы сами с усами!"

ორი სიტყვით კიდევ დავუბრუნდეთ "ვია-გრას" მითს. როგორც პროდიუსერმა აღნიშნა "ვია გრა" – ის ვიაგრა სულაც არ არის, ჩვენ რომ გვგონია. სინამდვილეში ეს მხოლოდ აბრევიატურაა: ვია – ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლს ნიშნავს, გრა კი, უკრაინულად თამაშს ნიშნავს. თუმცა, კეთილგონიერ პროდიუსერს ვინ დაუჯერებს – როგორც რუსები იტყვიან - Все понимают по мере своей испорченности. პოსტ-საბჭოთა მსმენელმაც ("ვია გრა" კონცერტებს რუსეთში, ბელორუსიაში, უკრაინასა და ყაზახეთში მართავს) ზუსტად ისე გაიგო და აღიქვა, როგორც მოსალოდნელი იყო. "ვია გრამ" მოხსნა ჰიტ-ჩარტებისა და გაყიდული ალბომების რეკორდები. მათი ყველა სიმღერა თინეიჯერებმა ჰიმნებივით დაისწავლეს და ყოველ კონცერტზე სულმოუთქმელად ელიან სანატრელი ბიუსტების მოშიშვლებას.

ეს უკანასკნელი "ვია გრას" უდაოდ შთამბეჭდავი აქვს. საერთო სტატისტიკის მიხედვით, ჯგუფის კონცერტებზე პირველ 4 სიმღერას მამაკაცები ჩუმად უსმენენ, მე-5-ზე ტაშის დაკვრას იწყებენ, მე-6-დან კი შესაძლებლობებიდან გამომდინარე ძუნძულს ან ცეკვას იწყებენ.

რუსული შოუ-ბიზნესის დაპყრობა უბრალო საქმე არ არის, განსაკუთრებით უცხოური კოლექტივისთვის. Sony Music-ის წარმომადგენელთან საუბრისას, ამ უკანასკნელმა არტისტის რუსულ ბაზარზე პრომოუტირებისთვის საჭირო თანხა ნახევარიდან ერთ მილიონ დოლარამდე დაასახელა. ასეთი ინვესტიციის დამსახურება კი მარტივი არ არის. არსებობს რუსულ შოუ-ბიზნესში გზის გაკაფვის შედარებით არაოფიციალური გზაც. ამბობენ, რომ ეს გზა ალა პუგაჩოვასა და ფილიპ კირკოვის ოჯახური წყვილის კეთილგანწყობაზე გადის. "ვია გრამ" ამ უკანასკნელს გვერდი აუარა და უფრო მეტიც, მათ პაროდირებასაც არ მოერიდა თავის კლიპებში. "Мы сами с усами!" – განაცხადეს გუშინ გოგონებმა, "პუგაჩოვასა და კირკოროვის პათეტიკურმა რომანტიკულმა სახეებმა ყველას მოაბეზრა თავი. ჩვენ გვინდა სულ სხვანაირი ვეჩვენოთ ჩვენს მსმენელს". ეს "ვია გრას" უთუოდ გამოუვიდა. ვულგარულობით მათ ყველა დასავლურ ანალოგს გადააჭარბეს, მათი ალბომი Попытка №5 კი კომპანია Columbia-მ გამოსცა, რომელმაც მანამდე რიკი მარტინის, სელინ დიონის, "აეროსმიტისა" და "ვია გრას" სხვა უცხოელი კოლეგების ალბომებით გაითქვა სახელი.

რა იციან სლავმა ქალებმა ქართველი მამაკაცების შესახებ

კიდევ კარგი, გუშინ "ვია გრას" პრესკონფერენციას ფემინისტები არ დასწრებიან. თუმცა, ვინც მათი შეხედულებებისადმი გულგრილია, ისიც ვერ გაუძლებდა იმ სექსისტურ დისკრიმინაციას, "ვია გრას" კონცერტამდე და კონცერტის დროს რომ სუფევდა. "ვია გრა"-ს წევრები საკუთარ აუდიტორიად მხოლოდ მამაკაცებს განიხილავდნენ და ძირითადად იმაზე საუბრობდნენ, თუ რამდენი სიმღერის შემდეგ "ააგდებდნენ" ქართველ მამაკაცებს. მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა დასწრება კონცერტზე კი, როგორც ჩანს, მათთვის მნიშვნელოვანი არ იყო. აღსანიშნავია, რომ "ვია გრას" წევრები რესტორან "არაგვში" სადილობის შემდეგ, სასტუმროში გაემგზავრნენ და პრესკონფერენციასა და კონცერტზე საათნახევრით დააგვიანეს – ალბათ, მათი მამაკაცები ლოდინს მიჩვეულები არიან.

"ვიაგრა" ერთად და ცალ-ცალკე

გიორგი ბუხაიძის ფოტოები

დისკრიმინაციას, ოღონდ ამჯერად პროფესიული ნიშნით უკვე კლუბ "16 რაუნდშიც" შევეჯახეთ. ვიდრე კლუბში შევაღწევდით, შესავლელში გზის გაკაფვა და დაცვის კორდონის გადალახვა ძვირად დაგვიჯდა. დაცვის წევრები ბრძანებას "ჟურნალისტები ბოლოს შემოუშვით" – პირნათლად ასრულებდნენ. ბოლოს იქამდეც მივიდა, რომ აკრედიტებულ უადგილო ჟურნალისტებს მაგიდების გარშემო "ბალახებში დასხდომა" უბრძანეს. მოკლედ, "ვია გრას" პატივისცემით გაბრუებულები მხოლოდ კონცერტის დაწყებასღა ველოდით.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი "ვია გრას" თბილისურ დაცვას ეხება. ჯგუფის წევრებმა საქართველოში ჩამოსვლის პირობად განსაკუთრებული დაცვის ორგანიზება წამოაყენეს. მათ, მართლაც, განსაკუთრებულად იცავდნენ. როგორც პრესკონფერენციაზე გაირკვა, ასეთი დაცვა მათ ქართველი მამაკაცების სლავი ქალებისადმი დამოკიდებულების შესახებ გავრცელებული მითებიდან გამომდინარე მოითხოვეს. "ტემპერამენტული კავკასიელების" შემოსევას "16 რაუნდშიც" ელოდნენ და შესასვლელ-გამოსასვლელი გაძლიერებული და ორმაგად გაუხეშებული დაცვითაც აღჭურვეს. თავად "ვია გრას" წევრებმა იმით დაგვამშვიდეს, რომ ყველა ერში არიან კარგი და ცუდი ადამიანები. "კარგი ქართველების" მაგალითად კი, მათ ქართული წარმოშობის ვალერი და კონსტანტინე მელაძე დაასახელეს. ეს უკანასკნელი მათი ერთ-ერთი პროდიუსერთაგანია და ჯგუფიც რეპერტუარს სწორედ მის კალამს უნდა უმადლოდეს. "ვია გრამ" შესაძლებლობით ისარგებლა და კონცერტი იუბილარ ვალერი მელაძესა და დანარჩენ "კარგ ქართველ მამაკაცებს" მიუძღვნა.

"ვია გრას" აღმგზნები ეფექტი

ხალხმრავლობა – უფრო ზუსტად – კაცთმრავლობა "16 რაუნდში" მართლაც აღინიშნებოდა. თუმცა, არც ისეთი მასშტაბით, როგორც მოსალოდნელი იყო. სრესა-ჭყლეტვა შესავლელში უფრო დაცვის უნიათობის დამსახურება იყო, ვიდრე მოძალებული მაყურებლის. საბოლოოდ, ყველასდა გასაოცრად, კლუბის ტერიტორიზე მხოლოდ აღგზნებული მამაკაცები როდი მოხვდნენ. უმეტეს წილად, მათ მეუღლეებიც თან ახლდათ, ზოგიერთს - ორსულიც.

თავად "ვია გრას" შოუზე რა მოგახსენოთ. მათგან ვოკალურ საოცრებებს არც არავინ ელოდა. პროგრამა მათი ყველასთვის ცნობილი სიმღერებით იყო შედგენილი. მათი ქორეოგრაფიაც – კარგად მოგეხსენებათ – აღმოსავლური მუცლის ცეკვისა და დასავლური სილიკონის მკერდის დიდებული ნაზავი. მსმენელთა შედარებით ენერგიული ნაწილი სცენის წინამდებარე ტერიტორიაზე ცეკვავდა. დინჯი ქართველები კი მაგიდებთან გამაგრდნენ და შორიდან ადევნებდნენ თვალს შილიფად ჩაცმული მიმზიდველი სლავი ქალების მოძრაობას. "ვია გრას" წევრები "სიურპრიზს" (სავარაუდოდ, ეს სიურპრიზი მათი სტრიპტიზი უნდა ყოფილიყო) ბოლოსთვის შეპირდნენ მაყურებლებს. თუმცა, დაკვირვებული თვალი დასანახს თავიდანვე დაინახავდა და განსაკუთრებული ჯაფაც არ იყო ამისთვის საჭირო.

საბოლოოდ, "ვია გრას" ეფექტის საიდუმლოს ბოლომდე მაინც ვერ ჩავწვდით. სტრიპტიზი, რომელსაც ასე ელოდნენ – არ შედგა. სცენის დატოვებისას ტრიო ზუსტად ისე იყო ჩაცმული, როგორც დასაწყისში.

იაპონელი კინოკლასიკოსი მოსკოვში

მოსკოვის საერთაშორისო ფესტივალი გრძელდება. ფესტივალი უკვე 25-ედ ტარდება და მის პროგრამაში საკონკურსო ფილმების გარდა უამრავი საინტერესო ღონისძიებაა ჩართული: გალა-პრემიერები, გამოფენები, რეტროსპექტივები... როგორც მოსალოდნელი იყო, ფესტივალის მთავარ მოვლენად იქცა იაპონელი კინოკლასიკოსის, კანეტო სინდოს ფილმის - "ბუს" საკონკურსო ჩვენება. ეს ფილმი მოსკოვში თავად მხცოვანმა რეჟისორმა ჩამოიტანა, რომელსაც ამასწინათ 91 წელი შეუსრულდა.

კანეტო სინდო მოსკოვის ერთ-ერთი ყველაზე საპატიო სტუმარია. ის ჯერ კიდევ ფესტივალის გახსნაზე დააჯილდოეს პრიზით - "მსოფლიო კინემატოგრაფში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის". იაპონელი რეჟისორის მოსკოვში ვიზიტი წელს პირველი არ ყოფილა. სინდო ხშირად სტუმრობს რუსეთის დედაქალაქს. არც მოსკოვური ჯილდო ყოფილა მისთვის პირველი. 1961 წელს მან მიიღო გრან-პრი ფილმისათვის "შიშველი კუნძული", 1971 და 1999 წლებში კი მოსკოვის კინოფორუმის ლაურეატი გახდა ფილმებისათვის: "იცოცხლე დღეს, მოკვდი ხვალ" და "სიცოცხლის წყურვილი".

კანეტო სინდო

"ყველა ფილმზე ისე ვმუშაობ, თითქოს ჩემი პირველი ფილმი იყოს," - ამბობს იაპონელი ხელოვანი. მუშაობს დიდი შრომისმოყვარეობითა და რუდუნებით და ეს დიდი შრომა მის ყოველ ნამუშევარზე აისახება. სინდოს ახალი ფილმი "ბუ" ისეთივე საინტერესო და ნოვატორულია მაყურებლისთვის, როგორც მის მიერ შექმნილი ყველა კინოსურათი. ძნელია სინდოს ახალი ფილმის ჟანრის განსაზღვრა, მას შეიძლება ვუწოდოთ ტრაგიკული ფარსიც და სოციალური იგავიც. კანეტო სინდო გვიჩვენებს, თუ რა დღეში აგდებს სიღარიბე და გაჭირვება ადამიანებს, როგორ უბიძგებს მათ სხვადასხვა დანაშაულებებისაკენ, მათ შორის, მკვლელობისაკენ.

წელს სინდო უკვე მეშვიდედაა მოსკოვში, მან ქალაქის თითქმის ყოველი კუთხე-კუნჭული იცის, თუმცა ახლა საკმაოდ მოხუცია და ძველებურად მხნედ ვეღარ დარბის ქუჩებში ფოტოაპარატით ხელში. წელს ის, ძირითადად, ოფიციალურ ღონისძიებებს დაესწრო, ინტერვიუებისგან თავი არ შეუკავებია და იაპონური რესტორანიც მოინახულა. რესტორნის მენიუთი სინდო კმაყოფილი დარჩა. მისი აზრით, რუსული იაპონური სამზარეულო არაფრით განსხვავდება იაპონური სამზარეულოსაგან. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ იაპონელი კლასიკოსი მაინცდამაინც არ გიჟდება მშობლიურ სამზარეულოზე. აი, რუსული კერძები კი სულ სხვაა, ძალიან უყვარს და რუსი მზარეულების ნახელავს დიდად აფასებს. წლევანდელ შეზღუდულ საექსკურსიო პროგრამაში მოსკოვის საპატიო სტუმარს ერთი პუნქტი ხაზგასმით მონიშნული აქვს - მას უნდა, რომ დიდი ხნის ოცნება შეისრულოს და **Ясная Поляна** მოინახულოს, სინდო ხომ ლევ ტოლსტოის დიდი თაყვანისმცემელია.

ინფოთეკა

"ფიორენტინას" დაბრუნება ჭიანურდება

გასულ წელს გაკოტრებულ "ფიორენტინას" ბაზაზე შექმნილ იტალიურ კლუბს, "ფლორენტინა ვიოლას", ისტორიული სახელის დაბრუნებაზე უარი უთხრეს. ფლორენციის ამ გუნდს უდაბლესი პროფესიული დივიზიონიდან, სერია C2-დან მოუხდა დაწყება, თუმცა, "ფლორენტინა ვიოლამ" პირველივე სეზონი წარმატებულად ჩაამთავრა და ერთი საფეხურით ზევით აიწია. მაისში კლუბის პრეზიდენტმა, დიეგო დელა ვალემ "ფიორენტინას" სავაჭრო ნიშნის გამოყენებისთვის 2,5 მილიონი ევროც კი გადაიხადა, მაგრამ იტალიის პატენტებისა და სავაჭრო ნიშნების პალატამ "ფლორენტინა ვიოლას" სახელის შეცვლის ნება არ დართო. სავარაუდოა, რომ პალატის ამ გადაწყვეტილებას დელა ვალე სასამართლოში გაასაჩივრებს.

ჟუსტინ ენინი უიმბლდონს არ გამოტოვებს

ბელგიელი ჩოგბურთელი ჟუსტინ ენინ-არდენი, რომელმაც ერთი კვირის წინ, ვარჯიშზე, მარცხენა ხელის მსუბუქი ტრავმა მიიღო, უიმბლდონის ტურნირის გამოტოვებას არ აპირებს. "მსუბუქ დისკომფორტს ისევ ვგრძნობ, მაგრამ უიმბლდონზე თამაშში ეს ხელს ვერ შემიშლის", - განაცხადა "როლან გაროსის" წლევანდელმა გამარჯვებულმა. მისი პირველი მეტოქე იქნება უკრაინელი იულია ვაკულენკო.

"მაკლარენი": MP4-18A-ს დებიუტი ისევ გადაიდო

ფორმულა 1-ის გუნდმა "მაკლარენ მერსედესმა" დაადასტურა, რომ მისი კონსტრუქტორების მიერ შექმნილი უახლესი ბოლიდის, MP4-18A-ს დებიუტი "დიდი ბრიტანეთის გრან-პრიმდე" (20 ივლისი) არ შედგება. ორ უახლოეს გრან-პრიზე - გერმანულ ნიუნბერგრინგზე და ფრანგულ მანი-კურზე ანგლო-გერმანული საჯინიბო ძველი, MP4-17D-ს ბოლიდებით იასპარეზებს.

უახლესი ბოლიდის დებიუტი იმ მიზეზითაც ჭიანურდება, რომ ბოლო სამი კვირის განმავლობაში ეს მანქანა თითოჯერ დალეწეს კიმი რაიკონენმა და ტესტ-პილოტმა ალექსანდრ ვურცმა.

"ბოსტონმა" ცსკა-ს თავდამსხმელი საკრამენტოს დაუთმო

თითქმის გადაწყვეტილი იყო, რომ მოსკოვის ცსკა-ს ლიტველი თავდამსხმელი, დარიუს სონგაილუ ამერიკის საკალათბურთო ასოციაციის კლუბ "ბოსტონ სელტიქსში" გააგრძელებდა კარიერას. მხარეები უკვე შეთანხმებული იყვნენ, როდესაც, მოულოდნელად, ბოსტონელებმა ლიტველ კალათბურთელზე NBA-ს სხვა კლუბის, "საკრამენტოს" სასარგებლოდ თქვეს უარი. ამის სანაცვლოდ, "ბოსტონი" 2003 და 2005 წლების დრაფტების მეორე წრეში არჩევის ორ-ორ უფლებას მიიღებს. შეგახსენებთ, რომ სონგაილუ "ბოსტონმა" გასული წლის დრაფტზე აირჩია.

ტაისონს 24 ივლისს გაასამართლებენ

მსოფლიოს ექსჩემპიონს კრივში, სუპერმძიმეწონოსან მაიკ ტაისონს კიდევ ერთი სასამართლო პროცესი ელის. მას ბრუკლინის ქუჩებში გამართულ ჩხუბში მონაწილეობისთვის 24 ივლისს გაასამართლებენ.

ტაისონმა, რომელმაც საკუთარ თავს თავად მიანიჭა ტიტული – "პლანეტის ყველაზე ცუდი ადამიანი", უკვე მერამდენედ აუარა გვერდი კანონს, მასობრივ არეულობაში რამდენიმე ადამიანს სერიოზული ფიზიკური დაზიანება მიაყენა და თუ სასამართლომ მის საქციელს მესამე ხარისხის დანაშაულის კვალიფიკაცია მისცა, ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ელის.

"ნაიკმა" ბრაიანტისთვის ბრძოლა მოიგო

კომპანია "ნაიკმა" სარეკლამო კონტრაქტი გააფორმა NBA-ს სუპერვარსკვლავთან, კობი ბრაიანტთან, რითაც თავის უშუალო კონკურენტთან, "რიბოკთან" შედარებით, მორიგი ფორა მიიღო, რომელიც, ასევე ესწრაფოდა ბრაიანტთან მსგავსი კონტრაქტის გაფორმებას. შეგახსენებთ, რომ ერთი წლის წინ "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" შემტევმა მცველმა შარშან "ადიდასთან" გაწყვეტილი სარეკლამო კონტრაქტისთვის 8 მილიონი დოლარი ჯარიმა გადაიხადა. ბრაიანტისა და "ნაიკის" ახალი კონტრაქტის დეტალები არ ხმაურდება. თუმცა, ეს კონტრაქტი იმას ნიშნავს, რომ სპორტული ფეხსაცმლის სარეკლამო ბაზარზე "ნაიკის" ბრენდის დომინირება გრძელდება. კომპანია აკონტროლებს აშშ-ს სპორტული ფეხსაცმლის ბაზრის, დაახლოებით, 40 პროცენტს, რაც "რიბოკის" და "ადიდასის" ჯამურ მაჩვენებელს აღემატება.

რაული ესპანეთში საუკეთესოა

საფეხბურთო სეზონის დასრულების შემდეგ ესპანეთის პრიმერადივიზიონის 20 გუნდის მწვრთნელთაგან შემდგარი კომპეტენტური ჟიური სეზონის საუკეთესო ფეხბურთელებს ასახელებს. გაზეთ "მარკას" ცნობით, ამ ჟიურიმ, უკვე მესამედ, ესპანეთის წლის საუკეთესო ფეხბურთელად მადრიდის "რეალის" თავდამსხმელი რაული დაასახელა.

საუკეთესო უცხოელ ფეხბურთელად "სამეფო კლუბის" კიდევ ერთი წევრი, ფრანგი ზინედინ ზიდანი აღიარეს.

სეზონის მთავარ აღმოჩენად ვერცხლის პრიზიორის, "რეალ სოსიედადის" 21 წლის შემტევი ნახევარმცველი, ხაბი ალონსო მიიჩნიეს. მისი შედეგიანი თამაშის წყალობით "რეალ სოსიედადი" დიდი ხნის განმავლობაში ლიდერობდა და მხოლოდ ჩემპიონატის ფინიშზე დაუთმო პირველი ადგილი მადრიდულ კლუბს.

წლის საუკეთესო მწვრთნელად ზიდანის თანამემამულე, "რეალ სოსიედადის" ფრანგი დამრიგებელი, რეინალდ დენუიეკსი დაასახელეს.

ლაზუტინასა და დანილოვას აპელაცია არ დააკმაყოფილეს

შვეიცარიის უმაღლესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა რუსი მოთხილამურეების ლარისა ლაზუტინასა და ოლგა დანილოვას აპელაცია, რომლებიც მათთვის მისჯილი ორწლიანი დისკვალიფიკაციის მოხსნას მოითხოვდნენ. შეგახსენებთ, რომ სოლტ-ლეიკ-სიტის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ამ მოთხილამურეების სისხლში აკრძალული პრეპარატი - დარბეპოეტინი აღმოაჩინეს, რასაც ლოზანის სასამართლომ დოპინგის მოხმარების კვალიფიკაცია მისცა, ხოლო ლაზუტინასა და დანილოვას ორწლიანი "შვებულება" გამოუწერა.

TV-სპორტი

ოთხშაბათი. 25 ივნისი

НТВ + ФУТБОЛ

13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "იუვენტუსი" - "მილანი"
15:00 ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა
15:55 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 98/99 სეზონი. ფინალი. "დინამო" (უკრაინა) - "რეალი"
17:40 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "ლივერპული" - "მანჩესტერ იუნაიტედი"
19:25 თავისუფალი დარტყმა
19:40 სახვალიო ტელეპროგრამა
19:45 "დარტყმა გოლისთვის"
20:00 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "რომა" - "ინტერი"
21:45 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
22:15 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 98/99 სეზონი. ნახევარფინალი. "დინამო" (უკრაინა) - "ბავარია"
00:00 რუსეთის ჩემპიონატი. "კრილია სოვეტოვი" - "ზენიტი"
00:45 რუსეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა

НТВ + СПОРТ

11:00, 14:00, 16:40 პრეს-ცენტრი
11:15 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:15 აერობიკა
11:45 ჩოგბურთი. უიმბლდონი
14:40 ცხენოსნობა. რუსეთის თასი
15:40 კარატე. მსოფლიო ჩემპიონატი
16:55 ჩოგბურთი. უიმბლდონი. პირდაპირი ტრანსლაცია
00:00 საბრძოლო სამბო. რუსეთის ჩემპიონატი
00:30 სუმო. რუსეთის ჩემპიონატი
01:15 ახალი ამბები
01:30 "კეგლის დროა"

EUROSPORT

11:30 ექსტრემალური სპორტი
12:00 ექსტრემალური სპორტი
12:30 მძლეოსნობა. საბერძნეთის სუპერ გრან-პრი
14:15 მძლეოსნობა. სპრინტერები
14:30 მძლეოსნობა
15:45 მძლეოსნობა. სპრინტერები
16:00 სინქრონული ცურვა. ევროპის თასი თურქეთში
17:00 მძლეოსნობა. საბერძნეთის სუპერ გრან-პრი
18:45 მძლეოსნობა. სპრინტერები
19:00 რაგბი. ახალგაზრდების მსოფლიო თასი
20:45 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
21:15 ახალი ამბები
21:30 სნუკერი. ევროპის ჩემპიონატი გერმანიაში
23:00 ცხენოსნობა. ნაციის თასი
00:00 მულტისპორტი
00:15 გოლფი. ამერიკის PGA-ის ტური
01:15 აფროსნობა
01:45 თავგადასავალი. ქვიშის მარათონი მაროკოში
02:15 ახალი ამბები
02:30 თავგადასავალი. ექსტრემალური რეიდი
03:00 ნასკარის ავტორბოლა. ვინსტონის თასი აშშ-ში
04:00 მულტისპორტი
04:15 ახალი ამბები

ფეხბურთი

ვისენტე დელ ბოსკე: "შესაძლოა, რაღაც ისე ვერ ვთქვი"

ციკლი დასრულდა - დელ ბოსკე და იერო "რეალიდან" გაუშვეს

აკა ტონია

"ახალი ციკლი" დაიწყო... დელ ბოსკესა და იეროს გარეშე

REUTERS

გასულ კვირას მადრიდის "რეალმა" 29-ედ მოიპოვა ესპანეთის ჩემპიონის ტიტული. მადრიდი ლხინს მიეცა, ყველაფერი კარგად იყო, თუმცა... დელ ბოსკეს კონტრაქტის გაგრძელება-არგაგრძელებაზე უკანასკნელ ხანს ბევრს საუბრობდნენ. პრესას ფერნანდო იეროს მომავალიც აინტერესებდა. "რეალის" ხელმძღვანელობა დროს ითხოვდა, აცხადებდა, რომ ამ ადამიანების მომავალზე მოგვიანებით იმსჯელებდა. ვინ იფიქრებდა, რომ დელ ბოსკეს და იეროს ბედი ესპანეთის ჩემპიონატში განცდილი ტრიუმფის მეორე დღეს, უფრო სწორად, იმავე ღამეს გადაწყდებოდა - დელ ბოსკეს და იეროს კონტრაქტები აღარ გაგრძელდება, "რეალი" მათ ემშვიდობება...

ფლორენტინო პერესი და ხორხე ვალდანო ყოველთვის მხარში ედგნენ თავიანთ მწვრთნელსა და გუნდის ვეტერანს, გუშინ კი ყველაფერი შეიცვალა. ხორხე ვალდანომ ოფიციალურად დაადასტურა, რომ ვისენტე დელ ბოსკე და ფერნანდო იერო "რეალს" დატოვებენ. როგორც ჩანს, ამის შესახებ თავად დელ ბოსკემ და იერომაც გუშინ ღამით შეიტყვეს. სწორედ ღამით გაიმართა მადრიდის "რეალის" დირექტორთა საბჭოს სხდომა, რომელზეც ორ ადამიანს "საბედისწერო" განაჩენი გამოუტანეს. სწორედ ამ სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა კლუბის დირექტორთა საბჭოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა, ენრიკე სანჩესმა: "ამ გადაწყვეტილების მიღება უაღრესად ძნელი იყო. დღეს ძალიან მძიმე დღეა, გუნდიდან ორი გრანდი მიდის..."

მწვრთნელებს მაშინ ათავისუფლებენ, როდესაც ისინი წარმატებას ვერ აღწევენ. დელ ბოსკეს ოთხწლიანი მოღვაწეობის მანძილზე "რეალმა" ორჯერ მოიგო ჩემპიონთა ლიგა, ორჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი, მოიპოვა ევროპის სუპერთასი და საკონტინენტთაშორისო თასი. ის მაინც დაითხოვეს...

ხორხე ვალდანოს განცხადებით, დელ ბოსკე და იერო იმიტომ გაუშვეს, რომ "რეალში" ერთი ციკლი დასრულდა და იწყება ახალი. სახელდება შესაძლო მწვრთნელის ახალი კანდიდატურები: სვენ გორან ერიქსონი – ინგლისის ნაკრების ახლანდელი თავკაცი, რომელსაც ჩინებული ურთიერთობა აქვს "რეალის" ახალ შენაძენთან, დევიდ ბექჰემთან, კარლოს კეირუში - "მანჩესტერ იუნაიტედის" მეორე მწვრთნელი, ადამიანი, რომელიც მეგობრობს ხორხე ვალდანოსთან, ლონდონის "არსენალის" მწვრთნელი არსენ ვენგერი და "პორტოს" თავკაცი ჟოზე მაურინიო.

ახლა ძნელი სათქმელია, ვინ იქნება "რეალის" ახალი მწვრთნელი, თუმცა, ეს პოსტი დიდი ხნით რომ არ დარჩება თავისუფალი, ყველამ კარგად იცის. "რეალი" დანიშნავს ახალ მწვრთნელს, მაგრამ რა ეშველება ამჟამად უკვე ყოფილს? – გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც ვისენტე დელ ბოსკემ გუშინ მისცა ესპანურ რადიოსადგურ "Cadena Ser"-ს.

- საღამო მშვიდობისა, მწვრთნელო.

- საღამო მშვიდობისა.

- ელოდით, რომ კლუბი კონტრაქტს არ გაგიგრძელებდათ?

- კლუბმა გადაწყვიტა, რომ რაღაც უნდა შეიცვალოს და ასეც მოიქცა. ამას მე უკვე 20 დღეა ველოდი.

- გულნატკენი ხართ?

- არ დავიტანჯები. თვენახევრის წინათ ფლორენტინოს ვესაუბრე. მაშინ ის კმაყოფილი იყო.

- ახლა თუ ესაუბრეთ პერესს?

- ზეიმისას, სულ რამდენიმე წამით. თუმცა, დღეს არ გვილაპარაკია. ვესაუბრე მხოლოდ ვალდანოს, რომელმაც მითხრა, რომ კონტრაქტი აღარ გაგრძელდებოდა.

- რატომ ფიქრობდით, რომ გაგიშვებდნენ?

- იმ უბრალო მიზეზების გამო, რომლებიც გუნდის მომავალს უკავშირდებოდა. მე მიმაჩნდა, რომ კლუბის მიერ იჯარით გასხვისებულ ფეხბურთელებს გუნდის გაძლიერება შეეძლოთ. მაგრამ ამ თემაზე ჩემთან არავინ საუბრობდა. ეს იმის მომასწავებელი იყო, რომ გამათავისუფლებდნენ და ასეც მოხდა.

- ფლორენტინო პერესთან უთანხმოება გქონდათ?

- არავითარი უთანხმოება არ ყოფილა. წარმოდგენა არა მაქვს, საიდან მოდის ეს ხმები. უკანასკნელად მაშინ ვისაუბრეთ, როდესაც მეორე ადგილზე მყოფ გუნდს ექვსი ქულით ვუსწრებდით. ფლორენტინო დიდი სიყვარულით მესაუბრებოდა, მას ყოველთვის თბილი დამოკიდებულება ჰქონდა ჩემდამი.

- იყო რაიმე განხეთქილება პრეზიდენტსა და ფეხბურთელებს შორის კვირას, როდესაც თქვენ ჩემპიონები გახდით?

- შეიმჩნეოდა გარკვეული დისკომფორტი, იყო რაღაც ძღელვარება, მაგრამ მე ვერ გავათვითცნობიერე ამ ინციდენტის მასშტაბები. ვიმეორებ: ჩემი და ფლორენტინოს ურთიერთობა ყოველთვის კორექტული იყო. კვირას, როდესაც მატჩი დასრულდა, მე მის კაბინეტში ვიყავი. მერწმუნეთ, არ იგრძნობოდა, რომ მე გამიშვებდნენ.

- განიცდით, რომ ამ გადაწყვეტილების შესახებ მანამდე არ გაცნობეს?

- წუწუნის უფლება არა მაქვს, თუმცა, იმ ურთიერთობიდან გამომდინარე, რომელიც ამდენი ხნის მანძილზე გვქონდა, ალბათ, ვიმსახურებდი, უფრო ადრე ეთქვათ ამის შესახებ. მათ კარგად იციან, რომ მე პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა მაქვს და ყოველთვის დავიცავდი მადრიდის "რეალის" ინტერესებს.

- და თქვენ არასოდეს გახდებით "ბარსელონას" ან "ატლეტიკოს" მწვრთნელი?

- მე არასოდეს ვიმუშავებ "ბარსელონაში", არც "ატლეტიკოში". ვეცდები, რომ ჩემი შვილები "რეალის" დიდი გულშემატკივრები გახდნენ.

- რაიმე შემოთავაზება ხომ არ გაქვთ?

- მე არ ვიღებდი შემოთავაზებებს. ადრე იყო ერთი წინადადება, თუმცა, ყურადღება არ მიმიქცევია, რადგან მხოლოდ "რეალზე" ვფიქრობდი.

- რა გითხრათ ხორხე ვალდანომ?

- მითხრა, რომ კურსის შეცვლა უნდა. ამის თქმა მას უფრო კატეგორიულად შეეძლო, მაგრამ დელიკატურად მოიქცა.

- ახლა რას განიცდით?

- მე უკვე ყველაფერი გავაანალიზე. ყოველთვის ვამბობდი, რომ წავიდოდი, თუ ეს გუნდს წაადგებოდა. მაგრამ იმასაც ვფიქრობდი, რომ საქმე არ უნდა აკეთონ იმ ადამიანებმა, რომლებიც მზად არ არიან კლუბის მართვისთვის. მე ვმოქმედებდი ისე, როგორც საჭიროდ მიმაჩნდა. ასეთი ფუნდამენტით, ჩემს საქმეს კარგად ვასრულებდი. კარგად მეჭირა თავი, მინდოდა, ბოლომდე გამეკეთებინა ჩემი საქმე, თუმცა, ამის საშუალება არ მომცეს. ყველაფერს, რაც ამ დღეებში მოვისმინე, აქვს თავისი საბაბი, თუმცა, მეც ადამიანი ვარ და გრძნობები მეც მაქვს.

- რაიმე თანამდებობა შემოგთავაზეს?

- სპორტული დირექციის ყველა თანამშრომელს ვუთხარი, რომ არ მსურს ჩრდილში ყოფნა. ასეთი რამ მე უკვე გამიკეთებია კლუბისთვის. მრავალი წლის მანძილზე ვიყავი მწვრთნელების შემცვლელი, ახლა აღარ მინდა ვიყო მეორე მწვრთნელი.

- ადამიანებს არ ესმით, როგორ შეეძლო ფლორენტინო პერესს, ორი თვის განმავლობაში ემტკიცებინა, რომ თქვენ კონტრაქტს გაგიგრძელებდათ...

- აზრი შეიცვალა. შესაძლოა, მე რაღაც ისე ვერ ვთქვი, რაღაც მომენტში შეცდომა დავუშვი.

- ვალდანო თქვენი მეგობარია?

- მე არასოდეს ვყოფილვარ ხორხეს მეგობარი, ჩვენ პარტნიორები ვიყავით. მე ვასრულებდი მის ბრძანებებს, რადგან ის განაგებს გუნდს. მაგალითად, მან მონაწილეობა მიიღო მორიენტესის და სოლარის "საქმეებში", სხვა საკითხებში კი სრული თავისუფლება მქონდა.

- რას ფიქრობთ ფლორენტინოზე?

- ვფიქრობ, რომ ის კარგად მართავს კლუბს და იმედი მაქვს, ჩვენი ურთიერთობა ისეთივე კარგი დარჩება, როგორიც იყო. როდესაც მათ ჩემი გათავისუფლება გადაწყვიტეს, ფიქრობდნენ, რომ ასე აჯობებდა "რეალისთვის".

- ამბობენ, რომ თქვენ თავად გაითხარეთ საფლავი იმ შემადგენლობით, რომელიც ტურინში, "იუვენტუსის" წინააღმდეგ დააყენეთ.

- თუ "იუვესთან" მატჩიდან მოყოლებული ჩემში ეჭვი ეპარებოდათ... მაშინ ეს ნორმალურია. ამბობენ, რომ ეს ჩემი დასასრული იყო, მაგრამ მე დიდი არაფერი დამიშავებია.

- რომელიმე ფეხბურთელმა თუ დაგირეკათ?

- არა. ეს ინფორმაცია ორშაბათს, საღამოს ცხრა საათზე გავრცელდა. გასახდელში ყოველთვის დიდი პატივისცემა იგრძნობოდა და მთავარი სწორედ ეს არის.

- მოელოდით, რომ იეროს არ გაუგრძელებდნენ კონტრაქტს?

- მართალი გითხრათ, არ ველოდი. ყოველთვის მეგონა, რომ მასთან კონტრაქტი უკვე გაგრძელეს. ეს სიურპრიზი იყო.

- წარმატებებს გისურვებთ, მწვრთნელო.

- ვნახოთ, რა მელის მომავალში.

პრიმერა ცვლილებები

რაიკარდი "ბარსელონას" ახალი მწვრთნელია

ჰაატა თოთაძე

კვირას გამართულმა ბოლო ტურმა პრიმერა დივიზიონის სეზონის შედეგები შეაჯამა. ვინ კმაყოფილი დარჩა, ვინ უკმაყოფილო, მთავარი კი ისაა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში კლუბები ახალი სეზონისთვის მზადებას იწყებენ.

მადრიდის "რეალის" მსგავსად, მომავალი სეზონიდან ახალი ერა იწყება მეორე ესპანური გრანდისთვის, "ბარსელონასთვის". ყოველ შემთხვევაში, ასე აცხადებენ კლუბის ხელმძღვანელები და ეს რომ ასეა და არა სხვანაირად, აგერ, მაგალითიც: კატალონიელებს ახალი მწვრთნელი ჰყავთ, ფრენკ რაიკაარდი. ამ პოსტზე მან შეცვალა სერბი რადომირ ანტიჩი, რომელმაც ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში არცთუ ურიგოდ იმუშავა გუნდთან. ლუი ვან გაალის მეთაურობით კატალონიელთა დაღმასვლა იანვრის ბოლოს შეჩერდა, როცა კლუბის იმდროინდელმა პრეზიდენტმა ხუან გასპარმა ჰოლანდიელ სპეციალისტს კარისკენ მიუთითა. გასავარდნ ზონაში მყოფი გუნდის გადასარჩენად უხმეს რადომირ ანტიჩს, რომელმაც 1996 წელს მადრიდის "ატლეტიკოსთან" ერთად ქვეყნის პირველობა და თასი მოიგო. სერბ სპეციალისტთან გაფორმდა ნახევარწლიანი კონტრაქტი, რომელიც გუნდის მიერ ნაჩვენები შედეგის მიხედვით შესაძლებელი იყო გაგრძელებულიყო. 11-მატჩიანი წაუგებელი სერია და გასავარდნთა ზონიდან უეფას თასზე გამსვლელ ადგილამდე აღზევება – ასეთი იყო რადომირ ანტიჩის ნახევარწლიანი მუშაობის შედეგი. მეტი რაღა გინდათო, - ვიღაცა იტყვის, მაგრამ, ჩანს, კატალონიელთა ახალმა ხელმძღვანელობამ სხვანაირად განსაჯა. კლუბის პრეზიდენტის პოსტიდან ხუან გასპარის წასვლის შემდეგ საუბარი გრძელდებოდა მწვრთნელის შეცვლაზე, მაგრამ ანტიჩს ეს არ ადარდებდა, დარწმუნებული იყო, რომ მას არ გაათავისუფლებდნენ, თუმცა, ორშაბათს ყველა კითხვას პასუხი გაეცა.

"ჩემს პოზიციას ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, რას გადაწყვეტს კლუბის ხელმძღვანელობა. მათ ასე ისურვეს და, ესე იგი, ასე იქნება. ბუნებრივია, უსიამოვნოა, როცა შენი სამსახური აღარ სჭირდებათ, თუმცა, ჩემს შემთხვევაში საქმე ეხება იმას, რომ კოტრაქტი აღარ გახანგრძლივდა. საზოგადოება ამას, რატომღაც, გათავისუფლებას ეძახის, მაგრამ ეს სრულიად სხვადასხვა რამაა. თუმცა, რაც უნდა ითქვას, მე "ბარსელონას" მწვრთნელი აღარ ვარ", - გულდაწყვეტილმა განაცხადა რადომირ ანტიჩმა.

კატალონიელთა "ჰოლანდიური ტრადიციების" გაგრძელება ფრანკ რაიკაარდს დაავალეს. ბოლო წლებში "ბარსელონას" წარმატება ჰოლანდიელებთან - რინულ მიხელსთან და იოჰან კრუიფთან არის დაკავშირებული. "ბოსმანის საქმემ" ჰოლანდიელ სპეციალისტებს საშუალება მისცა, "ბარსელონა" ნაკრების ფილიალად ექციათ.

"ანტიჩმა დასახული მიზანი შეასრულა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობა ახალი მწვრთნელის საჭიროებას ხედავს. ჩვენ დიდხანს ვიფიქრეთ, თუ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მომავალი მწვრთნელი და, მგონი, საუკეთესო ვარიანტს მივაგენით. რაიკაარდი ჩინებული კანდიდატურაა, ის "ბარსელონას" წარმატების მოპოვებაში დაეხმარება", - ასე ახსნა მწვრთნელის შეცვლა კლუბის სპორტულმა დირექტორმა ჩიკი ბიგირისტაინმა.

ხუან ლაპორტა "ბარსელონას" ახალ მწვრთნელს წარმოადგენს

REUTERS

რაიკაარდის გარდა, "ბარსელონას" მწვრთნელის პოსტზე რონალდ კუმანის, გუს ჰიდინკისა და მიქაელ ლაუდრუპის კანდიდატურები განიხილებოდა. წინა კვირას გავრცელებული ინფორმაციით, კლუბის ვიცეპრეზიდენტი სანდრო როსელი ჰოლანდიაში გაფრინდა. სწორედ მაშინ გავრცელდა ხმები, რომ მწვრთნელის პოსტს ფრანკ რაიკაარდს სთავაზობენ და მართალიც აღმოჩნდა.

ვინ არის რაიკაარდი, როგორც მწვრთნელი? ბევრისთვის ეს კითხვა დღესაც პასუხგაუცემელია. 32 წლის ასაკში, მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ, რაიკაარდმა, ყველასთვის მოულოდნელად, ქალის თეთრეულის მაღაზია გახსნა. ჩანს, ამ საქმემ ის ვერ დააკმაყოფილა, რადგან ცოტა ხანში ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა. 2000 წლის ევროპის ჩემპიონატზე ჰოლანდია ნახევარფინალში დამარცხდა იტალიასთან. მწვრთნელს ბევრი არ უფიქრია და პოსტი ლუი ვან გაალს დაუთმო. 2001 წლის ზაფხულში მწვრთნელის პოსტს დაუბრუნდა, მაგრამ ამჯერად უფრო დაბალ საფეხურზე – სათავეში ჩაუდგა როტერდამის "სპარტას", რომელთან ერთადაც დატოვა ჰოლანდიის უმაღლესი დივიზიონი. ამის შემდეგ ერთი წელი გავიდა და "ბარსელონას" მწვრთნელობის ჯერიც დაუდგა.

WIMBLEDON 2003

ჩოგბურთი

კონსერვატორები უკან იხევენ

REUTERS

ანდრე აგასი შემდეგ ეტაპზე უპრობლემოდ გავიდა

უიმბლდონის მეორე დღემ შედარებით მშვიდად ჩაიარა. ფავორიტებმა პირველი ბარიერი წარმატებით გადალახეს. თავისი შეხვედრები მოიგეს: ანდრე აგასიმ (2), ტიმ ჰენმანმა (10) და დავიდ ნალბანდიანმა (6). პირველი ათეულის ერთადერთი დანაკლისი მეშვიდე ნომრად განთესილი არგენტინელი გილიერმო კორიას მარცხია. კორიამ ბელგიელ ოლივიე როხუსს დაუთმო გზა, მაგრამ ლეიტონ ჰიუიტის დამარცხების შემდეგ კორიას წარუმატებლობა იმდენად უმნიშვნელო ჩანდა, რომ სპეციალისტთა შორის ამ მოვლენის გამო დიდი აჟიოტაჟი არ ამტყდარა.

სამაგიეროდ ცხელი ამბავი ის არის, რომ ტურნირის ორგანიზატორმა, კონსერვატორმა ინგლისელებმა, ბოლოს და ბოლოს, უკან დაიხიეს და ჩოგბურთელებს ნება დართეს, უსახელო მაისურით იასპარეზონ. ადრე ასეთი მაისურით თამაშს ვერავინ გაბედავდა, მაგრამ საზოგადოების ზეწოლის შედეგად ინგლისელები იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ. ბრიტანელები, როგორც ჩანს, თანდათან თმობენ პოზიციებს. მოდას კი ამერიკელები კარნახობენ.

მოდელის როლში პირველად ამერიკელი რობი ჯინეპრი მოგვევლინა. მან პირველმა გამოიყენა უსახელო მაისურა, რისთვისაც ინგლისური პრესის დაცინვა და ირონიული განწყობა დაიმსახურა. "წესები ქალებს უსახელო მაისურის ტარების უფლებას აძლევს. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ კრიტიკის ქარცეცხლში გაგვატარებდნენ, თუ მამაკაცებსაც იგივე უფლებას არ მივანიჭებდით", - განაცხადა ტურნირის პრესატაშემ. თუმცა, სახელოთი თუ უსახელოდ, ტურნირის ორგანიზატორები ერთ რამეში დარწმუნებული არიან: მაისურა აუცილებლად თეთრი უნდა იყოს.

ეს კი ჩოგბურთელებისთვის არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს, ამიტომ ტურნირის ორგანიზატორებსა და საზოგადოებას შორის კამათი დროებით შეწყდა. ანდრე აგასი, მაგალითად, თეთრ მაისურას იყენებს და წარმატებასაც ხშირად აღწევს. გუშინ ტურნირის უმთავრესი ფავორიტი მასპინძელ ჯიმ დელგადოს გაეჯიბრა და ზედმეტი დატვირთვის გარეშე, ოთხ სეტში დაამარცხა ნაკლებად ცნობილი ინგლისელი. "ჩემთვის დიდი სიურპრიზი იყო ლეიტონ ჰიუიტის დამარცხება. ბუნებრივია, ფავორიტთა შანსი ერთიორად გაიზარდა. ამიტომ მით უფრო დიდი სიურპრიზი იქნება, თუ უიმბლდონიდან ხელმოცარული წავალ", - განაცხადა ანდრე აგასიმ.

ბევრი ოფლი არც ინგლისელთა იმედს ტიმ ჰენმანს დაუღვრია. აგასის მსგავსად, ჰენმანმაც ოთხ სეტში იმარჯვა და ტურნირს ჩეხი ტომას ზიბი გამოთიშა. " 1936 წლის შემდეგ ინგლისელებს უიმბლდონი აღარ მოუგიათ. ჰენმანს აქვს გამარჯვების შანსი, ამიტომ ის ვალდებულია, ქვეყანას დიდი ჯილდო მიუძღვნას", - ამბობს ბორის ბეკერი.

ბევრი მიმომხილველი მიიჩნევს, რომ ჰენმანი შარშან უკეთეს ფორმაში იყო და თუ ტურნირის მოგება სურდა, ეს შარშანდელ სეზონში უნდა გაეკეთებინა და უპირატესობას ანიჭებს მეორე ინგლისელს გრეგ რუსედსკის, რომელიც ტრავმის შემდეგ ახლახან დაუბრუნდა კორტებს. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ჰენმანს შარშან გზა გადაუღობა ლეიტონ ჰიუიტმა, რომელიც ტურნირს უკვე გამოეთიშა. ასე რომ, ინგლისელთა იმედი მთლად უსაფუძვლო არ უნდა იყოს.

უიმბლდონი. ინგლისი. "დიდი სლემის" ტურნირი. ბალახი. შარშანდელი ჩემპიონები: ვაჟები - ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია), ქალები - სერენა უილიამსი (აშშ). პირველი წრე.

ვაჟები:

ანდრე აგასი (აშშ, 2) - ჯიმ დელგადო (ბრიტანეთი)	6:4, 6:0, 5:7, 6:4
ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი, 3) - ჟან-რენე ლისნარი (საფრანგეთი)	6:2, 6:1, 6:3
ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი, 10) - ტომას ზიბი (ჩეხეთი)	6:2, 7:6 (13:11), 3:6, 6:1
დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა, 6) - ვლადიმირ ვოლჩკოვი (ბელორუსი)	7:5, 6:4, 6:2
სარგის სარგსიანი (სომხეთი) - ალექს ბოგდანოვიჩი (ბრიტანეთი)	6:1, 6:3, 6:2
ოლივიე როხუსი (ბელგია) - გილიერმო კორია (არგენტინა, 7)	7:5, 7:6 (7:4), 6:3
ალექსანდერ პოპი (გერმანია) - ჰიშამ არაზი (მაროკო)	6:4, 7:6 (7:5), 6:3
ნიკოლას მასუ (ჩილე) - ჟელკო კრაიანი (ხორვატია)	6:1, 6:1, 6:1
ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი, 11) - ლუის ჰორნა (პერუ)	3:6, 7:6 (7:1), 6:1, 6:1
მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) - მარიანო ზაბალეტა (არგენტინა)	6:3, 4:6, 6:3, 6:2
ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 26) - ტოდ ლარკჰამი (ავსტრალია)	6:3, 6:1, 6:1
კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) - უეინ ფერერირა (სარ, 28)	6:1, 6:2, 6:4
ფრედერიკ ნიემაიერი (კანადა) - ფელიქს მანტილია (ესპანეთი, 22)	6:4, 7:6 (8:6), 4:6, 7:6 (7:3)
კირილ სალნიე (საფრანგეთი) - ხავიერ მალისი (ბელგია, 14)	6:4, 6:3, 6:2
დავიდ ფერერი (ესპანეთი) - მარტინ ლი (ბრიტანეთი)	1:6, 6:3, 6:1, 6:2
ენტონი დიუპუა (საფრანგეთი) - რიჩარდ ბლოომფილდი (ბრიტანეთი)	6:3, 7:6 (8:6), 6:4
ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) - კონსტანტინოს ეკონომიდისი (საბერძნეთი)	7:6 (9:7), 6:4, 7:6 (7:5)
სტეფანო გალვანი (იტალია) - ჟულიენ ბოუტერი (საფრანგეთი)	6:3, 2:6, 1:6, 6:2, 8:6
მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) - დავიდ სანჩესი (ესპანეთი)	6:3, 6:4, 6:7 (10:8), 6:3
უეინ არტურსი (ავსტრალია) - ალბერტო მარტინი (ესპანეთი)	7:6 (7:3), 6:1, 7:6 (7:4)
იუნეს ელ აინაუი (მაროკო, 27) - მარკ ჰიტონი (ბრიტანეთი)	6:3, 6:2, 6:4
სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი, 13) - ტომას ენკვისტი (შვედეთი)	გადაიდო
ჟილ ელსენერი (ბელგია) - ნიკოლას კიფერი (გერმანია)	3:6, 6:3, 6:4, 6:4
იარკო ნიემინენი (ფინეთი, 30) - ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი)	6:7 (8:10), 6:4, 4:6, 6:3, 6:3
მარიანო პუერტა (არგენტინა) - ანდრე სა (ბრაზილია)	2:6, 2:3 სამ თამაში შეწყვიტა
ტაკაო სუძუკი (იაპონია) - დიკ ნორმანი (ბელგია)	7:6 (10:8), 6:4, 7:6 (7:3)
ლარს ბურგსმიულერი (გერმანია) - ალბერტ მონტანესი (ესპანეთი)	გადაიდო
რადეკ სტეპანეკი (ჩეხეთი, 35) - მიხალ მერტინაკი (სლოვაკეთი)	7:6 (7:6), 6:4, 6:4
რობინ სოდერლინგი (შვედეთი) - მარტინ ვერკერკი (ჰოლანდია, 21)	6:3, 6:4, 6:7 (5:7), 6:1
რამონ სლუიტერი (ჰოლანდია) - ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი, 20)	7:5, 3:6, 2:6, 6:2, 6:3
სკოტ დრაიპერი (ავსტრალია) - პოლ-ანრი მატიე (საფრანგეთი)	7:6 (7:5), 4:6, 6:3, 6:4
უესლი მოდიე (სარ) - მარკ როსე (შვეიცარია)	6:4, 6:4, 6:4

ქალები:

სერენა უილიამსი (აშშ, 1) - ჟილ კრაიბასი (აშშ)	6:3, 6:3
ჯენიფერ კაპრიატი (აშშ, 8) - მირიამ კაზანოვა (შვეიცარია)	6:1, 6:3
ჟიუსტინ ენინი (ბელგია, 3) - იულია ვაკულენკო (უკრაინა)	7:5, 6:1
ელენა დემენტიევა (რუსეთი, 15) - ანჟელიკა როში (გერმანია)	6:2, 6:1
მარია შარაპოვა (რუსეთი) - ეშლი ჰარლდროუდი (აშშ)	6:2, 6:1
ანასტასია მიშკინა (რუსეთი, 10) - ჰენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი)	6:4, 3:0 ნაგიოვამ თ.შ.
ბარბარა შეტი (ავსტრია) - მარტა მარერო (ესპანეთი)	6:1, 6:2
ელენა ლიხოვცევა (რუსეთი, 31) - ლინდსი ლი-უოტერსი (აშშ)	4:6, 6:2, 8:6
ემილი ლუა (საფრანგეთი) - ალექსანდრა სტევენსონი (აშშ, 26)	7:5, 7:6 (7:2)
ანიკო კაპრო (უნგრეთი) - მეგან შონესი (აშშ, 19)	6:3, 6:2
სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი, 33) - ბეა ბიელიკი (აშშ)	6:1, 6:3
ლაურა გრანვილი (აშშ, 28) - ალინა ჟიდკოვა (რუსეთი)	6:1, 6:4
ელენი დანილიდუ (საბერძნეთი, 14) - ელენა კოსტანიჩი (ხორვატია)	6:2, 6:2
ალისია მოლიკი (ავსტრალია) - დინარა საფინა (რუსეთი)	6:1, 4:6, 6:4
ელს კალენსი (ბელგია) - ბარბარა რიტნერი (გერმანია)	6:3, 7:5
მარტინა სუხა (სლოვაკეთი) - გალა ლეონ გარსია (ესპანეთი)	6:2, 4:6, 6:1
იონ იონგ ჩო (ს. კორეა) - კრისტინა ტორენს ვალერო (ესპანეთი)	7:5, 1:6, 9:7
ელენა დოკიჩი (სერბეთი, 11) - ელენა ბალტაჩა (ბრიტანეთი)	6:3, 1:6, 6:4
კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 18) - მილაქროს სექუერა (ვენესუელა)	5:7, 7:5, 6:1
ლინა კრასნორუდსკაია (რუსეთი) - ჯული პულინი (ბრიტანეთი)	6:3, 6:1
ფლავია პენეტა (იტალია) - კორინა მორარიუ (აშშ)	6:3, 6:2
ტატიანა პერებინისი (უკრაინა) - ბარბარა სტრიკოვა (ჩეხეთი)	6:4, 5:7, 11:9
ლიზა რაიმონდი (აშშ, 23) - სტეფანი ფორეტსი (საფრანგეთი)	6:3, 6:3
ემანუელე გალიარდი (შვეიცარია) - სტეფანი კოენ ალორო (საფრანგეთი)	6:2, 4:6, 6:3
არანჩა პარა (ესპანეთი) - სუსანა ონდრაშკოვა (ჩეხეთი)	7:5, 6:2
კაროლინა სპრემი (ხორვატია) - ივეტა ბენეშოვა (ჩეხეთი)	6:2, 7:6 (8:6)
მარია ელენა კამერინი (იტალია) - ლიტია ოსტერლო (აშშ)	6:1, 6:4
აკიკო მორიგამი (იაპონია) - ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი, 32)	6:4, 6:3
ელენა ბოვინა (რუსეთი, 30) - საორი ობატა (იაპონია)	7:6 (7:5), 2:6, 8:6
მარი-გაიანე მიქაელიანი (შვეიცარია) - მარისა ირვინი (აშშ)	7:5, 2:6, 8:6
მარლენ ვაინგარტნერი (გერმანია) - ჟან ო`დონოჯი (ბრიტანეთი)	6:4, 6:2
მარი პირსი (საფრანგეთი) - ეშლი კარჯილი (აშშ)	6:0, 6:0

ქრონიკა

ხანდახან ტაისონიც მართალია

გიგა გურასაშვილი

მაშინ, როდესაც ბებერ კონტინენტზე მამალიც კი თვლემდა, ხოლო ოკეანის გაღმა, ლოს ანჯელესში, ბრიტი ლენოქს ლუისი და უკრაინელი ვიტალი კლიჩკო ერთმანეთს თავ-ყბას უერთიანებდნენ, ნიუ იორკში, ატლანტიკის სანაპიროს ჩრდილო ბრუკლინის რაიონში, მუშტმოღერებული კრივის გიჟმაჟი მეფე მაიკ ტაისონი მომხდურებს იგერიებდა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ამჯერად "რკინის მაიკი" მართლმსაჯულებასთან პირნათელია, მაგრამ, მისი რეპუტაციის პატრონს, დიდი ხანია, თავზე ხელს აღარ უსვამენ. ჰოდა, საქმე ისეა, ალბათ, სატუსაღოს ერთწლიან საგზურსაც გამოუწერენ.

დიდი შანსია იმისა, რომ ამერიკის მოუსვენარ შვილს, მაიკ ტაისონს, ციხეში ერთი წლით დაასვენებენ, მიუხედავად იმისა, რომ ალალ-მართალია. საქმე სასტუმრო "მერიოტის" ფოიეში ორი ლათინოამერიკელის, ანუ, როგორც ამერიკაშია მიღებული, ქვეყნის ესპანურენოვანი მოსახლეობის მიბეგვას ეხება. როგორც თვითმხილველები ამბობენ, ვინმე სამუელ ველესსა და ნესტორ ალავრესს მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი თავად გამოუწვევიათ რინგზე. თავიდან ტაისონი მოთმინებით უსმენდა როლში შეჭრილ მომხდურთა ყრანტალს, ლანძღვა-გინებას, მაგრამ როდესაც ერთ-ერთმა ესპანელმა შორიახლოს აყუდებულ კეტის მაგვარ ბლაგვ საგანს დაავლო ხელი, ტაისონს გონება გაუნათდა და მათში მტრები შენიშნა. ატყდა ერთი ალიაქოთი. კედლებზე აკრული "მერიოტის" დამფრთხალი ბინადარნი, თვალებდაჭყეტილნი შეცქეროდნენ ტაისონისა და ესპანელების შეხლას. სისხლი დაინახა? აბა, შეჭამს. ალბათ, ეს თუ უტრიალებდათ თავში. ჰოდა, იყო ერთი ჯახაჯუხი, საგნების უმისამართოდ ფრენა. აბა, რომელი ჭკუათმყოფელი მიუახლოვდებოდა გასაშველებლად. სასტუმროს ჰოლში დასრულებული საბრძოლო მანევრების შემდეგ გაირკვა, რომ ყველაზე მეტად ესპანელები დაშავებულიყვნენ. სხვათა შორის, ხელჩართულ ბრძოლას კიდევ ერთი მოქმედი გმირი ჰყავდა - ესპანელთა მეგობარი, თანაც, ქალი. თუმცა, კერძოდ რა ფუნქცია ეკისრა იმ ქალს იმ ალიაქოთში, ჯერაც უცნობია.



REUTERS

მაიკ ტაისონს კვლავ ციხე ემუქრება

პოლიციელთა განცხადებით, ჩხუბის ნამოწყების მიზეზები ბოლომდე გარკვეული არ არის, თუმცა, ერთი რამ ცხადია: ჩხუბისთავები საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში დაადანაშაულეს. ამასთან, არაა გამორიცხული, "რკინის მაიკი" ამის გამო ერთი წლით ციხეში მიაბრძანონ. თვითმხილველები კი აცხადებენ: ტაისონი გამოიწვიეს, მას არავითარი დანაშაული არ მიუძღვისო.

ასეა თუ ისე, სასამართლო განხილვა 24 ივლისისთვისაა დანიშნული. თუ სასამართლო დაადგენს, რომ ტაისონი თავს იცავდა, მაშინ მას საფრთხე არ ემუქრება.

სხვათა შორის, გამოძიებასთან დაახლოებული პირის განცხადებით, ტაისონი ყველანაირად ცდილობდა, ჩხუბისთვის თავი აერიდებინა. მეტიც, მოკრივე შარისთავებთან საქმის დაჭერას მაქსიმალურად არიდებდა თავს, რადგან ეშინოდა, ნასვამებს, მისთვის ხელი არ დაეშავებინათ. თუმცა, ეს პირველი შემთხვევა როდია, როდესაც ყოფილი ჩემპიონი შარში ეხვევა. ადრე მოპოვებულ ტიტულებთან ერთად, მას კრიმინალური ნუსხაც უმაგრებს ზურგს. ბრუკლინის სასტუმროში ატეხილ ჩხუბამდე მას თავი გამოუჩენია "მის შავი ამერიკის" გაუპატიურებაშიც. ყოველ შემთხვევაში, 18 წლის დეზირე ვაშინგტონმა მოსამართლეები დაარწმუნა, რომ ტაისონს მასთან სექსუალური კავშირი ჰქონდა, რისთვისაც 1992 წელს მოკრივეს ექვსი წლით პატიმრობა მიუსაჯეს. მართალია, სანიმუშო ყოფაქცევის გამო ციხიდან სამ წელიწადში გამოუშვეს, ამასთან, გამუსულმანებული, მაგრამ ზნეს მაინც არ უღალატა და კვლავაც არაერთხელ მოექცა ყურადღების ცენტრში. ჯერ იყო და 1997 წელს ევანდერ ჰოლიფილდს ყური მოაჭამა, რისთვისაც ნევადის სასამართლომ ერთი წლით საკრივო ლიცენზია ჩამოართვა და 3 მილიონი დოლარით დააჯარიმა. 1999 წელს ორ მოტოციკლისტზე თავდასხმის გამო სამთვენახევარი მერილენდის ციხის კედლები ახეხინეს. შარშან, პრესკონფერენციაზე, რომელიც მისი და ლუისის ორთაბრძოლას ეხებოდა, ბრიტანელის მცველს მუშტი უთავაზა. ახლაა და...

ჰო, მართლა, გუშინ მაიკ ტაისონი 37 წლის გახდა.

ყვავყვავი

ნინო I

"აღმოაჩინე შენში ქალი!"

ორშაბათს ინგლისში უიმბლდონი დაიწყო - სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი და პრესტიჟული ტურნირი. დაიწყო და მაშინვე პირველი უცნაური სენსაცია მოხდა: შარშანდელმა ჩემპიონმა, ავსტრალიელმა ლეიტონ ჰიუიტმა, რომელსაც ყველა უპირობო ფავორიტად მიიჩნევდა, არათუ ტიტულის შენარჩუნება ვერ შეძლო, არამედ პირველივე წრიდან გამოეთიშა შეჯიბრებას. გორან ივანიშევიჩის არყოფნაში (შეგახსენებთ: მან 2001 წელს მოიგო უიმბლდონი), ჩოგბურთის ხორვატ თაყვანისმცემლებს ახალი კერპი გამოუჩნდათ - 24 წლის გოლიათი ივო კარლოვიჩი, რომლის სიმაღლეც 2 მეტრი და 8 სანტიმეტრია. კარლოვიჩი, თურმე, ივანიშევიჩის დიდი ფანი ყოფილა და ახლა ცდილობს, თავისი სახელგანთქმული თანამემამულის ნაცვლად მოიგოს უიმბლდონი. ფინალში გასვლისა რა მოგახსენოთ, ყურადღების მიპყრობა კი ნამდვილად მოახერხა ხორვატმა სპორტსმენმა: უიმბლდონის ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, წინა წლის ჩემპიონი ვინმეს პირველივე წრეშე დაემარცხებინოს. კარლოვიჩს სატრაბახოდ ესეც დიდხანს ეყოფა...

სანამ ოფლში გაწურული ჰიუიტი მადაზე მოსულ ხორვატს ებრძოდა და ავსტრალიელი პირველი ნომრის არანაკლებ სახელოვანი სატრფო, ბელგიელი კიმ კლიისტერსი ტრიბუნაზე ნერვიულობდა, უიმბლდონის კიდევ ერთი შარშანდელი ჩემპიონი, ქალთა ჩოგბურთის საფრთხობელად მიჩნეული სერენა უილიამსი ჩოგნის მსუბუქად ქნევით ირთობდა თავს. ვარჯიშზე სერენას ეცვა იასამნისფერი ბლუზა, რომელსაც თეთრი ასოებით ეწერა: "Get in touch with your feminine side" (აღმოაჩინე შენში ქალი!). ქალურობისა უმცროს უილიამსს ბევრი არაფერი ეტყობოდა - ისევ ძველებურ ჯანზე იყო და უწინდებურად ძლიერად ისროდა აქეთ-იქით კვერცხის გულივით ყვითელ ბურთებს.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ქალთა ჩოგბურთში ვინუს და სერენა უილიამსები, ალბათ, ყველაზე არაქალური და არამიმზიდველი სპორტსმენები არიან, ყოველი დიდი ტურნირის წინ მათ მაინც ყველაზე სიმპათიურ მონაწილეთა შორის მოიხსენიებენ ხოლმე. ალბათ, იმიტომ, რომ ძალიან კარგად თამაშობენ და, გარეგნობით თუ არა, წარმატებებით მაინც იპყრობენ საზოგადოების ყურადღებას. მერე რა, რომ არც ერთია ლამაზი და არც მეორე? ისინი მაინც თანამედროვე ჩოგბურთის დედოფლები არიან. სამაგიეროდ, ყველას მიერ ჩოგბურთის მშვენებად და სექს-სიმბოლოდ აღიარებული რუსი ანა კურნიკოვა მხოლოდ გარეგნობაა და მეტი არაფერი. კორტზე სილამაზე კარგია, მაგრამ ქრონიკული წარუმატებლობა საშინლად მოსაბეზრებელია. ანა კურნიკოვა წლეულს უიმბლდონზე არ გამოდის, მაგრამ ზოგიერთებს იმდენად ხიბლავთ რუსი სექს-ბომბა, რომ უიმბლდონის ლამაზმანების ჩამოთვლას სწორედ ანას ხსენებით იწყებენ და

დანიელა ჰანტუხოვა

გული სწყდებათ, რომ ზურგის ტკივილით გაწამებული გრძელნაწნავიანი ჩოგბურთელი ინგლისში ვერ ითამაშებს.

სანამ ანა კორტზე გადიოდა, ყველასთვის ნომერი პირველი "მის ბიუსტი" იყო, იმის მიუხედავად, მოიგებდა თუ წააგებდა მატჩს. ახლა ის უიმბლდონზე არ არის და გართობის მოყვარულ სპორტულ ჟურნალისტებსაც საქმე გაუჩნდათ - თავს არ ზოგავენ იმის დასადგენად, თუ ვის გადაეცემა ჩოგბურთის "სექს-სიმბოლოს" ტიტული ანა კურნიკოვას არყოფნაში, მაინც ვინ არის წლევანდელი უიმბლდონის ყველაზე ლამაზი მონაწილე?

ყველაზე, ყველაზე ლამაზი

როგორც ირკვევა, თურმე, ძალიან ძნელია, ვინმეს ერთსულოვნად მიენიჭოს "მის უიმბლდონის" საპატიო ტიტული. ანას არყოფნაში ტურნირის ყველა ლამაზ მონაწილეს ვირტუალურ სილამაზის კონკურსში გამარჯვების თანაბარი შანსი აქვს. ანას შემცვლელად ბევრი მის თანამემამულეს, 16 წლის მარია შარაპოვას მიიჩნევს, რომელიც სულაც არ არის აღფრთოვანებული იმით, რომ ინტერნაციონალურ ასპარეზზე გამოსვლის დღიდან ჩოგბურთის მოყვარულები მას ახალ ანას უწოდებენ. პატარა მარია ლამაზი და პატივმოყვარე გოგონაა. მას მიაჩნია, რომ ანას არაფრით ჩამოუვარდება და მასთან მიმსგავსების გარეშეც შეძლებს ბრწყინვალე კარიერის გაკეთებას. "მე არა ვარ კურნიკოვა ნომერი ორი. მე მარია შარაპოვა ვარ და, რაც შეიძლება, მეტი მატჩის მოგება მინდა!" - აი, ასეთი კატეგორიულია პატარა მარია, რომელსაც უკვე გული გაუწყალეს ანასთან შედარებით: შენი ხნის რომ იყო, ანა უიმბლდონის ნახევარფინალში გავიდა. აბა ვნახოთ, შენ როგორღა ითამაშებო... თითქოს სავალდებულო იყოს, მარია ყველაფერში ანას ჰგავდეს!

მის უიმბლდონის ტიტულის მოპოვების მეორე კანდიდატი სლოვაკი დანიელა ჰანტუხოვაა. ეს ახალგაზრდა ჩოგბურთელი ზოგისთვის ანაზე ლამაზიც კია. უკვე დამტკიცებულია, რომ 20 წლის დანიელას საჩოგბურთო სამყაროში ყველაზე გრძელი ფეხები აქვს. სახითაც ლამაზია და, ალბათ, კურნიკოვას უპრობლემოდ წაართმევდა "სექს-სიმბოლოს" წოდებას, საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის მეტისმეტად გამხდარი რომ არ იყოს. მის ფორმებს სისრულე და სიმრგვალე აკლია და ამიტომ ანასთან ახლოსაც ვერ მივაო, - ასეთია ანას ფანების ვერდიქტი.

20 წლის ელენა დოკიჩი ჩოგბურთის მამრობითი სქესის მოყვარულებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. იუგოსლავიელ ჩოგბურთელს ბევრი გულშემატკივარი ჰყავს, რომლებიც აღფრთოვანებული არიან მისი სპორტული წარმატებითაც და კარგი გარეგნობითაც. შარშან დოკიჩი მერვედფინალში დამარცხადა და დიდად დაწყვიტა გული თავის ფანებს. წლეულს ელენას უკეთესის იმედი აქვს.

ბელგიელები კიმ კლიისტერსი და ჟუსტენ ენენი დიდი სილამაზით არ გამოირჩევიან, მაგრამ უიმბლდონის ფავორიტებად კი ნამდვილად ითვლებიან. ერთი ფლამანდიელია, მეორე - ვალონი. ორივე ოქროსფერთმიანია. ჩამკვრივებული კიმ კლიისტერსი, რომელიც თავის ბოიფრენდ ლეიტონ ჰიუიტზე უფრო მაღალი და მსხვილია, ძალისმიერ ჩოგბურთელად კი ითვლება, მაგრამ ქალის კვალობაზე არანორმალურად ძლიერი სერენა უილიამსის დამარცხება როლან გაროსის ნახევარფინალში მაინც მოახერხა მისმა შედარებით სუსტმა თანამემამულემ, რომელსაც ყველა ნაზ გოგონად მიიჩნევდა. ჟუსტენ ენენმა ფინალშიც იყოჩაღა და კიმ კლიისტერსიც სერენას გზას გაუყენა. უიმბლდონზეც ასე თუ გამოიჩენს თავს, თორემ ჰანტუხოვასთან და შარაპოვასთან სილამაზის კონკურსში გასვლა მას ნამდვილად არ მოუტანს დიდებას და დაფნებს...

აჭარის კულტურის ფონდი და საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ აჭარის რეგიონული ორგანიზაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ფონდის პრეზიდენტი და ორგანიზაციის თავმჯდომარე

ქალბატონი მაგული გოგიტიძე-აბაშიძისა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შვილები ლუიზა და ამირან კავაძეები, რძლები ია ჯიბღაშვილი, სიფიკო ნარჩემაშვილი, სიძე ნოდარ ლებანიძე და შვილიშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თინა გრიგორის ასული კავაძე

პანაშვიდი 26-27 ივნისს 17 საათზე. დაკრძალვა 28 ივნისს 14 საათზე.
მისამართი: გამსახურდიას გამზირი №2, III სადარბაზო, III სართული.

თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი
THE SOCIAL-ECONOMIC INSTITUTE OF TBILISI

2003-2004 სასწავლო წლისათვის ინსტიტუტში საგუნდო მიღება ძარღვულ და რუსულ სექტორებზე შედგება ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:
1. იურიდიული (სამართალმცოდნეობა);
2. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები;
3. ფინანსები, საბანკო და საგადასახადო საქმე;
4. ისტორია (ფილოსოფიურ და საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორია);
5. ქართული ენა და ლიტერატურა;
6. ინგლისური ენა;
7. გერმანული ენა.
სწავლის ხანგრძლივობა 5 წელია.
ინსტიტუტში უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:
1. განცხადება (შევსება ადგილზე);
2. განათლების დოკუმენტი;
3. ხუთი ფოტოსურათი (ზომით 3X4).
ინსტიტუტის მისამართია:
თბილისი, ბრილის ქუჩა №8 (ბიბლიოთეკის რაიონი, 46-ე საშუალო სკოლის შენობა, ოპერის ქვემოთ, ჩგლუსის მარჯვენა სანაპიროზე, მეტროს სადგური "რუსთაველი" ან "ოპერა-თეატრის მოედანი").
ტელ: 99-96-88; 899-50-80-84.

ღმერთი რას გვიმზადებს, წინასწარ არავინ ვიცით. მეც არ ველოდი იმ ტრაგედიას, რომელმაც ინვალიდის ეტლს მიმაჯაჭვა. წარმატებით დავამთავრე სახელმწიფო უნივერსიტეტი და იმავე წელს ჩაქრა ჩემი იმედები - ავტოკატასტროფაში მოვხვდი, ზურგის ტვინი დამიზიანდა. ორჯერ გადავიტანე უმძიმესი ოპერაცია, რეაბილიტაციის კურსს სხვადასხვა ქვეყანაში გავდიოდი. ჩემი ავადმყოფობა მკურნალობას ექვემდებარება, უკვე, ნაწილობრივ, ფეხზე დგომაც შემიძლია, მაგრამ ყველაფერი დიდ თანხებთან არის დაკავშირებული, ამდენის შესაძლებლობა კი ჩემს ოჯახს არ აქვს. ამიტომ, მე, იაგო ზურაბის ძე გორგოძე გთხოვთ, ანგარიშზე, შეძლებისდაგვარად, გადმომირიცხოთ თანხა, რათა ნორმალურ მდგომარეობას დავუბრუნდე. ანგარიშის ნომერია 000644272, კოდი 220101503, მიმღები ბანკი - სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკის" ვაკე-საბურთალოს ფილიალი მგ №3. თანადგომის იმედი მაქვს.

ცხადდება კონკურსი

"ბორჯომ – ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონის წყალმომარაგება და კანალიზაცია" – კორპორაცია აცხადებს კონკურს მდივნის ვაკანტურ თანამდებობაზე. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას 22-დან 35 წლამდე. კონკურსის მონაწილეებისათვის აუცილებელია გერმანული ენისა და კომპიუტერთან მუშაობის კარგი ცოდნა. სასურველია ასევე ინგლისური ენის ცოდნა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება. ანაზღაურება 200-დან 300 ევრომდე კვალიფიკაციის მიხედვით. სამუშაო ადგილი ქალაქი ბორჯომი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ: ავტობიოგრაფია, დიპლომის ასლი; ენის ცოდნის დამადასტურებელი მოწმობა. საბუთები მიიღება ა/წ 15 ივლისიდან 30 ივლისამდე შემდეგ მისამართზე:

თბილისი, კოსტავას 68ა, მე-5 სართული.
გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის ოფისი
ტელ: 822 335177.
ბორჯომი ერეკლეს 37. ტელ: 899 919688.

თბილისის ბაირონის სკოლა აცხადებს მოსწავლეთა მიღებას ორი ფორმით:

ქართულ-ინგლისური საშუალო სკოლა I-V კლასის ჩათვლით. ინგლისური ენის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის კულტურის შემსწავლელი დამატებითი სკოლა 5-დან 16-წლამდე.

მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა 2.
ტელ: 99-04-91.

აფიშა

საკონცერტო დარბაზები

ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი
თბილისის VII საერთაშორისო ჯაზფესტივალი
თეიქ სიქსი (აშშ)
დას: 21:00 სთ

კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი
კამერული მუსიკის საღამო, ჟერომ დიუკრო (ფორტეპიანო),საფრანგეთი
დას: 19:00 სთ

თეატრები

ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო„
"მარტოობის ბინადარი", რეჟ. ნანა მჭედლიძე; მთავარ როლში, სოფიკო ჭიაურელი
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

საგამოფენო დარბაზები

ძველი გალერეა
თეა ბოტკოველის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
TMS
დავით ყიფიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა
„ქარვასლა„
პოლონური პლაკატის გამოფენა

კინოთეატრები

„ამირანი„
"ჰალკი"
დას: 13:00; 17:30; 22:00 სთ; ფასი 7,8 ლარი
"დანიშნულების ადგილი"
დას: 15:30; 20:00 სთ; ფასი 7,8
„ელიტა„
"დიდი ძარცვა"
დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ზემოდან ხედი უკეთესია"
დას: 17:00; 21:00 სთ; ფასი 5,7 ლარი

TV პროგრამა 25 ივნისი

რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები“
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ასულ ტეკილა“
10.20 დოკ. ფილმი „მეოცე საუკუნე“
11.10 ედუარდ შევარდნაძე „პირველი მდივანი“ 1-ლი ნ.
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები“
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.00 2003 წლის უიმგილდონის ყოველდღიური მიმოხილვა
18.00, 21.00, 04.00 კურიერი
18.20 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები“
18.50 სერიალი „მაშველები“
19.40 სერიალი „დატყვევებული გულები“
22.00 ედუარდ შევარდნაძე „პირველი მდივანი“ მე-2 ნ.
22.50 ღამის კურიერი
00.20 სერიალი „სექსი დიდ ქალაქში“
01.00 2003 წლის უიმგილდონის ყოველდღიური მიმოხილვა
02.00 მხ. ფილმი „ფული არ ყარს“ მთ. რ-ში: ლესლი ენ უორენი.
04.10 კლასიკა

პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „ჯაშუშები“
10.15 მხ. ფილმი „სიკვდილი არავის უნდოდა“
12.00, 15.00, 20.00 მოამგე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
13.00 დოკ. სერიალი „ტექნოპოლისი“
14.00 ტელესერიალი „ცისფერი ველოსიპედი“
15.15 მხ. ფილმი „ბზაჯვარედინები“
16.45 ტელესერიალი „ძილის წინ“
17.00 თქვენი უფლებები
17.20 50-50
18.00 „ვესტნიკი“
18.20 დოკ. სერიალი „აფრიკის გუნება“
18.30 ბასტი-ბუბუ
18.50 „ისტორიანი“
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე“
21.05 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
21.55 „მათი შვილები“
22.35 ტელესერიალი „ძილის წინ“
23.00 „რა ხდება?!“
00.00 მხ. ფილმი „ცხოვრებაშიც ისე, როგორც კინოში“.

პირველი სტერეო

08.00 მუსიკა
09.00 ტოროლა
12.00 ფილმი
14.00 მუსიკა
16.00 ფილმი „შპუნცი“ მთ. რ-ში სმეინი, საგინ აზემა.
18.00, 19.15 ქართული მუსიკა
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.30, 20.15 ვიდეორადიო
20.50 ათი ლექსი
21.15 პროფათეული
22.35 პაპარაცი
23.00 სოლო
00.00 „გრავო“ „ადამიანები იქსი“ მთ.რ-ში ჰიუ ჯეკმანი, ჰოლი ბერი.
01.40 „ღამურა“ „ბუმო“ მთ.რ-ში მაძს პერლიხი.
03.45 პაუზის გარეშე

მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამგე“ მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.30 სერიალი „რვაფეხა“
20.30 დიდი დასვენება
21.00 დოკ. ფილმი
21.30 ჩვენი მისამართია
22.10 მხ. ფილმი „ოჰ, ეს საშინელი ტელევიზორი“

კავკასია

12.00 მხ. ფილმი „გოლერო“
15.00 მხ. ფილმი „ნიღაბი“
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“
17.15 მხ. ფილმი „გრილიანტის პოლიციელი“
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „სახლი თურქულ ქუჩაზე“
22.30 მხ. ფილმი „სულელები“

იბერია

08.00 ანონსი, აღსავალი
08.05 დიალოგი
10.30 მხ. ფილმი „მოხუცი ნედის სიურპრიზი“
12.30 დოკ. ფილმი
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. ფილმი
15.15 მხ. ფილმი „მართლმსაჯულების მხედრები“ 1-ლი ნ.
17.20, 18.30, 19.30, 21.35, 23.30 მუსიკა
17.30 მულტფილმი
18.45 გუნების ფერები
19.45 გადაცემა - მურადა
20.00 მხ.ფ. „სიკვდილის მიზეზი“
22.00, 23.00 დიალოგი
23.45 მხ. ფილმი „მართლმსაჯულების მხედრები“ მე-2 ნ.
01.30 ღამის ფილმი

მესხრე არხი

08.00 პროგრამა „დილა“
10.00 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო“
10.30 მულტსერიალი „სიმგა - მეფე ლომი“
11.00 სერიალი „მოჯადოება“
12.00 „ცხელი ცხრანი“
12.45 მხ. ფილმი „ტახტი ნიუ-იორკში“
14.20 „ტელემეტრი“
14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
14.50 „ევროპის სტადიონებზე“
15.10, 16.20, 17.55, 18.50, 19.50, 20.20, 22.10 მუსიკა
15.30 სერიალი „სირინოზები“
16.30 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება“
18.05 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო“
18.25 მულტსერიალი „სიმგა - მეფე ლომი“
19.00 სერიალი „მოჯადოება“
20.00 „ევროპის სტადიონებზე“
21.15 სერიალი „სირინოზები“
22.00 დოკ. ფილმი „ცირკის ხელოვნება“ მე-26.
22.35 მხ.ფილმი „აჩრდილთა ველი“
00.20 კლასიკა
00.35 მხ. ფილმი „დაანჭირე გაზს“.

იმედი

08.55, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55 ქრონიკა
09.05, 13.15, 17.20, 23.55 იმედის მელოდიები
09.30 სერიალი „იუდას ქალი“
10.30 ლარის მახე
11.05 თამაში „ბოიარის ციხესიმაგრე“
12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა
12.10 სერიალი „გრაფი მონტე-კრისტო“
13.30 სერიალი „უკიდურესი ზღვარი“
14.05 სერიალი „ეარ ამერიკა“
15.15 მძაფრსიუჟეტიანი კინო „ჯარისკაცები“
17.30 „ერთხელ ჰოლივუდში“
18.05 სერიალი „იუდას ქალი“
19.30 სერიალი „გრაფი მონტე-კრისტო“
20.30 არტ-გულვარი
21.05 სერიალი „მკვლელობის ილუზია“ 1-ლი ს.
23.00 სერიალი „პროვინული უშიშროების აგენტი“
23.55 ფანების კინოკლუბი „წუხელ“.

აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.10 ისტორიული თრილერი „ირემზე დევნა“
10.45, 13.40 მუსიკა
11.00 დოკუმენტური ფილმი
12.10 თრილერი „ყინულოვანი დუმილი“
13.55 სათავგადასავლო ფილმი „ადამიანი რკინის ნილაგში“
16.10, 19.20, 22.20, 00.20 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი“
16.20 მულტსერიალი
17.00 „ქართული კინო“
19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს“
19.40, 22.50 „პრესდაიჯესტი“
19.45, 01.00 მუსიკა
20.00 თრილერი „ნიკიტა“
23.00 „ალტერნატივა“
00.45 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
00.55 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
01.40 ისტორიული ფილმი „ელ სიდი“2 ს.
03.20 დოკუმენტური ფილმი
04.10 დრამა „მეზობელი ქალი“

VII არხი

09.15 მელოდია
09.25 „აჩიკუდა“
09.50 აუდიო-ვიდეო-ტელე
10.25 მელოდია -
10.40 კომპიუტერული ტექნიკა
11.20 მელოდია
11.40 მოგილურები
12.30 დისნი და მისი მეგობრები
12.50 კომპიუტერული თამაშები
13.10 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე
19.00 „აჩიკუდა“
19.20 მოკლედ... სპორტი
19.25 მელოდია - მოკლე ფეტყოგინეებები
20.25 მოგილურები
21.15 „ლა-ლა-ლა“
22.05 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
22.30 „კინოკლუბი „ - „ევას მდინარე“. ცხოვრებისეული. რეჟ: კეისი ლემონი. სი. როლებში: სემუელ ელ ჯეკსონი
00.25 კომპიუტერული თამაშები
00.30 მელოდია

OPT

07.00 „Доброе утро!“
10.00 , 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды“
11.05 Худ.фильм „Алмазная тропа“, 3 с.
12.05 „Сати“. С. Безруков
12.35 Дисней-клуб: „Чудеса на вираже“
13.15 Комедия „За витриной универмага“
15.00 „Сканер“
15.30 „Тайны забытых побед“. „Оружие победы. „Катюша“
16.15 Док.сериал „Дикие штучки“
16.50 Триллер „Сияние“
18.00 „Большая стирка“
19.25 „Смехопанорама“
21.00 „Слабое звено“
22.00, 00.30 „Время“
22.40 Худ.фильм „Пятый угол“
23.45 Выпускной бал на „Первом“ с участием О.Газманова, Валерии, М.Галкина.

PTP

06.45 „Доброе утро, Россия!“
09.45 Сериал „Театральный блюз“
10.45 Детектив „Марш Турецкого. Опасно для жизни“, 2 с.
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 Вести
12.20 Ток-шоу „Короткое замыкание“
13.20 Худ.фильм „Идентификация Борна“
14.15 „Экспертиза“
14.30 „Москва-Минск“
14.45 Вести - Москва
15.20 Ток-шоу „Что хочет женщина“
16.10 Сериал „Московские окна“
17.15 Сериал „Простые истины“
17.45 „Экспертиза“
18.20, 20.50 Вести. Дежурная часть
18.50 „Дорожный патруль“
19.05 Вести - Спорт
19.20, 21.30 Местное время. Вести - Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс“
21.50 „Спокойной ночи, малыши!“
21.55 Сериал „Театральный блюз“
23.00 Детектив „Марш Турецкого. Синдикат киллеров“, 1 с.
00.20 „Бал выпускников“. Прямая трансляция
03.45 Сериал „Сеть“
04.30 Сериал „Дживс и Вустер“

НТВ

07.00 „Утро на НТВ“
09.45 Сериал „Дальнобойщики“
11.00 „Сегодня утром“
11.35 Док. драма „Преступление и наказание“
12.05 Док.фильм „Если завтра война?“
13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.30“Сегодня“
13.30 „Страна Советов“
14.30 Сериал „Курортный роман. Школа выживания“
16.35 Ток-шоу „Принцип „Домино“. „Любовные травмы“
18.30 Сериал „Скорая помощь“
19.25 „Чистосердечное признание“
20.35 Сериал „Улицы разбитых фонарей. Лекарство от скуки“
21.50 Сериал „Дальнобойщики“
23.00 „Страна и мир“
23.30 Сериал „Секс в большом городе“
00.15 Сериал „Улицы разбитых фонарей“
01.50 „Гордон“
02.50 Сериал „Доктор“

პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით

ბინები

იყიდება

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 ; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 ხელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.

იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის №25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი სააგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38

იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"-ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.

იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38

განვადებით შევიძენ 2 ან 3 ოთახიან ბინას 3 000 დოლარის წინასწარ გადახდით. ტელ: 77-73-54, 77-75-73 კახა.

იყიდება 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით. ვერცხლის ქ.50. ტელ: 98-61-12

იყიდება!
სასწრაფოდ, ოროთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი (3.10მ) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოზე, ს. ზაქარიაძის ქუჩაზე(მ. "გოცირიძე"). საერთო ფართი135 კვ.მ. 3 აივნით, 2 ტუალეტით, 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/ა. ფასი შეთანხმებით.
ტელ: 39-53-41 69-94-27 ბელა.

ქირავდება 1-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა სოლოლაკში. ყველა საჭირო ინვენტარით. 98-94-74.

იყიდება 2,5-ოთახიანი ბინა მუხიანის მე-4ბ მკ/რ., კორპ. 30-ე, 8-ე სართული ბინა 61, ტელეფონით, ლიფტი მუშაობს. ფასი: 5000$. ტელ: 71-71-78 ნათელა.

ბინები

ქირა, გირაო

ქირავდება! 3-ოთახიანი, კეთილმოწყობილი ბინა ავეჯით. ფასი 200$. უზნაძის 53. ტელ: 95-40-23 ნანა.

ქირავდება 4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარიაძის ქ.8-ში ("პარლამენტის სახლში") მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39-74-56 მამუკა.

ქირავდება!
სახლი აღმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ. ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097

ქირავდება 4-ოთახიანი 125 კვ.მ ფართის ბინა, სათავსოებით, ცხელი წყლით, მუდმივი დენით, ბ/ა-ით ბარათაშვილის N12-ში 7(7), მუშაობს ლიფტი.
ტელ: 99-74-83, 99-93-62.
19.00 სთ-ის შემდეგ.

ქირავდება 45 კვ.მ საოფისე კეთილმოწყობილი ფართი, ცხელი წყლით, ტელეფონით, მუდმივი დენით ლენინიძის ქ. N8-ში (ყოფილი კიროვის).
ტელ: 99-74-83, 99-93-62.
19.00 სთ-ის შემდეგ.

მანქანები

იყიდება BMW-320, 2 - კარებიანი, 6 ცილინდრიანი ძრავით, 1984 წლის გამოშვება, ფასი 1000$. ტელ: 29-00-92.

სასწრაფოდ! იყიდება BMW-728 1998 წლის. ტელევიზორი, კლიმატკონტროლი, პროგრამული სავარძლები, სანავიგაციო სისტემა, პარკტრონიკები.
ფასი: 13 500$ ტელ: 899 182227

სწავლება

ლონდონში სტაჟირებული სპეციალისტი შეგასწავლით ინგლისურ ენას ინდივიდუალურად თქვენი მიზნების გათვალისწინებით. ტელ: 96-64-12, 893 219442, 95-20-34.

შევასწავლი გერმანულ ენას. ტელ: 32-03-71.

სხვადასხვა

კაზინო "მუმიას" ესაჭიროება კვალიფიციური დილერები. მისამართი მეტროსადგურ "ვარკეთილი"-ის თავზე.

ტელ: 899 584855

მანქანებში ასახული ისტორია

დღევანდელი "მარშრუტკის" წინაპარი. 1907 წ.

ადრეული სპორტული მერსედესი.

კლასიკური მოდელი.

მსოფლიოში პირველი სერიული მანქანა.

ლეგენდარული 300SL მოდელი.

არჩილ მელიქიშვილი

ავტომობილების ისტორიის გაცნობისას ადამიანს მაშინვე თვალში ეცემა ერთი საინტერესო დეტალი. ყველა მანქანა თავიდან ბოლომდე თავისი ეპოქის შვილია. ეს ეხება, როგორც პირველი თაობის მოდელებს, ასევე ზეთანამედროვე ავტომობილებს. "მერსედეს-ბენცის" მუზეუმი ერთ-ერთი ის იშვიათი გამონაკლისია, სადაც ყველა თაობის ავტომანქანა ერთ ჭერს ქვეშაა თავმოყრილი. იქ თვალნათლივ ჩანს კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპი მთელი გასული საუკუნის განმავლობაში.

სახელგანთქმული ავტოგიგანტის მოკლე ისტორია ასეთია: 1883 წელს კარლ ბენცმა დააარსა პატარა სახელოსნო, სადაც ავტომობილების და მოტოციკლეტების წარმოება დაიწყო. მაშინ იქ სულ რაღაც ოცდასამი ადამიანი მუშაობდა. ხოლო შვიდი წლის შემდეგ, 1890 წელს გოტლიბ დაიმლერმაც შექმნა თავისი ფირმა. შორსმჭვრეტელი ადამიანებისთვის ხომ, ამ ახალი დარგის პერსპექტივები დღესავით ნათელი გახლდათ. ორი ათეული წლის განმავლობაში ეს ორი კომპანია დამოუკიდებლად ვითარდებოდა და საკმაოდ წარმატებულადაც. თუმცა, 1924 წელს ორივე ფირმის მფლობელებმა მიიღეს ისტორიული გადაწყვეტილება, გაერთიანებულიყვნენ. ახლადშექმნილ კომპანიას "დაიმლერ-ბენცი" ეწოდა. სახელი "მერსედესი" კი მათ მესამე კომპანიონს ადვოკატ ემილ ჯელინეკს უკავშირდება. მას არ სურდა თავისი სახელის აფიშირება და ამიტომაც საქმიან ქაღალდებზე თავისივე ქალიშვილის სახელს - მერსედესს - იყენებდა (მოგვიანებით იგი ხუმრობდა, რომ ეს ისტორიაში ერთადერთი შემთხვევა გახლდათ, როდესაც მამამ მიიღო შვილის სახელი). ძალიან მალე "დაიმლერ-ბენცის" ყველა ავტომობილს ქალის ამ სახელით მოიხსენიებდნენ.

სრულიადაც არ არის გასაკვირი, რომ ასეთი დიდი ისტორიის მქონე ფირმას (110 წელს კერძო ფირმა კი არა, ზოგიერთი სახელმწიფოც ვერ მიითვლის!) თავისი, საკუთარი მუზეუმი ჰქონდეს. იგი განთავსებულია გერმანიაში, ქალაქ შტუტგარტის შემოგარენში "მერსედეს-ბენცის" ავტოქარხნების ტერიტორიაზე. მუზეუმის დამთვალიერებელს სპეციალური ავტობუსის მეშვეობით, მთელი სანარმოო კომპლექსის გადაკვეთა უწევს, სანამ დანიშნულების ადგილამდე მიაღწევდეს.

"მერსედეს-ბენცის" მუზეუმში მანქანები ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა განლაგებული. თვალში ჯერ მეცხრამეტე საუკუნის ავტომობილები გეცემა, რომლებიც თავისი გარეგნობით უფრო ცხენშეუბმელ ეტლს მოგაგონებს, ვიდრე თანამედროვე ავტომანქანის რეალურ წინაპარს (მაგალითად, 1891 წელს გამოშვებული მსოფლიოში პირველი სერიული ავტომობილი). რასაკვირველია, ყველა ძველი მანქანა ისტორიის კატაკლიზმებს ვერ გადაურჩებოდა. ამიტომაც ზოგიერთი მათგანი უკვე თანამედროვე ხანაშია რეკონსტრუირებული. საბედნიეროდ დაიმლერის და ბენცის სამუშაო ნახაზები საკმაოდ კარგად შემოინახა და ამჟამად მუზეუმის კედლებშია დაცული.

რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, ადამიანი მეოცე საუკუნის ისტორიაში შეაბიჯებს, სადაც – ჰოი, საოცრებავ?! თანამედროვე "მარშრუტკების" წინაპარსაც (60 ცხენისძალიანი 1907 წლის გამოშვება) კი შეხვდებით. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, გასული საუკუნის დასაწყისშიც იგივე ხერხებით ცდილობდნენ სატრანსპორტო პრობლემების მოგვარებას, როგორც ოცდამეერთე საუკუნის საქართველოში. თუმცა, არა მგონია, ეს ფაქტი ჩვენთვის ძალიან საამაყო იყოს.

იქვეა განლაგებული სხვადასხვა ჯურის სპორტული თუ ნახევრად სპორტული მანქანები, რომლებიც ყველა ავტომოყვარულში (სულერთია, იქნება ეს ქალი თუ კაცი) ნამდვილ აღტაცებას გამოიწვევს. განსაკუთრებით თვალში საცემია 1950 წლის ლეგენდარული 300SL მოდელი, რომელმაც მრავალი სხვადასხვა პრიზი მოიგო. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ სპორტული ავტომობილები კედელთან ერთიმეორის მიყოლებითაა განლაგებული და მათი დათვალიერება მხოლოდ ერთი მხრიდანაა შესაძლებელი.

საერთოდ, ამ მუზეუმმა აშკარად ვერ გაუძლო დროის გამოცდას (შენობა 1923 წელსაა აგებული). ექსპონატები – 80 მანქანა – საკმაოდ მოუხერხებლადაა განლაგებული, ალბათ, ადგილის ნაკლებობის გამო. აქედან გამომდინარე, "მერსედესის" ისტორიის ზოგიერთი ფურცელი საგამოფენო დარბაზში, უბრალოდ, ვერ მოთავსდა. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომი მუზეუმში, ფაქტობრივად არ არის წარმოდგენილი. არადა, როგორც ცნობილია, "მერსედეს-ბენცი" ვერმახტისთვის (გერმანიის შეიარაღებული ძალები) იარაღის ერთ-ერთი მთავარი მიმწოდებელი იყო. ჰიტლერი და ნაცისტების სხვა ხელმძღვანელებიც სიამოვნებით გადაადგილდებოდნენ ამ ფირმის მანქანებით.

თუმცა, კომპანიის ხელმძღვანელობა ძალიან კარგად აცნობიერებს ამ ძველი მუზეუმის ნაკლოვანებებს. ამიტომაც იქვე ახლოს ახალი, თანამედროვე შენობა შენდება, სადაც 2004 წლიდან მუზეუმი გადავა. ექსპონატების რაოდენობაც საკმაოდ გაიზრდება და თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებითაც იქნება აღჭურვილი. "მერსედესის" მუზეუმი ხომ მარტო მანქანების კოლექცია არ არის. ეს, უპირველეს ყოვლისა, გერმანიის ისტორიაა.

ოქროებში ჩაფლული ჯინა ლოლობრიჯიდა

ნინო ჭანიშვილი

მოსკოვს მოქანდაკის როლში ჯინა ლოლობრიჯიდა სტუმრობს. თურმე, საკულტო ფილმში "ფანფან-ტულპანში" გადაღებული იტალიელი ლამაზმანი, ახალგაზრდობაში რომის სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა. 40-იან წლებში ის ქუჩებში ხატავდა და ამ გზით ოჯახსაც კი არჩენდა. მაგრამ ერთხელ არაჩვეულებრივად ლამაზი სტუდენტი ვიტორიო დე სიკამ შენიშნა და კინოში მიიწვია.

ამჟამად მსახიობის სახელოსნოში ათეულობით ქანდაკება დგას. ლოლობრიჯიდას პერსონალური გამოფენა მის მეგობართან ზურაბ წერეთელთან, რუსეთის სამხატვრო აკადემიაში უნდა გამართულიყო, მაგრამ ექსპოზიციამ მისამართი შეიცვალა და ხელოვნების მუზეუმში გაიხსნა. 74 წლის იტალიელმა კინოვარსკვლავმა მოისურვა, რომ პირველად მისი ქანდაკებების ჩვენება სწორედ რუსეთის დედაქალაქში გამართულიყო, რაც მსახიობმა იმით ახსნა, რომ რუსი ხალხი ყოველთვის მისი თაყვანისმცემელი იყო. ჯინა ლოლობრიჯიდას გამოფენა მისი ფილმების რეტროსპექტივასთან ერთად მოსკოვის XXV საერთაშორისო კონოფესტივალის ფარგლებში მიმდინარეობს.

ლოლობრიჯიდას კინოკარიერა 1970-იანი წლების დასაწყისში დასრულდა. პროდუსერისა და ქმრის მილკო სკოფიჩის გარდაცვალების შემდეგ, ჯინა დიდ კინოში აღარ დაბრუნდა. მაგრამ უსაქმოდ დარჩენა არ ისურვა. 1970-იან წლებში გადაიღო რამდენიმე დოკუმენტური ფილმი, მათ შორის, ფიდელ კასტროზე და ინდირა განდიზე. შემდეგ ფოტოგრაფიას დაეუფლა, 1990-იანი წლების დასაწყისში კი ქანდაკებითაც დაინტერესდა. არტ-კრიტიკოსები მისი ნამუშევრების მიმართ დიდ ენთუზიაზმს არასდროს იჩენდნენ. მსახიობი ამას შურით ხსნიდა და ბეჯითად აგრძელებდა მუშაობას.

თემას სკულპტურული კომპოზიციებისთვის მსახიობი საკუთარი, მდიდარი ბიოგრაფიიდან იღებს. გამოფენაზე წარმოდგენილია ჯინას შვილის მილკო უმცროსის პორტრეტი და მის მიერ 1960-იან წლებში განსახიერებული კინოგმირების მთელი სერია.

ლოლობრიჯიდას ნამუშევრები – ეს არის ბრინჯაოსა და თიხისაგან ჩამოსხმული თეატრისა და შოუ-ბიზნესის სამყარო, თანაც ნატურალურ ზომებში. ყველა ქანდაკება უკიდურესად რეალისტურია და ამერიკელი მხატვრის ჯეფ კუნსის შემოქმედებას ნაგავს. თუმცა, ჯეფ კუნსი იგივე ტექნიკის გამოყენებით კიტჩის გულუბრყვილობას დასცინოდა, ჯინა ლოლობრიჯიდას ქანდაკებები კი უკიდურესად სერიოზულია.

საერთოდ ჯინას ძალიან არ უყვარს ე.წ. თანამედროვე ხელოვნება. მსახიობი თავის ნამუშევრებში დიდი რაოდენობის ოქროს იყენებს. ქანდაკებების უმეტესობა 24 კარატიანი ოქროთია დაფარული. მის ნამუშევრებში რაღაც აუცილებლად უნდა ბრწყინავდეს, მაგალითად ესმერალდას სამკაულები ან ტელეფონი დივანის გვერდზე, რომელზეც მერლინ მონრო წევს. როცა ლოლობრიჯიდას ეკითხებიან რატომ იყენებს ამდენ ოქროს თავის ნამუშევრებში ის პასუხობს: "იმიტომ რომ ეს არის 60-იანი წლების კინო, ეს ნამდვილად ოქროს ხანა იყო იტალიურ კინოში. მაშინ ჩვენ ყველას გვინდოდა ოცნება, ყველაფერი ოქროსფრად დაგვენახა".

პუშკინის სახელობის ხელოვნების მუზეუმის დირექტორმა ირინა ანტონოვამ ლოლობრიჯიდას გატაცება სვიატოსლავ რიჰტერისა და ეიზენშტეინის სიმაღლეზე აიყვანა: "ჯინა ლოლობრიჯიდას ქანდაკებები ცნობილი კინოვარსკვლავის ჰობი და სამოყვარულო ქმნილებები არ არის. ის მოწიფული პროფესიონალი მოქანდაკის ნაწარმოებებია. იგი უკიდეგანოდ ნიჭიერია როგორც კინემატოგრაფში, ისევე სახვით ხელოვნებაში. ჩვენ ამ ნამუშევრებს ვუჩვენებთ რუბრიკაში "მეორე მონოდება", ისევე როგორც თავის დროზე წარმოვადგინეთ პოეტ ანდრეი ვოზნისენსკის, პიანისტ სვიატოსლავ რიჰტერის და კინორეჟისორ სერგეი ეიზენშტეინის მხატვრობა".

თავად მსახიობი თვლის, რომ კინოში გაცილებით მეტის გაკეთება შეეძლო: "აქ დამოკიდებული ხარ სცენარისტზე, რეჟისორზე, ქანდაკებაში კი მხოლოდ ჩემი ხელებია და სხვების დაუკითხავად შემიძლია გამოვსახო, რაც მინდა".

მოსკოვური პრემიერის შემდეგ ლოლობრიჯიდას ქანდაკებების გამოფენა ვენეციასა და პარიზში გაემგზავრება.

ჯინა ლოლობრიჯიდა საკუთარი ქმნილების ფონზე.

ვარდისფერი, წითელი და ნარინჯისფერი ქვები

ყელსაბამი, რომელიც ნიკოლ კიდმანს ეკეთა

DE BEERS-ის ძვირფასი თავსაბურავი.

ერთი თვის განმავლობაში აშშ-ს ბუნებრივი განვითარების ისტორიის ნაციონალურ მუზეუმში მსოფლიოს უიშვიათეს ბრილიანტებს გამოფენენ. ორგანიზატორები ვარაუდობენ, რომ ეს ვაშინგტონის ყველაზე ხალხმრავალი ტურისტული ღირსშესანიშნაობა იქნება. და მართლაც, უნიკალური ქვები და მათი ისტორია ბევრს აინტერესებს. მუზეუმის კურატორი ჯეფრი პოსტი აცხადებს: "ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც მსოფლიოს უიშვიათეს ბრილიანტებს ერთად შეკრებენ. თითოეულ მათგანს მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება. ამიტომ, მათი დათვალიერება უდიდეს ესთეტურ სიამოვნებას მოგანიჭებთ".

ექსპოზიცია, რომელიც ხვალ გაიხსნება და 15 სექტემბრამდე გასტანს კერძო კოლექციონერებისა და კომპანიების დახმარებით მოეწყო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთი ექსპონატი საერთოდ პირველად იხილავს დღის შუქს. ძველი და ისტორიული ბრილიანტებისგან განსხვავებით, გამოფენაში მონაწილე ქვები 1980 წლის შემდეგ არიან შექმნილნი, მაგრამ ხშირად მათ უფრო მეტ მნიშვნელობასაც კი ანიჭებენ, ვიდრე იმ სამკაულებს მეფეები და დედოფლები რომ ატარებდნენ.

უნიკალობას კი ამ ქვებს ზომა და ფერი ანიჭებს. სუფთა კარბონს, რომლისგანაც ბრილიანტი ყალიბდება, ფერი არ აქვს, მაგრამ ზოგიერთ ქვაზე დროთა განმავლობაში მინარევები მოქმედებს და მათ ლაქები მაინც უჩნდება. სწორედ ასე შეიქმნა 59.60 კარატიანი ვარდისფერი ქვა, რომელსაც "სტაინმეცის ვარდისფერი" ჰქვია და ამ ტიპის დღემდე აღმოჩენილ ბრილიანტთაგან უდიდესია. უფრო ზუსტად, არსებობს მასზე დიდი ქვებიც, მაგრამ "სტაინმეცს" მკვეთრი და კაშკაშა ვარდისფერი ტონით ვერც ერთი შეედრება.

"სტაინმეცის" მსოფლიო პრეზენტაცია მაისში, მონაკოს ფესტივალზე გაიმართა. საზოგადოებას ის სუპერმოდელ ჰელენა კრისტენსენმა წარუდგინა. სხვათა შორის, პრეზენტაციაზე დამსწრე მამაკაცებმა აღარ იცოდნენ, ლამაზმანი ჰელენა უფრო უხდებოდა იშვიათ, ვარდისფერ ბრილიანტს, თუ პირიქით. "სტაინმეცის" კომპანიის პრეზიდენტი, ნირ ლივნატი კი ვაშინგტონში დაგეგმილი გამოფენის დამთვალიერებლებს კიდევ უფრო აინტრიგებს. ის აცხადებს: "ახლა თქვენ გაქვთ შანსი, ბრილიანტი არამხოლოდ მისი ეკონომიკური მაჩვენებლებით შეაფასოთ, არამედ დატკბეთ მისი იშვიათი ფერებითაც. ამ ვარდისფერ ქვას სისავსის უმაღლესი დონე აქვს. წარმოდგენილია უდიდესი წითელი და ნარინჯისფერი ბრილიანტიც. გაგაოცებთ, ისე ლამაზად იცვლება ფერები ქვიდან ქვაში".

კიდევ ერთი თვისება, რითაც ბრილიანტებს აფასებენ შინაგანი სრულყოფილებაა. ანუ, მით უფრო სრულქმნილია ქვა, რაც უფრო ნაკლები შინაგანი წუნი, ე.წ. "სამშობიარო ტრამვა" აქვს. ასეთია ვაშინგტონში წარმოდგენილი ბრილიანტი "ოკეანის ოცნება" – 5.51 კარატიანი მოლურჯო-მომწვანო ფერის ულამაზესი ქვა. ექსპერტების თქმით, მსგავსი ფერისა და ზომის ქვა არსად მოიძებნება. იშვიათია სამხრეთ აფრიკაში აღმოჩენილი 27.64 კარატიანი ლურჯი ბრილიანტიც, რომელსაც "მარადიულობის გული" ჰქვია.

წარმოიდგინეთ, ვაშინგტონში ყვითელი ბრილიანტიც კი ჩაიტანეს – 101.29 კარატის ქვა, უიშვიათესი, როგორც ფერით, ასვე ზომით. რაც შეეხება, ზემოთნახსენებ წითელ ქვას, ის 5.11 კარატს იწონის და 1990-იან წლებში ბრაზილიელმა ფერმერმა აღმოაჩინა.

შთამბეჭდავია 5.54 კარატიანი ნარინჯისფერი ქვაც, რომელსაც ახლა "ჰარი უინსტონის" კომპანია ფლობს. ეს ბრილიანტი შარშან ბეჭედში ჩასვეს და ჰალი ბერის წამოაცვეს თითზე, როდესაც ის "ოსკარის" ცერემონიალზე საუკეთესო მსახიობი ქალისთვის ჯილდოს იღებდა. იმ საღამოს ბერის ძალიან ლამაზი კაბაც ეცვა, მაგრამ მას დედოფლურ იერს სწორედ ეს უიშვიათესი ბრილიანტი ანიჭებდა.

და, ბოლოს, ვაშინგტონში წარმოდგენილია უდიდესი ბრილიანტიც: 203 კარატიანი "ათასწლეულის ვარსკვლავი". უფრო ზუსტად, ის სიდიდით მეექვსე უფერო ვარსკვლავია, რომელიც კი ოდესმე აღმოუჩენიათ. "ათასწლეულის ვარსკვლავი" პირველად 1999 წლის ოქტომბერში მისმა მფლობელმა, კომპანია De Beers LV-მ ლონდონში გამოფინა.

50-კარატიანი ქვები.

ბრილიანტი სახელად "ათასწლეულის ვარსკვლავი".

ექსპერტი ათკარატიან ბრილიანტს ამოწმებს.

მეფური საჩუქარი ჯიმი ჩუს

ჯიმი ჩუს ფეხსაცმელი

მოდის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისთვის ცნობილმა ფეხსაცმლის დიზაინერმა, ჯიმი ჩუმ ბრიტანეთის დედოფლისგან ბრიტანეთის იმპერიის ორდენის ოფიცრის საპატიო წოდება მიიღო.

"ჯიმი ჩუ ლონდონს მოდის დიზაინის მსოფლიო დედაქალაქად გადაქცევაში დაეხმარა," განაცხადა დაჯილდოების ცერემონიაზე დედოფლის წარმომადგენელმა, ვაჭრობისა და მრეწველობის მდივანმა პატრიცია ჰიუიტმა.

წარმოშობით მალაზიელი ჯიმი ჩუ ფეხსაცმლის დიზაინის შესასწავლად ლონდონში 1980-იანი წლების დასაწყისში ჩავიდა. მისი ნიჭი თამარა მელონს მოხვდა თვალში, ის კი ჟურნალ "ვოგის" აქსესუარების განყოფილების ყოფილი რედაქტორი იყო. 1996 წელს ის ჯიმის პარტნიორი გახდა, და მას შემდეგ ბატონ ჩუს საქმე, მართლაც, ჩინებულად წაუვიდა. დღეს ლონდონში, ნიუ იორკში, ლას ვეგასში და ბევერლი ჰილზზე ჯიმი ჩუს ხელნაკეთი ფეხსაცმელი დიდი წარმატებით იყიდება. ამ დიზაინერის თაყვანისმცემლები ვარსკვლავებიც არიან – სარა ჯესიკა პარკერი, ნიკოლ კიდმანი, გვინეტ პელტროუ, ლიზ ჰერლი, და სამეფო ოჯახის წევრებიც.

არადა, ჩუ ისედაც რაინდი ბრძანდება – 2000 წელს მას თავის სამშობლოში Dato-ს წოდება მიენიჭა, რომელიც ბრიტანული რაინდის წოდების ტოლფასია.

მოდაში დაბრუნების მცდელობა

Madeleine Vionnet-ის მოდელები, ოციანი წლები

ივლისისთვის ლეგენდარული ფრანგული მოდის სახლის, Madeleine Vionnet-ის ხელახალი გახსნა იყო დაგეგმილი. გასაოცარია, მაგრამ ამ კომპანიის ჩვენება ამასწინათ გამოქვეყნებულ პარიზის მაღალი მოდის კვირეულის განრიგში არ აღმოჩნდა.

"გახსნა ერაყის ომის გამო გადავდეთ – ასე მოგვიწია," განაცხადა ამ მოდის სახლის შემოქმედებითი დირექტორის, მაურიციო პეკორაროს წარმომადგენელმა, "მაგრამ 2004 წლის გაზაფხულ-ზაფხულის კოლექციაზე მუშაობას კვლავ ვაგრძელებთ, და ვიმედოვნებთ, რომ ის იანვარში იქნება წარმოდგენილი."

ოდესღაც გავლენიანი მოდის სახლის, Madeleine Vionnet-ის აღორძინების შესახებ საუბარი გასული წლის ბოლოს დაიწყო, როდესაც კუვეიტელმა მეწარმემ და მილიონერმა, მაჯედ ალსაბეჰმა იტალიელ პეკორაროს "Madeleine Vionnet-ის სულის განახლება" შესთავაზა.

"ძალიან ვამაყობ, რომ ამ სახლისთვის მუშაობა შემომთავაზეს. ის შთაგონების წყარო იყო სწორედ იმ დიზაინერებისთვის, რომლებიც ყველაზე მეტად მიყვარს: ალაია, გალიანო, იამამოტო..." მოყვა პეკორარო, "მე მზად ვარ ამ საინტერესო გამოწვევის მისაღებად."

ლას ვეგასში მისის მსოფლიო აირჩიეს

გათხოვილ ქალთა მე-17 საერთაშორისო კონკურსზე 28 წლის ტაილანდელმა სუზანა პავადი ვიშაინრიტ-მუანგკრიტმა "მისის მსოფლიოს" წოდება მიიღო. გათხოვებამდე ის ორგზის "მის ტაილანდი" ბრძანდებოდა.

ამ კონკურსზე მშვენიერმა ტაილანდელმა 38 პრეტენდენტის დამარცხება შეძლო და ჯილდოდ სამკაულები, ფული და უძვირფასესი ტანსაცმელი მიიღო.

საცურაო კოსტუმებსა და საღამოს კაბებში გამოწყობილი მზეთუნახავების ტრადიციული დეფილეს გარდა, კონკურსი "ტალანტების შეჯიბრსაც" ითვალისწინებდა, რომელზეც სუზანამ ტაილანდური სადილი მოამზადა.

"მისის მსოფლიოს" კალიფორნიის უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული. ამჟამად ის თავის სამშობლოში რადიოსა და ტელევიზიაში მუშაობს.

წელს კონკურსი "მისის მსოფლიო" ლას ვეგასში, ჰილტონის სასტუმროს კაზინოში გაიმართა. ყველაზე ხანდაზმული მონაწილე 54 წლის "მისის ჩინეთი" იყო, ყველაზე ახალგაზრდა კი – 19 წლის "მისის კვიპროსი".

კროსვორდი



იკითხეთ ყველგან
გამომცემლობა "ლიტერას"
ახალი წიგნები

დათო ტურაშვილის "გურჯი- ხათუნი და აკა მორჩილაძის "შელოქსუთბაშის თბილისი"

საიდუმლოებით მოცული ამბები, სასიყვარულო ისტორიები და ფათერაკიანი თავგადასავლები ჩვენი ქვეყნის წარსულიდან.

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24

შეიძინეთ! გაერთეთ! მოიგეთ!
ფირმა "ფენიქსი"

ყოველ შაბათს, რუსთავი 2-ის პირდაპირ ეთერში გაიმართება ტოტალიზატორ "საოჯახო ლოტოს" გათამაშება.

დაწვრილებითი ინფორმაცია და კოეფიციენტების სხრილი იხილეთ გაზეთ "24 საათში"

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.